საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№46 (517)
18 – 24 დეკემბერი, 2019

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
geworld@inbox.ru

## მთავრობის ყველა წევრმა წულუკიანს უნდა მიბაძოს 24





# ერდოღანი ე.წ. თურქ მესხებს საქართველოში დაბრუნებას ჰპირდება 2

**«ეს ხალხი თავის დროზე ფაშისტების დასაყრდენს წარმოადგენდა ჩვენს ტერიტორიაზე და ამიტომაც გაასახლეს იქ, სადაც საჭირო იყო»**

## «სირაქლემა-ჟურნალისტებს» საზოგადოება ზუსტად იქ «ურტყამს», რაც უჩანთ! 7






## რა გვჭირს? რა გვეშველება? 4-5



## აგვისხდა შაჰ-აბასის წყევლა, ღმერთო, ქართველებს ერთ პირს ნუ მისცემ 18




## რატომ ევროპული და არა ქართული საქართველო? 6



თვალსაზრისი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„ჩვეულებრივ თურქებზეა საუბარი და არანაირი გენეტიკური თუ ეთნიკური ნათესაობა მათ ჩვენთან არ აქვთ. ახლა რომელიღაც „ლიბერალური“ ტელევიზია რომ სადღაც ერთ კაცს მოძებნის, ორი სიტყვა დამტვრეული ქართულის მცოდნეს, და „გულის ამაჩუყებელ“ სიუჟეტს მოამზადებს, არაფერს ნიშნავს. ეს ხალხი თავის დროზე ფაშისტების დასაყრდენს წარმოადგენდა ჩვენს ტერიტორიაზე და ამიტომაც გაასახლეს იქ, სადაც საჭირო იყო. დანარჩენი თავად გამოიტანოს დასკვნები საზოგადოებამ — ვინ უფრო იყო ჩვენთვის სახელმწიფოებრივი პოლიტიკის გამტარებელი — კომუნისტური სისტემა, რომელმაც ეს საფრთხე მოგვაშორა, თუ დღევანდელი მოღალატე ხელისუფლება, რომელიც ამ საფრთხეს უკანვე აბრუნებს“.



**ნიკოლოზ მჟავანაძე:**

# ერდოღანი ე.წ. თურქ მესხებს საქართველოში დაბრუნებას ჰპირდება

## «ეს ხალხი თავის დროზე ფაშისტების დასაყრდენს წარმოადგენდა ჩვენს ტერიტორიაზე და ამიტომაც გაასახლეს იქ, სადაც საჭირო იყო»

**რამდენიმე დღის წინათ თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა რეჯეფ თაიფ ერდოღანმა ანკარაში გამართულ ერთ-ერთ ღონისძიებაზე XX საუკუნის 40-იან წლებში საქართველოდან (კერძოდ, სამცხე-ჯავახეთიდან) შუა აზიაში (და თურქეთის ტერიტორიაზეც) გადასახლებულ თურქ მესხებზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ ოფიციალური ანკარა მათ საქმეს ყველა პოლიტიკურ პლატფორმაზე დაიცავს. მისი თქმით, სურვილის შემთხვევაში დღეს ყველა თურქ მესხს სამშობლოში დაბრუნება და იქ ხელახლა დამკვიდრება უპრობლემოდ უნდა შეეძლოს: „ჩვენ არ ვიყოყმანებთ, რათა დავიცვათ თურქი მესხების საქმე ყველა პლატფორმაზე, თუნდაც ყველა ჩუმად იყოს. ერთადერთი გზა, თუნდაც მცირედით შევუმსუბუქოთ ჩვენს თურქ დებსა და ძმებს ჭრილობები გულში, არის ის, რომ საშუალება მივცეთ თითოეულ თურქ მესხს, ვისაც ამის სურვილი აქვს, საკუთარ სამშობლოში დაბრუნდეს. არავინ უნდა დარჩეს გულგრილი ამ ადამიანების წუხილის მიმართ, რომლებსაც , 75 წელია, ძლიერი სურვილი აქვთ სამშობლოში დაბრუნების...“**

შეგახსენებთ, რომ ერდოღანის იმპერიალისტური პოლიტიკა საქართველოს და, საერთოდ, კავკასიის რეგიონის მიმართ, უკვე წლებია, დაუფარავ ხასიათს ატარებს. იგი თითქმის ყველა თავის საჯარო გამოსვლაში ხაზგასმით აღნიშნავდა და დღესაც აღნიშნავს, რომ მუსლიმანებმა ყველა გზას და საშუალებას უნდა მიმართონ, რათა ისლამური ცივილიზაცია კანონიერ ადგილზე დააყენონ.

**რა გზავნილია დღეს ჩვენთვის ერდოღანის განცხადება თურქი მესხების „სამშობლოში დაბრუნების“ აუცილებლობაზე და რა საშუალებებით შეიძლება, ოფიციალურმა ანკარამ საქართველოს პოლიტიკურ ხელმძღვანელობას აიძულოს ამ გადაწყვეტილების მიღება — ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე გვესაუბრება უფლებადამცველთა გაერთიანების თავმჯდომარე ნიკოლოზ მჟავანაძე.**

**— ბატონო ნიკოლოზ, თურქეთის პრეზიდენტმა რეჯეფ თაიფ ერდოღანმა ამას წინათ განაცხადა, რომ ყველაფერს გააკეთებს, რათა თავის დროზე საქართველოდან გადასახლებულ თურქ მესხებს, სურვილის შემთხვევაში, სამშობლოში დაბრუნების შესაძლებლობა ჰქონდეთ. რას შეიძლება ნიშნავდეს ჩვენთვის ეს განცხადება?**

— ეს ნიშნავს იმას, რომ თურქეთი უკვე დეკრალირებული პოლიტიკის დონეზე ახორციელებს თავის იმპერიალისტურ პოლიტიკას, რაც თავის დროზე ძალიან ნათლად და მკაფიოდ ჩამოაყალიბა **დავითოღლუმ** — თურქეთის ყოფილმა საგარეო საქმეთა მინისტრმა, „დიდი თურანის“ თეორიის ავტორმა. მან ერთ-ერთ გამოსვლაში თუ ინტერვიუში განაცხადა, რომ ოსმალეთის იმპერიას აღადგენდა იარაღის, ბრძოლისა და დაპირისპირების გარეშე.

რაც შეეხება კონკრეტულად თურქ-მესხებსა და საქართველოში მათი დაბრუნების იდეას, ჯერ ერთი, არანაირი მესხები ისინი არ არიან და ქართველობის არაფერი სცხიათ, ჩვეულებრივ თურქებზეა საუბარი; და მეორე — თუ ეს მოხდება, შემიძლია გითხრათ, რომ თურქეთისთვის ეს იქნება უმოკლესი და უმარტივესი გზა დასავლეთ საქართველოს მისაერთებლად.

**— თქვენი აზრით, ეს საფრთხე რეალურია? თავის დროზე სააკაშვილსაც ხომ ჰქონდა მათი ჩამოსახლების იდეა?**

— სააკაშვილის მმართველობის პერიოდში დაიწყო ამაზე საუბრები და მახსოვს, როგორ კბილებით იცავდა ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენელი ამ იდეას. მათ შორის იყო, მაგალითად, **გოგა ხაინდრავა**, თუ არ ვცდები, მინისტრის თანამდებობა ეკავა იმხანად, მათ შორის იყვნენ ეს ჩვენი ვითომ არასამთავრობო ორგანიზაციები, რომელთა არაერთი წარმომადგენელი დღეს ხელისუფლებაშია, და მაღალ პოლიტიკურ ეშელონებში მყოფი ადამიანები. თუმცა, ყველაფრის მიუხედავად, სააკაშვილმა ეს ვერ გაბედა. რატომ, გასაგებია: იცოდა, რომ ამას მისთვის ძალიან მძიმე პოლიტიკური შედეგები მოჰყვებოდა... დღეს რა ხდება? დღეს ჩვენ ვხედავთ, რომ ისევ მაღალ პოლიტიკურ წრეებში მიდის გარკვეული ქვედინებები.

**— გინდათ, თქვათ, რომ დღევანდელი ხელისუფლებაც ხელს უწყობს თურქეთის მისწრაფებას, რომ თურქი მესხების სახით საქართველოში დასაყრდენი გაიჩინოს?**

## «რუსეთთან ნორმალური ურთიერთობის გარეშე ჩვენ ვერც აჭარას შევინარჩუნებთ, ვერც ჯავახეთს და ვერც სხვა ტერიტორიებს»

— დღევანდელ ხელისუფლებაში, სამწუხაროდ, ბევრია ადამიანი, რომლებიც პირდაპირ, დაუფარავად ლობირებენ თურქეთის ინტერესებს. განსაკუთრებით ბევრია ასეთი ხალხი პარლამენტში და ამის ნათელი მაგალითია ის, რომ პარლამენტმა უარი თქვა დიდგორობის უქმედ გამოცხადებაზე. წარმოიდგინეთ, ქვეყანა, რომელსაც პრეტენზია აქვს დამოუკიდებლობასა და სუვერენიტეტზე, თავის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის განმავლობაში ყველაზე დიდ გამარჯვებას ვერ ზეიმობს. ახლა რა მიხვედრა უნდა იმას, რომ ეს პოლიტიკა თავიდან ბოლომდე თურქეთიდან არის ნაკარნახევი.

## «რაც შეეხება კონკრეტულად თურქ მესხებსა და საქართველოში მათი დაბრუნების იდეას, ჯერ ერთი, არანაირი მესხები ისინი არ არიან და ქართველობის არაფერი სცხიათ, ჩვეულებრივ თურქებზეა საუბარი; და მეორე — თუ ეს მოხდება, შემიძლია გითხრათ, რომ თურქეთისთვის ეს იქნება უმოკლესი და უმარტივესი გზა დასავლეთ საქართველოს მისაერთებლად»

რაც შეეხება ისევ ამ ე.წ. მესხების ჩამოსახლებას, არ მინდა, მოვლენებს გავუსწრო, მაგრამ დარწმუნებული ვარ, მალე აქ დაიწყება სამთავრობო ჯგუფებს შორის მუშაობა და უკვე ოფიციალურად დადგება ამ ხალხის ჩამოსახლების საკითხი. კიდევ ვიმეორებ: **საქართველოს ხელისუფლებაში მოკალათებული რენეგატები ამისთვის ყველაფერს გააკეთებენ; და, რაც მთავარია, ეს ყველაფერი მოხდება მათთვის დამახასიათებელი გადაფარვის, მიჩუმათების პოლიტიკის ფონზე.**

**— დავუბრუნდეთ ისევ ერდოღანის განცხადებას. მან თქვა, რომ ყველა პოლიტიკურ პლატფორმაზე დაიცავს თურქი მესხების საქმეს. როგორ ფიქრობთ, რა ბერკეტები აქვს დღეს თურქეთს საქართველოზე რამე ზეგავლენის მოსახდენად, გარდა იმისა, რომ პარლამენტში გვყავს თურქეთის ინტერესების გამტარებელი ხალხი?**

— დავიწყოთ იმით, რომ არსებობს ჩვენი „მეგობარი“ და „პარტნიორი“ ევროსაბჭოს „რეკომენდაცია“ ამ ხალხის საქართველოში დაბრუნებაზე, რაც, რა თქმა უნდა, ისევ თურქეთისა და მისი გავლენიანი პოლიტიკური წრეების ძალისხმევის შედეგია; მეორე — **თურქეთს უკვე, პრაქტიკულად, ნაყიდი აქვს ყველა სტრატეგიული ობიექტი, რაც კი არსებობს დასავლეთ და არა მხოლოდ დასავლეთ საქართველოში. ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. თუმცა ამ ყველაფრის ფონზე ჩვენ, ცხადია, არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ არის მეორე სახელმწიფო აღმოსავლეთით — აზერბაიჯანი, რომელიც თურქეთის მოკავშირეა და მის ინტერესებს ატარებს. სხვათა შორის, ეს დავითგარეჯის თემაც, ვფიქრობ, გარკვეულწილად თურქეთის მხარდაჭერითაა ინსპირირებული.**

რაც შეეხება ქვეყანაში ეთნიკური თურქების დამკვიდრების საკითხს, კიდევ ერთხელ გავიმეორებ და ამას განსაკუთრებით, მინდა, ხაზი გავუსვა: **არანაირი მესხები ისინი არ არიან. ჩვეულებრივ თურქებზეა საუბარი და არანაირი გენეტიკური თუ ეთნიკური ნათესაობა მათ ჩვენთან არ აქვთ. ახლა რომელიღაც „ლიბერალური“ ტელევიზია რომ სადღაც ერთ კაცს მოძებნის, ორი სიტყვა დამტვრეული ქართულის მცოდნეს, და „გულის ამაჩუყებელ“ სიუჟეტს მოამზადებს, არაფერს ნიშნავს. სხვათა შორის, ეს ხალხი თავის დროზე ფაშისტების დასაყრდენს წარმოადგენდა ჩვენს ტერიტორიაზე და ამიტომაც გაასახლეს იქ, სადაც საჭირო იყო. დანარჩენი თავად განსაჯოს საზოგადოებამ და დასკვნებიც გამოიტანოს: ვინ უფრო იყო ჩვენთვის სახელმწიფოებრივი პოლიტიკის გამტარებელი — კომუნისტური სისტემა, რომელმაც ეს საფრთხე მოგვაშორა, თუ დღევანდელი მოღალატე ხელისუფლება, რომელიც ამ საფრთხეს უკანვე აბრუნებს...**

**— წარმოვიდგინოთ, რომ ეს ხალხი უკვე ჩამოასახლეს. რა მოხდება, ანუ რეალურად რა სახის საფრთხე დაემუქრება საქართველოს?**

— გააჩნია, ვინ რა თვალით და გონებით შეხედავს. ვიღაც ლიბერალისთვის, რომელიც პრობლემას ვერ ხედავს, თუ ქართველები ეთნიკურ უმცირესობაში აღმოვჩნდებით ჩვენს ქვეყანაში, ეს საერთოდ სასაცილო თემაა, მაგრამ ობიექტურად და საღი გონებით თუ განვსჯით, რა თქმა უნდა, კატასტროფა იქნება. ახლა როგორ და რანაირად, ალბათ, ძნელი წარმოსადგენი არ არის — ჯერ ერთ სოფელში დასახლდებიან, მერე — რაიონში, მერე — რეგიონში, მერე — ქვეყანაში და, რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი მოხდება თურქეთის მუდმივი პატრონაჟის ქვეშ. ისე, სიმართლე გითხრათ, **ვერაფერი გამიგია იმ ჩვენი გულანთებული პატრიოტების, რომლებსაც ვითომ საქართველოს ბედი ადარდებთ და რეალურად არაფრის გაკეთება არ უნდათ. რა ვთქვა, არ ვიცი. ყოველ შემთხვევაში, როცა ამხელა შესაძლებლობები გაქვს, თუნდაც ფინანსური თვალსაზრისით, რაღაც უნდა გააკეთო, თუმცა ყველას თავისი ცხოვრება აქვს და თავის თვალსაზრისი...**

**— საზოგადოებაზე რას ფიქრობთ, ხალხი ადეკვატურია ამ საკითხში?**

— საზოგადოება, პირველ რიგში, არის დეზინფორმირებული და რეალურად რა ხდება, ვერ გაუგია, ამიტომ არის სერიოზული ძალისხმევა საჭირო, რათა ბოლოს და ბოლოს დასრულდეს ქვეყანაში ეს „ლიბერალური“ საინფორმაციო ტყვეობა და ხალხი აღარ იწამლებოდეს „ნაც-ქოცური“ სიბინძურით. რაც შეეხება ადეკვატურობას, მიუხედავად ყველანაირი პროპაგანდისა და დამუშავებისა, საბედნიეროდ, დღეს ჩვენი მოსახლეობის უმრავლესობა მაინც ეროვნულად აზროვნებს. ეს მინერგავს რწმენას, რომ ამ ხელისუფლებას, ისევე, როგორც **სააკაშვილს** თავის დროზე, არ გაუვა თურქეთის ხელისუფლებასთან ჩუმად შეთანხმებების დადება, მაგრამ, რა თქმა უნდა, ჩვენ თავი არ უნდა დავიმშვიდოთ და კარსმომდგარ საფრთხეს, როგორც რეალობას, თვალი უნდა გავუსწოროთ.

**— რუსეთის ფაქტორზე რა აზრის ხართ? არსებობს ასეთი თვალსაზრისი, რომ კრემლი არ დაუშვებს საქართველოში თურქეთის გავლენის გაძლიერებას.**

— საერთოდ, მიმაჩნია, რომ **რუსეთთან ნორმალური ურთიერთობის გარეშე ჩვენ ვერც აჭარას შევინარჩუნებთ, ვერც ჯავახეთს და ვერც სხვა ტერიტორიებს.** გიჟი კი არ იყო **ასლან აბაშიძე**, რუსული ბაზები რომ ეყენა იქ და თურქებს ცხვირს არ აყოფინებდა. სხვათა შორის, იმხანად ასლანს თურქეთთანაც ძალიან კარგი ურთიერთობა ჰქონდა, რაც იმითაც დასტურდება, რომ, როცა გულის ოპერაცია გაიკეთა სტამბოლში, პრეზიდენტმა დემირელმა პირადად ინახულა. წარმოიდგინეთ, ამხელა ქვეყნის პრეზიდენტი საავადმყოფოში მივიდა, მიუხედავად იმისა, რომ მაშინ თურქების ჭაჭანებაც არ იყო ბათუმში. ამით იმის თქმა მინდა, რომ ჩვენი პრობლემების გასაღები, ჩვენი წინსვლისა და განვითარების ერთადერთი პერსპექტივა ჯერ საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესების გააზრებაა და მერე, აქედან გამომდინარე, ნორმალური, კეთილმეზობლური ურთიერთობების დამყარების პოლიტიკა რუსეთთან. ამის გარეშე, კიდევ ვიმეორებ, ჩვენ ბათუმსაც დავკარგავთ, აჭარასაც, სამცხე-ჯავახეთსაც და შეიძლება თბილისიც ვერ შევინარჩუნოთ. სამწუხაროდ, ეს დღეს ბევრს არ ესმის საქართველოში და ქვეყანა, ფაქტობრივად, აყოლილია ერთ დიდ პოლიტიკურ ავანტიურას, რომელსაც, აგერ უკვე 20-25 წელიწადია, დასასრული არ უჩანს.

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

„სად იყო ეს ჩვენი „პატრიოტი“ ოპოზიცია და მისი მხარდამჭერი მცირერიცხოვანი, მაგრამ კარგად მოტივირებული პოლიტაქტივი, როცა საქართველოს მოქალაქეს უცხო ქვეყნის მესაზღვრეებმა ტყვია ესროლეს და კაცი ცოცხალ-მკვდარი წაიყვანეს საავადმყოფოში? რატომ არ ჩაატარეს თუნდაც ერთი პერფორმანსი, ვთქვათ, აზერბაიჯანის საელჩოსთან ან საზღვართან?“

ხმა ბერისა

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



# მამა გიორგი (რაზმაძე): ეს არის უკვე პირდაპირი ნიშანი იმისა, რომ საქართველოს, როგორც სახელმწიფოს, უკიდურესად მწვავე კრიზისი აქვს

**ამ დღეებში საქართველო-აზერბაიჯანის სახელმწიფო საზღვართან ახლოს (დავით-გარეჯის სამონასტრო კომპლექსის მიმდებარე ტერიტორიაზე) აზერბაიჯანელი მესაზღვრეების მიერ საქართველოს მოქალაქის (მწყემსის) დაჭრის ფაქტი „მეოცნებე“ ხელისუფლებამ კვლავინდებურად არ შეიმჩნია და, შესაბამისი დიპლომატიური რეაგირების ნაცვლად, სისხლიანი ინციდენტი ისევ იაფფასიანი პოლიტიკური ინტრიგებით გადაფარა.**

## აზერბაიჯანელმა მესაზღვრეებმა ცეცხლი გაუხსნეს და მძიმედ დაჭრეს საქართველოს გზააბნეული მოქალაქე

უფრო მეტიც, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულმა ფაქტმა ინტერნეტსივრცე მოიცვა და საზოგადოებაში უმწვავესი რეაქცია გამოიწვია, მმართველ გუნდს რამდენიმე დღის განმავლობაში მოსახლეობის ინფორმირება არც უცდია. სახელისუფლო დუმილი ინციდენტიდან მხოლოდ ოთხი დღის შემდეგ, 10 დეკემბერს, დაირღვა, როცა ცნობა მწყემსის დაჭრის თაობაზე სოციალურ ქსელებს მოედო. ერთადერთი განცხადება, რომელიც მოგვიანებით შინაგან საქმეთა სამინისტრომ გაავრცელა, არაფრის მთქმელი აღმოჩნდა, —განმარტებითი ხასიათის მოკლე განცხადებაში უბრალოდ აღნიშნული იყო, რომ ინციდენტის დეტალები უცნობია... აღსანიშნავია, რომ უცხო ქვეყნის მესაზღვრეების მიერ საქართველოს ტერიტორიაზე საქართველოს მოქალაქის დაჭრის გამო კომენტარები არც ოპოზიციის წარმომადგენლებს გაუკეთებიათ...

**რას ნიშნავს ჩვენთვის ზემოაღნიშნული ფაქტი, რა პოლიტიკას ატარებს მეგობრად მიჩნეული მეზობელი სახელმწიფო საქართველოს მიმართ და ადეკვატურია თუ არა „მეოცნებე“ ხელისუფლება ამ საკითხისადმი? — „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება ავჭალის წმინდა ქეთევან წამებულის ტაძრის წინამძღვარი მამა გიორგი (რაზმაძე).**

**— მამაო, რამდენიმე დღის წინათ საქართველო-აზერბაიჯანის სახელმწიფო საზღვარზე აზერბაიჯანელმა მესაზღვრეებმა ჩვენს მოქალაქეს ცეცხლი გაუხსნეს და მძიმედ დაჭრეს. ამ ფაქტმა სრულიად საქართველო შეაშფოთა, ხელისუფლება კი, მის მიერვე მართულ ოპოზიციასთან ერთად, დუმს და ხმას არ იღებს, თითქოს არც არაფერი მომხდარა. რაზე მიგვანიშნებს ეს ფაქტი?**

— ის, რომ აზერბაიჯანს საქართველოსთან ტერიტორიული პრეტენზიები აქვს, არახალია და ამას ისინი უკვე აღარ მალავენ. ეს საკითხი სხვადასხვა რანგის პოლიტიკურ თუ დიპლომატიურ შეხვედრებზეც დგება ხოლმე, რაც ცხადყოფს მის სიმწვავეს. თუმცა ამ შემთხვევაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მომენტი ჩვენი ხელისუფლების პოლიტიკაა. მხედველობაში მაქვს ის, რომ როგორც კი ხდება რაღაც მნიშვნელოვანი ამ საკითხის გარშემო და საზოგადოების ინტერესი იზრდება, მაშინვე მის გადაფარვას ცდილობენ. რა არის ან რა შეიძლება, იყოს ამ ყველაფრის მიზეზი, მგონი, ძნელი მისახვედრი არ არის. ცხადია, ამ დუმილისა და მიჩუმათების პოლიტიკის მიღმა ხდება ისეთი შეთანხმების ან გნებავთ, გარიგება დაარქვით, მიღწევა, რომელიც საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობისთვის მიუღებელია. უმრავლესობას იმიტომ ვამბობ, რომ არის რაღაც უმცირესი ნაწილი საზოგადოებისა, რომელსაც საწინააღმდეგო არაფერი აქვს, თუ დავით გარეჯას დავკარგავთ.

რაც შეეხება თვითონ ფაქტს, რა თქმა უნდა, რაც მოხდა, არის ტრაგიკული ამბავი, მაგრამ ვფიქრობ, ამ ყველაფერს არ უნდა შევხედოთ, როგორც ერთ ცალკეულ შემთხვევას. საერთოდ, **საქართველოს და ქართველი ხალხის დღევანდელი მდგომარეობაა ტრაგიკული, იმიტომ, რომ ჩვენ ახლა ვართ თვითგანადგურების რეჟიმში. თვითგანადგურებაა და სხვა არაფერი, როცა სამმილიონიან მომაკვდავ, ეკონომიკურად დაქცეულ და წელში გაწყვეტილ ერს მისივე ხელისუფლება თავს მოახვევს დამღუპველ იდეოლოგიას.** თუმცა ადრეც არაერთხელ ვთქვი თქვენთან ინტერვიუში და ახლაც გავიმეორებ: ეს არ არის ვიღაცის უგუნურებით და გაუაზრებლობით განპირობებული მავნე პოლიტიკა, **ეს ყველაფერი არის საკმაოდ კარგად აწონდაწონილი და ჩამოყალიბებული გეგმა, რომელმაც საქართველო უნდა დააქციოს.** ახლა ვიღაც იტყვის, რა დროს შეთქმულების თეორიებია, რა ინტერესი უნდა ჰქონდეთ ჩვენიო? **რა ინტერესი ჰქონდათ, როცა ასობით და ათასობით ჰექტარი მიწის ნაკვეთები ჩინელებს, ინდოელებს, თურქებსა და არაბებს მიჰყიდეს? რა ინტერესი ჰქონდათ, როცა ქვეყნიდან მოსახლეობის მასობრივად გადინების ფონზე აფრიკის და ახლო აღმოსავლეთის ასზე მეტ ისლამურ სახელმწიფოს საზღვარი გაუხსნეს?**

**— დავუბრუნდეთ ისევ აზერბაიჯანის საზღვართან ახლოს, საქართველოს ტერიტორიაზე მომხდარ შემთხვევას. დასაწყისში თქვით, რომ ხელისუფლება ცდილობს დავით გარეჯის საკითხის მიჩუმათებას. როგორ ფიქრობთ, ამ მიჩუმათების პოლიტიკის შედეგად კიდევ უფრო ხომ არ იზრდება საფრთხე, რომ ორი ქვეყნის ურთიერთობა სერიოზულად გამწვავდეს? ჩვენს საზოგადოებაში რომ უკმაყოფილება დღითიდღე იზრდება, ეს ფაქტია.**

— თავიდათავი ყველა ჩვენი უბედურების, ყველა ჩვენი პრობლემისა და გულისტკივილისა გარედან მართული ჩვენი უგერგილო ხელისუფლებაა, რომელსაც არც უნარი აქვს ქვეყნის გონივრულად მართვის და არც ნება. იმიტომ, რომ, როდესაც ნებისმიერი გარე ძალა, გნებავთ, აზერბაიჯანი იყოს და გნებავთ, სხვა რომელიმე, ხედავს, ქვეყანა უპატრონოდაა, ბუნებრივია, მას ამ ქვეყნისადმი პრეტენზია უჩნდება. საერთოდ, ბუნების კანონი ასეთია: ორგანიზმი როცა სუსტდება და უძლურდება, მასში აუცილებლად ჩნდება სხვადასხვა ვირუსი და ბაქტერია, უფრო ზუსტად კი აქტიურდებიან და ასეთ შემთხვევაში გადარჩენის ერთადერთი გზა არის დაუძლურებული ორგანიზმის გაჯანსაღება. დღეს საქართველო, თავისი პოლიტიკური ხელმძღვანელობითა და ოპოზიციით დაუძლურებული, გამოფიტული ორგანიზმია, რომელშიც თავი იჩინა ყველა საფრთხემ. მათ შორისაა **დემოგრაფიული პრობლემა, აფხაზეთი და სამაჩაბლო, თურქეთის ეკონომიკური ინტერვენცია, განსაკუთრებით აჭარაში და, რა თქმა უნდა, დავითგარეჯის პრობლემა.** თუ გვინდა, რომ ამ პრობლემებს თავი დავაღწიოთ და კიდევ უფრო მეტის დაკარგვის საფრთხის წინაშე არ დავდგეთ მომავალში, რაც, სამწუხაროდ, დღევანდელი მდგომარეობით სრულიად რეალურია, გამოსავალი ერთადერთია — **ქვეყანა ერთხელ და სამუდამოდ უნდა გათავისუფლდეს პოლიტიკოსებად წოდებული უსინდისო და უზნეო ადამიანებისგან. ესენი არიან ადამიანები, რომელთა დაუსრულებელმა ბოგინმა ხელისუფლებაში დაამკვიდრა აზრი, რომ თურმე პოლიტიკა ბინძური საქმეა.** პოლიტიკა კი არ არის ბინძური, იგი დაბინძურებულია უნამუსო, ულირსი ადამიანებით და, სანამ იქ დიდი წმენდა არ ჩატარდება, ბუნებრივია, დაქცეულ და დაუძლურებულ სახელმწიფოს, ისევე, როგორც გამოფიტულ ორგანიზმს, კიდევ უამრავი პრობლემები შეიძლება, გაუჩნდეს.

შეკითხვას რაც შეეხება, ამწვავებს თუ არა კიდევ უფრო პრობლემას მიჩუმათება, ერთ რამეში ვარ დარწმუნებული — **მეზობელი და „მეგობარი“ აზერბაიჯანი ასეთ აგრესიულ პოლიტიკას რომ ატარებს ჩვენ მიმართ და საზღვართან, ჩვენს ტერიტორიაზე, ჩვენს მოქალაქეს რომ ესროლეს და ადამიანი სასიკვდილოდ გაიმეტეს, არის ძალიან ცუდი სიმპტომი. ეს არის უკვე პირდაპირი ნიშანი იმისა, რომ საქართველოს, როგორც სახელმწიფოს, მწვავე კრიზისი აქვს,** რომელიც ამ პოლიტიკის პირობებში, კიდევ ვიმეორებ, უფრო გამწვავდება. ყოველ შემთხვევაში, საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ამ სახელისუფლო დუმილისა და მიჩუმათების პოლიტიკის მიღმა ჩვენთვის სასიკეთო არაფერი ხდება...

**— მოდი, დავაკონკრეტოთ, კიდევ რა საფრთხეები შეიძლება შეექმნას ქვეყანას ხელისუფლების უნიათო და არასახელმწიფოებრივი პოლიტიკის შედეგად.**

— კიდევ ვიმეორებ: მოღალატე და გარედან მართული ხელისუფლების პირობებში ქვეყანა არის დაუძლურებული, გამოფიტული ორგანიზმი, რომლის წიაღშიც უამრავი ვირუსი და ბაქტერია აქტიურდება... არ მინდა, ზედმეტად გავაბუქო ვითარება, მაგრამ ჩვენ არ უნდა დაგვავიწყდეს ერთი რამ: პოტენციურად **საქართველოსთან, არა მხოლოდ აზერბაიჯანს, სხვა დანარჩენ მეზობელ სახელმწიფოებსაც აქვთ პრეტენზიები, რომლებმაც გარკვეულ დროსა და ვითარებაში, შესაძლოა, თავი იჩინოს.** ისე, ერთი რამ მაინტერესებს: **სად იყო ეს ჩვენი „პატრიოტი“ ოპოზიცია და მისი მხარდამჭერი მცირერიცხოვანი, მაგრამ კარგად მოტივირებული პოლიტაქტივი, როცა საქართველოს მოქალაქეს უცხო ქვეყნის მესაზღვრეებმა ტყვია ესროლეს და კაცი ცოცხალ-მკვდარი წაიყვანეს საავადმყოფოში? რატომ არ ჩაატარეს თუნდაც ერთი პერფორმანსი, ვთქვათ, აზერბაიჯანის საელჩოსთან ან საზღვართან?**

**— გინდათ, თქვათ, რომ ამ საკითხის მიჩუმათება, ხელისუფლებასთან ერთად, ე.წ. ლიბერალურ ოპოზიციასაც აძლევს ხელს?**

— ოპოზიციაც და ხელისუფლებაც ერთიანია იმ საკითხში, რომ თურმე დავით-გარეჯის სადავო მონაკვეთი აზერბაიჯანს ეკუთვნის. ანუ, ის „პატრიოტიზმი“ და ვითომ ეროვნული სულისკვეთება, რომელიც რუსეთთან მიმართ აქვთ, ამ შემთხვევაში საერთოდ გამქრალია. ეს მიდგომა საიდანაც არის ნაკვები და ნაკარნახევი, ალბათ, ყველასთვის გასაგებია...

**— საიდან?**

— საერთოდ, საქართველოს ბოლო 20-25 წელია, მეტი თუ არა, სახელმწიფო პოლიტიკა არ გააჩნია. ჩვენ, უბრალოდ, გვკარნახობენ და ვასრულებთ. ამ პრინციპითაა განსაზღვრული საფრთხეებიც და პრიორიტეტებიც, ამ პრინციპითაა ვიღაც მტრად გამოცხადებული და ვიღაც — მოკავშირედ, თუნდაც სამი იმდენი ტერიტორია ჰქონდეს წართმეული. სხვათა შორის, **ამ დაკავებული ექიმის მიმართ ატეხილმა ხმაურმა, ვაჟა გაფრინდაშვილს ვგულისხმობ, კიდევ ერთხელ ცხადყო, რა ამოძრავებს რეალურად ამ ვითომ პატრიოტ ოპოზიციას და მის მოკავშირე დასავლელ „კეთილისმსურველებს“. ამ ყველაფერმა კიდევ ერთხელ ნათლად დაგვანახვა, რომ სინამდვილეში მათ ოკუპაციის მიმართ კი არ აქვთ პრობლემა, პრობლემა აქვთ რუსეთთან, სხვა დანარჩენმა კიდევ, რაც უნდა წაგვართვას, რა მოხდა, ბოლოს და ბოლოს, იტყვიან, რომ კომუნისტების ბრალია...**

**— თქვით, რომ სანამ პოლიტიკური სპექტრი არ გაიწმინდება და ქვეყანა არ გაჯანსაღდება, პრობლემები, მათ შორის, ტერიტორიული მთლიანობის კუთხით, უფრო გამწვავდება. როგორ წარმოგიდგენიათ ეს გაჯანსაღების პროცესი? რა არის ამისთვის საჭირო?**

— მოკლედ ვიტყვი: დღეს საზოგადოების უმრავლესობა პოლიტიკურად ინერტულია და ზოგიერთს ეს ნიჰილიზმი ჰგონია. რაღაც მომენტამდე შეიძლება, მეც ასე ვფიქრობდი, მაგრამ ასე ნამდვილად არ არის. ამ შემთხვევაში საზოგადოების ინერტულობას დავარქმევდი მოთმინებას, რომელსაც თავის დრო და ვადა აქვს. თუმცა, **დარწმუნებული იყავით, როგორც ევროპის ბევრ ქვეყანაში მოხდა და ბევრგან, მოგეხსენებათ, ახლა მიდის პროცესი, ადრე თუ გვიან, აქაც იქნება დიდი ეროვნული აფეთქება. აი, ამ კონსერვატიულ წარღვნას, ამ საყოველთაო ეროვნულ აზვირთებასა და გამოღვიძებას ვერ გადაურჩება ვერც ერთი მედროვე, ვერც ერთი ქვემძრომი და მაამებელი, რომლებიც აქამდე, შესაძლოა, ყველა ეპოქას, ყველა ძალას და პოლიტიკურ ჰეგემონიას მოერგნენ...**

**«დარწმუნებული იყავით, როგორც ევროპის ბევრ ქვეყანაში მოხდა და ბევრგან, მოგეხსენებათ, ახლა მიდის პროცესი, ადრე თუ გვიან, აქაც იქნება დიდი ეროვნული აფეთქება. აი, ამ კონსერვატიულ წარღვნას, ამ საყოველთაო ეროვნულ აზვირთებასა და გამოღვიძებას ვერ გადაურჩება ვერც ერთი მედროვე, ვერც ერთი ქვემძრომი და მაამებელი, რომლებიც აქამდე, შესაძლოა, ყველა ეპოქას, ყველა ძალას და პოლიტიკურ ჰეგემონიას მოერგნენ!»**

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

ჩაკუჩი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**წიგნიერება, განათლება, სამეცნიერო ხარისხი, წოდებები თუ სხვა რეგალიები მეცნიერებასა და ხელოვნებაში არაფრის მაქნისია, თუ ადამიანი კაცამდე ვერ ამაღლდა და ღირსებით შემკულ პიროვნებად არ ჩამოყალიბდა. როგორც დრომ გვიჩვენა, ასეთები ჩვენს ინტელექტუალურ წრეებში ერთეულებია — უმეტესობა კი დაბრმავებულ, დაყრუებულ-დამუნჯებული დუმს და თვიდან თვემდე, როგორც ახლა მიღებულია გამოთქმა, „ინტელიგენციის გადასარჩენად“, სინამდვილეში კი ამ დუმილისთვის გამოწერილ სტიპენდიას ელოდება. არადა, ამ შემთხვევაში დუმილი, ოქრო კი არა, ღალატია.**

# რა გვჭირს? რა გვეშველება?



**ჩვენს ერსა და ქვეყანას ისტორიის განმავლობაში ბევრი უმძიმესი პერიოდი გამოუვლია, მაგრამ მათი შედარება დღევანდელთან შეუძლებელია. წერილის სათაურად დასმული ორი რიტორიკული კითხვა სწორედ ქვეყნის უაღრესად კრიტიკული მდგომარეობიდან გამომდინარეობს — არ არსებობს ცხოვრების არც ერთი სფერო, მეურნეობის არც ერთი დარგი, რომელშიც არათუ წინსვლა, რამე სტაბილურობა მაინც იყოს. ყველგან კატასტროფული რეგრესია, გვაქვს მხოლოდ როგორც ძველი, ისე ახალი ხელისუფლების ერთობლივი ძალისხმევით მიღებული „დემოკრატიული“ რეალობა: ლეგალიზებული სათამაშო ბიზნესი, ლეგალიზებული ნარკომანია, პროსტიტუცია, სექსუალურად გაუკუღმართებული სუბიექტების დიქტატი და ცხოვრების წესის თავსმოხვევა საზოგადოებისთვის. გვინდა ასეთი „დემოკრატია“ და მიღწევები? — არა!**



**ჩვენი ყველა პრობლემა მაშინ დაიწყო, როდესაც ქართველებსა და რუსებს შორის დამაკავშირებელი ძმობის, მეგობრობის, ურთიერთპატივისცემისა და სიყვარულის ხიდი ჩატყდა. ეს ძალზე ვრცელი, აქტუალური, ფაქიზი და ჩვენთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი თემაა. ჩვენს სახელმწიფოებსა და ხალხებს შორის ურთიერთობის ანალოგი მსოფლიოში არ არსებობს — რუსებმა ჩვენ გადაგვარჩინეს ფიზიკურ განადგურებას, ხოლო ეთნიკურმა ქართველებმა უდიდესი როლი შეასრულეს რუსეთისთვის ყველაზე კრიტიკულ მომენტში მის გადარჩენასა და აღორძინებაში. ყოველთვის და განსაკუთრებით ახლა, როდესაც დასავლური აგრესიული ლიბერალიზმი დაუნდობლად ღიად ებრძვის ყოველივე მართლმადიდებლურსა და ტრადიციულს, უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენ და რუსები ერთ ღმერთს ვცემთ თაყვანს და ერთ ხატს ვთხოვთ შემწეობას**

რევერანსებითა და ენის მოჩლექით საუბრის დრო დამთავრდა. აქამდეც ყველაფერს თავისი სახელი უნდა დარქმეოდა. და მაინც მეტად კორექტულად მინდა გაგიზიაროთ რიგითი ქართველის თვალით დანახული ჩვენი ყოფა, რომლის შემოქმედნიც მოქმედებით თუ უმოქმედობით, ნებსით თუ უნებლიეთ, ჩვენვე ვართ.

პრობლემა იმდენი და ისე ნაირფეროვანია, რომ, მართალი გითხრათ, არ ვიცი, რომელს შევეხო და რომლით დავიწყო. და მაინც, რადგან ყველა დროსა და ხალხებში პროგრესისა და განვითარების პირველწყარო ერის გონიერი და განათლებული ფენა არის ინტელიგენცია; მინდა, ჩვენი საზოგადოების ინტელექტუალური ნაწილის შესახებ ჩემი აზრი გაგიზიაროთ.

**წიგნიერება, განათლება, სამეცნიერო ხარისხი, წოდებები თუ სხვა რეგალიები მეცნიერებასა და ხელოვნებაში არაფრის მაქნისია, თუ ადამიანი კაცამდე ვერ ამაღლდა და ღირსებით შემკულ პიროვნებად არ ჩამოყალიბდა. როგორც დრომ გვიჩვენა, ასეთები ჩვენს ინტელექტუალურ წრეებში ერთეულებია — უმეტესობა კი დაბრმავებულ-დაყრუებულ-დამუნჯებული დუმს და თვიდან თვემდე, როგორც ახლა მიღებულია გამოთქმა, „ინტელიგენციის გადასარჩენად“, სინამდვილეში კი ამ დუმილისათვის გამოწერილ სტიპენდიას ელოდება. არადა, ამ შემთხვევაში დუმილი, ოქრო კი არა, ღალატია, რადგან ახლა, ალბათ, ისე, როგორც არასდროს, სჭირდება ქვეყანას მიმდინარე მოვლენებზე მათი ხედვა, პროცესების აკადემიური ანალიზი და განვითარება-აღორძინებისთვის გზის დასახვა.** ამ დუმილში ყველაზე დრამატულია ის, რომ იგი ერის მორალურ-ზნეობრივ დეგრადაციას ემსახურება, რადგან ინტელიგენციის უმოქმედობით შექმნილი ვაკუუმი შევსებულია საზღვარგარეთიდან დაფინანსებული სხვადასხვა არასამთავრობოს მიერ. შედეგად, ვცხოვრობთ მათ მიერ დადგენილი დღის წესრიგით, მომავლის განვითარების გეგმებს ვსახავთ მათი რეკომენდაციებით. **დასაქმების, განსაკუთრებით საჯარო სექტორში დასაქმების, და კარიერული წინსვლის აუცილებელი და საკმარისი (კვალიფიკაცია და კომპეტენცია მხედველობაში არ მიიღება) პირობაა სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციაში მუშაობის გამოცდილება და მათ რეკომენდაცია. უკვე იქამდე მივედით, რომ ქვეყანაში ყველა საკვანძო თანამდებობაზე არასამთავრობოთა წიაღში აღზრდილი სუბიექტები სხედან. სჯერა ვინმეს, რომ საქართველოდან ათასობით კილომეტრით დაშორებულ რომელიმე ქვეყანაში ჩვენზე ისე შესტკივათ გული, რომ აქ არასამთავრობო ორგანიზაციებს ქმნიან და მილიონებით ჩვენზე ზრუნვის გამო აფინანსებენ?!** — მე არა! მე მჯერა ხალხური სიბრძნის: ფრთხილად იყავი, როდესაც მტერი გაქებს! მგონი, ღირს, დავფიქრდეთ.

**განათლების სფეროში**

არსებულ საგანგაშო მდგომარეობაზე ბევრი იწერება. აქცენტი, ძირითადად, კეთდება სასწავლო პროგრამების შედგენასა და სახელმძღვანელოებში შეტანილ მასალებზე, რაც თავისთავად მეტად მნიშვნელოვანია. მაგრამ აღზრდის პროცესში არანაკლებ მნიშვნელოვანია სწავლის მოტივაცია, მით უმეტეს დღევანდელი პედაგოგიური მეთოდოლოგიით აღზრდის პირობებში. **როდესაც ბავშვი ხედავს, რომ ცხოვრებაში წარმატების მისაღწევად ცოდნა საჭირო არ არის; ხედავს, როგორ აღწევს კარიერულ წარმატებას საეჭვო რეპუტაციის, გაუნათლებელი სუბიექტი, ხოლო განათლებული და ზნეობრივი პიროვნება უმუშევარი და მშიერია, ამ ფონზე მასწავლებლისა და მშობლის მოწოდება მოზარდისადმი, რომ მან ისწავლოს, დარჩება მხოლოდ მოწოდებად ნულოვანი შედეგით.**

საზოგადოდ, ქვეყანაში არსებული ყველა პრობლემის გასაღები ეკონომიკაა. თუ ეკონომიკური სიტუაცია გამოსწორდება, ნელ-ნელა გამოსწორდება მდგომარეობა ყველა სფეროში და ქვეყანა პროგრესის გზას დაადგება.

დღეს **მრეწველობის** აღორძინებაზე საუბარი ზედმეტია. ჩვენთვის პრიორიტეტი უნდა იყოს აგრარული სექტორი, მით უფრო, რომ სოფლის მეურნეობის განვითარება ჩვენთვის მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ეკონომიკური კუთხით, მას უდიდესი დემოგრაფიული მნიშვნელობაც აქვს.

სამწუხაროა, რომ ამ ფონზე ხელისუფლება ხმაურიანი, მყვირალა და არაფრისმომცემი კამპანიების გარდა ქმედითს არაფერს გვთავაზობს. სოფლის თემაზე სათქმელი ბევრია, მაგრამ აქ ამის საშუალება არ არის, მოკლედ კი — **დოვლათს ქმნის ბაზარი. დღეს ქართველი გლეხისთვის დახშულია არათუ გარე ბაზარი, სახელმწიფომ იგი შიდა ბაზრიდანაც განდევნა არაკვალიფიციური და მავნებლური საბაჟო პოლიტიკის გზით. საქართველო მცირემიწიანი და, ამასთანავე, უნიკალური მიკროკლიმატის მქონე ქვეყანაა. ჩვენთან მოყვანილი პროდუქტი გემოვნებითა და არომატით გაცილებით აღემატება სხვა ქვეყნის ანალოგებს, მაგრამ მცირე ფართობზე ერთეული პროდუქტის წარმოება ძვირი ჯდება ვიდრე დიდ ფართობზე, ამიტომ იგი ფასში კონკურენციას ვერ უწევს ბაზარზე სხვა ქვეყნებიდან შემოტანილ პროდუქტს.** ქართველი გლეხი იძულებულია, მისი წარმოებული პროდუქტი, რომელიც უმეტეს შემთხვევაში მალე ფუჭდება, როგორმე ისე გაყიდოს, რომ არ იზარალოს. კახეთში ხშირია შემთხვევები, როდესაც ატამს არც კი კრეფენ, ისე დაბალია მისი გასაყიდი ფასი. სურვილის შემთხვევაში ხელისუფლებას შეეძლო, შეპირებული და აუშენებელი 100 ქარხნის ნაცვლად ორი საკონსერვო (წვენების) კომბინატი აეშენებინა. ხელისუფლების აგრარული პოლიტიკის ყველაზე კარგი შემფასებელი ჩვენი სავაჭრო ობიექტების დახლები და საქართველოს დაცლილი სოფლებია.

**მასობრივი ინფორმაციის საშუალებებსაც შევეხები.** დღეს ელექტრონული და ბეჭდვითი მედია მონოპოლიზებული აქვთ პროდასავლურ ლიბერალურ ძალებს და იქიდან ეროვნული სულისკვეთების საღი აზრის საზოგადოებისთვის მიწოდება გამორიცხულია, დარჩენილია „საქართველო და მსოფლიოს“ ჩათვლით რამდენიმე გაზეთი და, როგორც მკითხველი, ჩემს თვალსაზრისს გაგიზიარებთ: ფაქტებისა და მოვლენების საზოგადოებამდე მიტანა არ არის საინფორმაციო საშუალების ძირითადი ამოცანა, რადგან მკითხველმა შეიძლება არასწორად აღიქვას. **ჟურნალისტის პროფესიონალიზმსა და საინფორმაციო საშუალების საზოგადოებრივ პასუხისმგებლობაზე დიდად არის დამოკიდებული, რა კუთხით იქნება გაშუქებული ესა თუ ის მოვლენა და ფაქტი, რათა საზოგადოებამ ობიექტურად აღიქვას და მიზეზ-შედეგობრივად გააანალიზოს ქვეყანაში მიმდინარე პროცესები.** სასურველია, მოვლენებისა და ფაქტების გაშუქებისას მეტი ადგილი დაეთმოს მათი გამომწვევი მიზეზების სიღრმისეულ ანალიზს.

როდესაც ადამიანი ან საზოგადოება კრიტიკულ სიტუაციაში ხვდება, იწყებს მდგომარეობიდან გამოსავლის ძებნას და, პირველ რიგში, აანალიზებს, როგორ მოხვდა ამ მდგომარეობაში. ამ ფონზე საკვირველია, რომ **ჩვენს ქვეყანაში არ აღმოჩნდა არც პიროვნება და არც პოლიტიკური სუბიექტი, რომელიც კითხვას მაინც დასვამდა — რა მოხდა, რა გზით ვიარეთ, რომ ქვეყანა, რომელიც ეკონომიკურ-კულტურული განვითარების ზენიტში იმყოფებოდა, 30 წელიწადში ფსკერზე აღმოჩნდა. არადა, საზოგადოებას ჰაერივით სჭირდება ამ სამი ათეული წლის განმავლობაში განვლილი გზის თითოეული ნაბიჯის ყოველმხრივ აკადემიურ დონეზე შესწავლა-გაანალიზება და სათანადო დასკვნის გამოტანა, რათა საკუთარ შეცდომებზე მაინც ვისწავლოთ და ხანგრძლივი რეგრესი ქვეყნის აღმავლობა-განვითარებით შევცვალოთ. ვფიქრობ, ამის რესურსი ჯერ კიდევ გვაქვს.**

მართალი გითხრათ, მაოცებს, რომ წიგნიერ და განათლებულ საზოგადოებაში (ასეთად მისი დიდი ნაწილი მიმაჩნია) ქვეყნის განვითარებისთვის პრიორიტეტი გეოგრაფიულ მიმართულებას ენიჭება. კამათი, ძირითადად, მიმდინარეობს დასავლეთისა და ჩრდილოეთის მიმართულებებს შორის და, როგორც წესი, მიმდინარეობს არგუმენტებისა

**პასუხისმგებლობაზე დიდად არის დამოკიდებული, რა კუთხით იქნება გაშუქებული ესა თუ ის მოვლენა და ფაქტი, რათა საზოგადოებამ ობიექტურად აღიქვას და მიზეზ-შედეგობრივად გააანალიზოს ქვეყანაში მიმდინარე პროცესები. სასურველია, მოვლენებისა და ფაქტების გაშუქებისას მეტი ადგილი დაეთმოს მათი გამომწვევი მიზეზების სიღრმისეულ ანალიზს.**

რაკურსი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**რა მოხდა, რა გზით ვიარეთ, რომ ქვეყანა, რომელიც ეკონომიურ-კულტურული განვითარების ზენიტში იმყოფებოდა, 30 წელიწადში ფსკერზე აღმოჩნდა? არადა, საზოგადოებას ჰაერივით სჭირდება ამ სამი ათეული წლის განმავლობაში განვლილი გზის თითოეული ნაბიჯის ყოველმხრივ აკადემიურ დონეზე შესწავლა-გაანალიზება და სათანადო დასკვნის გამოტანა, რათა საკუთარ შეცდომებზე მაინც ვისწავლოთ და ხანგრძლივი რეგრესი ქვეყნის აღმავლობა-განვითარებით შევცვალოთ. ვფიქრობ, ამის რესურსი ჯერ კიდევ გვაქვს**

და სალი აზრის უქონლობის ან უგულებელყოფის ფონზე, დემაგოგიური ურაპატრიოტული მოწოდებებით და, ამდენად, უშედეგოდ. არადა, **ნებისმიერმა ერმა და ქვეყანამ აუცილებელია, ობიექტურად გააანალიზოს, როგორც თავისი ქვეყნის, ასევე უახლოესი მეზობლების გეოგრაფიული მდებარეობა, ბუნებრივი სიმდიდრეები, ტრადიციები, სარწმუნოება, კულტურა, ტექნიკური და ინტელექტუალური პოტენციალი, მათთან ურთიერთობის ისტორია, რეგიონში არსებული, როგორც მათი, ასევე შორეული ქვეყნების გეოპოლიტიკური ინტერესები და გონივრული ურთიერთკომპრომისის გზით დაამყაროს მათთან კეთილმეზობლური ურთიერთსასარგებლო მეგობრული ურთიერთობა.** აღნიშნულის გაანალიზების გათვალისწინებით დაგეგმოს, როგორც დოვლათის წარმოების სახეობა და მოცულობა, ასევე მოიძიოს მისი გასაღების ბაზარი; ბოლოს მიიღოს ზომები მინიმალური დანახარჯებით. მაქსიმალური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად და ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით აწარმოოს, როგორც საშინაო, ასევე საგარეო პოლიტიკა.

**პოლიტიკა** ვახსენეთ და მოკლედ მასაც შევეხოთ: მთელი პოლიტიკური სპექტრი დღეს მონოპოლიზებული აქვს ერთ პროდასავლურ ლიბერალურ ძალას, რომელიც პოლიტიკაში წარმოდგენილია ორი ძირითადი გუნდით (პარტიით) — **„ნაციონალური მოძრაობისა“** და **„ქართული ოცნების“** სახით და მათი სატელიტებით. მათ შორის არ არსებობს რაიმე იდეური ან მსოფლმხედველობითი სხვაობა, მათ აქვთ საერთო პოლიტიკური მიზანი და, ამდენად, მათ შორის პოლიტიკური წაკინკლავება ამომრჩეველთა დაბნევაზე გათვლილი. სერიოზული დაპირისპირება მათ შორის სკამებისა და ქონების გადანაწილებისას ხდება, ისიც დასავლელი კურატორების მეთვალყურეობით. ხელისუფლებაში ყოფნისას ხელისუფლების ყველა შტოს წარმომადგენლები საუბრობენ გუნდურ მართვასა და გუნდურ პასუხისმგებლობაზე, მაგრამ, როგორც წესი, პასუხს არავინ არაფერზე აგებს, არც გუნდურად და არც პერსონალურად, რადგან, ფაქტობრივად, ხელისუფლების ცვლილებისას ხდება პროდასავლური ლიბერალური ძალის ერთი გუნდის (პარტიის) ჩანაცვლება მეორე გუნდით (პარტიით) და პასუხის მომკითხავი ამიტომ არავინაა — **კაპიტაცია!** და მაინც, ამ თითქმის კომიკურ **სიტუაციაში ტრაგიკულია ის, რომ ყველა ისინი (პროდასავლური ლიბერალური ძალის წარმომადგენლები) საოცრად ერთსულოვანნი არიან და მათ ხელთ არსებული ყველა (ადმინისტრაციული, საინფორმაციო, ფინანსური) ბერკეტებით, მისაღები თუ მიუღებელი მეთოდებით ერთობლივად იბრძვიან, რათა ქვეყანაში არ ჩამოყალიბდეს ქვეყნის ეკონომიკურ-სულიერ აღორძინებაზე ორიენტირებული პოლიტიკური ძალა.** რაგინდ დაუჯერებელიც უნდა ჩანდეს, ამ საქმეში მათ ეხმარებიან დეკლარირებულად ეროვნულ ღირებულებებზე მდგომი პოლიტიკური სუბიექტები (მათმა რაოდენობამ, მგონი, ორასს გადააჭარბა). როგორ? — **დღემდე არც ერთი პოლიტიკოსისგან არ მომისმენია განცხადება, რომ ქვეყნის ჩიხიდან გამოსაყვანად აუცილებელია მეორე პოლიტიკური ძალის ჩამოყალიბება.** ზოგი მოითხოვს, რომ „ქართულმა ოცნებამ“ მათი აზრი გაითვალისწინოს და ყველაფერი კარგად იქნება; ზოგიც მოითხოვს მესამე ძალის ჩამოყალიბებას. მინდა, მათ შევეკითხო: რომელია მეორე ძალა და, თუკი ასეთი არსებობს, მაშინ ხელისუფლებასთან შეკითხვები და პრეტენზიები არ უნდა გვქონდეს, რადგან, როდესაც პარლამენტი დაკომპლექტებულია ორი ძირითადი ძალის წარმომადგენლებით და კიდევ რამდენიმე პარტიას გააჩნია მანდატების გარკვეული რაოდენობა, ქვეყანას მართავს მათ მიერ დანიშნული მთავრობა, გვყავს ხალხის მიერ არჩეული პრეზიდენტი, მაშინ ასეთ დემოკრატიულ ხელისუფლებასთან პრეტენზიის მქონე პაოლიტიკოსი თუ პოლიტიკური სუბიექტი განხილული იქნება, როგორც აგრესიული, მარგინალი და რადიკალი. მაგრამ, **თუ გავაცნობიერებთ, რომ პარლამენტი დაკომპლექტებულია ერთი ძალით, ქვეყანას მართავს მათ მიერ დანიშნული მთავრობა და პრეზიდენტის სავარძელში ზის მათ მიერ ამომრჩევლებისთვის ყალბი დაპირებებით თავსმოხვეული დამოუკიდებელი (მისი დამოუკიდებლობის შეფასება თქვენთვის მომინდვია) პრეზიდენტი — ეს უკვე დიქტატურაა, რომელსაც ვერც ჩვენ და ვერც საერთაშორისო თანამეგობრობა ვერ ვამჩნევთ, რადგან ზემოთ აღნიშნული პოლიტიკური სუბიექტები ამ „პატარა“ გადაცდომით ერთმმართველ პროდასავლურ ლიბერალურ ძალას ლეღვის ფოთლად ეფარებიან. დიახ, დიქტატურაა მთელი თავისი დამანგრეველი შედეგებით და რომლის**



**გვახსოვდეს, რომ დღეს პოლიტიკურ ასპარეზზე დომინანტი პროდასავლური ლიბერალური ძალა არის მცირერიცხოვანი, მაგრამ აგრესიული, ანტიეროვნული, კარგად ორგანიზებული, უხვად დაფინანსებული და «დემოკრატიული დასავლეთიდან» პოლიტიკურად მხარდაჭერილი. მას არ აქვს რაიმე ნათელი მიზანი ან პოლიტიკური ხედვა. ერთად დგანან მხოლოდ ანგარების გამო და მათი «ანი» და «ჰოე» ფულია**

**აღმოსაფხვრელად საზოგადოებას სამოქალაქო, მორალური თუ იურიდიული უფლებები და მოვალეობები საკმაოდ აქვს.**

მინდა, აქვე გაგიზიაროთ ჩემი თვალსაზრისი **რუსეთის ფედერაციასა** და **რუს ხალხთან** ჩვენი ურთიერთობის შესახებ.

ჩვენი ყველა პრობლემა მაშინ დაიწყო, როდესაც ქართველებსა და რუსებს შორის დამაკავშირებელი ძმობის, მეგობრობის, ურთიერთპატივისცემისა და სიყვარულის ხიდი ჩატყდა. ეს ძალზე ვრცელი, აქტუალური, ფაქიზი და ჩვენთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი თემაა. ჩვენს სახელმწიფოებსა და ხალხებს შორის ურთიერთობის ანალოგი მსოფლიოში არ არსებობს — რუსებმა ჩვენ გადაგვარჩინეს ფიზიკურ განადგურებას, ხოლო ეთნიკურმა ქართველებმა უდიდესი როლი შეასრულეს რუსეთისთვის ყველაზე კრიტიკულ მომენტში მის გადარჩენასა და აღორძინებაში. ყოველთვის და განსაკუთრებით ახლა, როდესაც დასავლური აგრესიული ლიბერალიზმი დაუნდობლად ღიად ებრძვის ყოველივე მართლმადიდებლურს და ტრადიციულს, უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენ და რუსები ერთ ღმერთს ვცემთ თაყვანს და ერთ ხატს ვთხოვთ შემწეობას.

დასასრულ, რა არის გამოსავალი, **რა გვეშველება?** ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში გარდატეხის შესატანად აუცილებელია ეროვნული, პატრიოტული, სახელმწიფოებრივი და ტრადიციების ერთგული პოლიტიკური ძალის ჩამოყალიბება და პოლიტიკურ ასპარეზზე გამოსვლა. ამოცანა რთულია, მაგრამ არა შეუძლებელი. გვახსოვდეს, რომ დღეს პოლიტიკურ ასპარეზზე დომინანტი პროდასავლური ლიბერალური ძალა არის მცირერიცხოვანი, მაგრამ აგრესიული, ანტიეროვნული, კარგად ორგანიზებული, უხვად დაფინანსებული და „დემოკრატიული დასავლეთიდან“ პოლიტიკურად მხარდაჭერილი. მას არ აქვს რაიმე ნათელი მიზანი ან პოლიტიკური ხედვა. ერთად დგანან მხოლოდ ანგარების გამო და მათი „ანი“ და „ჰოე“ ფულია.

მეორე ძალა ჯერ ორგანიზაციად არ ჩამოყალიბებულა. არ არსებობს არც საინფორმაციო და არც მატერიალური ბაზა, მაგრამ მის შექმნას ელის საქართველოს მოსახლეობის 80%. ეს ის ხალხია, რომელიც დადის არჩევნებზე და გამწარებული ყველა კანდიდატს გადახაზავს; ისიც, ვინც მოქალაქეობრივი ვალდებულების გამო მიდის არჩევნებზე და, მისი აზრით, ნაკლებ უბედურებას უჭერს მხარს; ისიც, ვინც რამდენიმე პურის საყიდელი ფულის გადამხდელს აძლევს ხმას; ისიც, ვინც ოჯახის გამოსაკვებად საზღვარგარეთაა გადახვეწილი, და, რაც მთავარია, საქართველოს მოსახლეობის ნახევარზე მეტი, ვინც უიმედობით სასოწარკვეთილი, ბანკებისა და სამედიცინო დაწესებულებებისგან გაძარცვული და ხვალინდელ დღეზე ხელჩაქნეული საერთოდ არ დადის არჩევნებზე. მერწმუნეთ, რომ სამშობლოს სიყვარულითა და სიმართლით შეკრულ ამ ძალას წინ ვერ დაუდგება ვერავითარი ძალა, რაგინდ კარგად ორგანიზებული და დაფინანსებულიც უნდა იყოს.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, **ვარ გაზეთის რიგითი მკითხველი, რიგითი ქართველი და თავს უფლებას ვერ მივცემ, ვინმეს რაიმესკენ მოვუწოდო, მაგრამ მინდა, ყველას ვთხოვო, ვისაც წერილში აღნიშნული საკითხები აწუხებს (არ აქვს მნიშვნელობა, ჩემს ხედვას ეთანხმება თუ არა), დავუკავშირდეთ რედაქციას, ვისაც სურვილი ექნება, შევხვდეთ, ვისაუბროთ. იქნებ კამათში უფრო სალი, რაციონალური, კონკრეტული აზრი და საკითხები გამოიკვეთოს და ასე დავძრათ ადგილიდან ჩვენი სიმართლის ურემი. გვახსოვდეს, გზა გრძელი და რთული გვაქვს გასავლელი, დრო კი ძალზე ცოტაა 2020 წლის არჩევნებამდე.**

**ტარიელ სუხიაშვილი**

**თუ გავაცნობიერებთ, რომ პარლამენტი დაკომპლექტებულია ერთი ძალით, ქვეყანას მართავს მათ მიერ დანიშნული მთავრობა და პრეზიდენტის სავარძელში ზის მათ მიერ ამომრჩევლებისთვის ყალბი დაპირებებით თავსმოხვეული დამოუკიდებელი (მისი დამოუკიდებლობის შეფასება თქვენთვის მომინდვია) პრეზიდენტი — ეს უკვე დიქტატურაა, რომელსაც ვერც ჩვენ და ვერც საერთაშორისო თანამეგობრობა ვერ ვამჩნევთ, რადგან ზემოთ აღნიშნული პოლიტიკური სუბიექტები ამ «პატარა» გადაცდომით ერთმმართველ პროდასავლურ ლიბერალურ ძალას ლეღვის ფოთლად ეფარებიან. დიახ, დიქტატურაა მთელი თავისი დამანგრეველი შედეგებით და რომლის აღმოსაფხვრელად საზოგადოებას სამოქალაქო, მორალური თუ იურიდიული უფლებები და მოვალეობები საკმაოდ აქვს**

ახალი მესამეფი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**რაც თავი მახსოვს, არასოდეს მოვხვედრილვარ „ენ-დი-აის“ თუ „აი-რა-ის“ იმ „ბედნიერთა“ სიაში, რომელთა ტელეფონიც აწკრიალდებოდა მათი ზარით. ისეთსაც კი არავის ვიცნობ, ვინც დამიდასტურებდა მათი დარეკვით განცდილ „სიხარულს“... მიუხედავად ამისა, სხვა პარტიებთან შედარებით „ქართული ოცნების“ მაღალი რეიტინგი ჯერჯერობით ეჭვს არ იწვევს, თუმცა ეს „ჯერჯეობით“ დიდხანს ვერ გაგრძელდება, რადგან, ქოცი იქნება თუ ნაცი, ორივენი ერთმანეთს ქვეყნის განვითარების „ევროპულ არჩევანში“ ეჯიბრებიან. არადა, ქვეყანაში ანტიდასავლური და პრორუსული განწყობები დღითიდღე მატულობს.**

# რატომ ევროპული და არა ქართული საქართველო?

**წინამდებარე წერილში ათასჯერ ნათქვამის ათასმეერთედ გამეორება მომიწევს, ამიტომ მკითხველს ვთხოვ, ამას ინტელექტისა და ფანტაზიის დაბალ დონედ ნუ ჩამითვლის. უბრალოდ, პირველად ნათქვამიდან (7-8 წლის წინათ) დღემდე საქართველოში არაფერი მომხდარა ისეთი, რაც ახალზე, მით უმეტეს, პოზიტივზე სასაუბრო იქნებოდა.**

7-8 წელიწადი-მეთქი, მაგრამ ისევ დღევანდელზე პირუთვნელი საუბრისთვის ძალიან მოკლედ საქართველოს უახლეს ისტორიას, გნებავთ, ამ ისტორიის „გარიყრაყს“ შევეხები, რადგან იქიდან იღებს სათავეს უბედურებები, რომლებიც დღეს გვჭირს ქართველებს და უფრო მეტიც: რაც შეიძლება მომავალში სჭირდეს ქართველებსა და საქართველოს...

**ლუიანტუ ანანრი დე ბურბონ-კონდე — ენგიენის ჰერცოგი** (1772-1804), **პრინც კონდეს** (წარმოადგენდა ბურბონთა დინასტიის ერთ-ერთ შტოს) შვილიშვილი და ამ გვარის უკანასკნელი წარმომადგენელი, ცნობილია იმით, რომ **ნაპოლეონის** ბრძანებით დახვრიტეს 1804 წელს, რაც იმპერატორის უდიდესი შეცდომა იყო. მისმა დახვრეტამ დააჩქარა მესამე ანტიფრანგული კოალიციის ჩამოყალიბება (1805).

რად დაუჯდათ ფრანგებს ნაპოლეონის ბრძანებით პრინც კონდეს დახვრეტა, ცნობილი ამბავია. ჩვენ მხოლოდ ფრანგი უზურპატორის პერიოდის პოლიციის უფროსის, **ჟოზეფ ფუშეს,** ნათქვამ ისტორიულ ფრაზას შევახსენებთ მკითხველს ამ ვანდალიზმზე: **„ეს დანაშაულზე მეტია, ეს შეცდომაა!“...**

ახლა ვითომ რაო? წინამდებარე წერილის პათოსიდან გამომდინარე, იტყვის მავანი, რომ თუნდაც თავში ქვა უხლიათ ჩვენს „სტრატეგიულ პარტნიორსაც“ და 200 წლის წინათ მომხდარ ვანდალურ ფაქტსაც, — და, ერთი შეხედვით, მართებულადაც. საფრანგეთის ისტორიაში ექსკურსი საქართველოსთან პარალელისთვის დამჭირდა...

ჩვენც დავუშვით დანაშაულზე მძიმე შეცდომა, როდესაც საქართველოს პირველი და ჯერჯერობით ერთადერთი ეროვნული ცნობიერების პრეზიდენტი **ზვიად გამსახურდია** გამოვასალმეთ სიცოცხლეს, ვისი ბრძანებით — **შევარდნაძის, იოსელიანის** თუ ორივეს ერთად, ახლა ნაკლებად საინტერესოა. მთავარია, რომ ტყვია ვესროლეთ და ამას ვაღიარებ კაცი, რომელსაც, მართალია, ავტომატი არ ამიღია ხელში, მაგრამ იდეურად, მთელი არსებით ვებრძოდი ე.წ. პროვინციულ ფაშიზმს.

**უამრავი ნაკლის მიუხედავად, არ უნდა დაგვეშვა „შეცდომა“ და „ფაშისტი“ პრეზიდენტი გამსახურდიასთვის ერთი საპრეზიდენტო ვადის ბოლომდე მიყვანა უნდა გვეცლია. არ ვაცალეთ და შედეგად მივიღეთ შევარდნაძის „დემოკრატია“, ხოლო შემდეგ — „მიშნაცების“ რეჟიმი, რომელსაც, უწოდო ფაშიზმი, კომპლიმენტია — ათასობით გაუპატიურებული, ნაწამები, ქუჩაში ასობით ჩაცხრილული ახალგაზრდა; და, რაც მთავარია, რუსეთ-საქართველოს ომამდე ისედაც დე ფაქტო, მაგრამ დროებით დაკარგული ტერიტორიები; ომის შემდეგ, მგონი, დე იურეც სამუდამოდ დაკარგული სოხუმ-ცხინვალი.**

და, აჰა, „ქართული ოცნების“ სახით გვირაბის ბოლოს თითქოს გამოჩნდა სინათლე, რომელიც კოაბიტაციის სიომ თუ ქარმა ჩააქრო და ერთის ნაცვლად რამდენიმე ნაწილად გაშლილი (და არა დაშლილი) ე.წ. მთავარი ოპოზიციური პარტიები მივიღეთ. და ამ შაპიტოს გვაყურებინებენ პარლამენტში, ხოლო ბოლო პერიოდში — უფრო ხშირად ქუჩაში... სიტყვამ მოიტანა და ქუჩაზეც ვთქვათ. ქუჩაზე, რომელიც ხელმოცარული, გაკოტრებული (თუმცა სხვანაირები არიან კი?) პოლიტიკოსების არენად იქცა... ყველაფერი ე.წ. შვილმოკლული მამების აქციით დაიწყო, რომელიც მალევე, ნაცების გამოჩენისთანავე, პოლიტიკურ აქციად იქცა — თუ არ ჩავთვლით მცირე შეხლა-შემოხლას, შვილმკვდარმა მამებმა უპრობლემოდ გაშალეს კარვები, როდესაც მეორე დღეს მათი მხარდამჭერების რაოდენობა აშკარად შემცირდა, და ამით ავტომობილების მოძრაობის პარალიზება მოახდინეს... ეს ისე — მცირე ლირიკული გადახვევა...

მადა ჭამაში მოდისო და, დაუსჯელობის სინდრომით გათამამებულმა **ზაზა სარალიძემ** თავზე „დრინი“ გადაამტვრია (ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით) პოლიციელს;




**უამრავი ნაკლის მიუხედავად, არ უნდა დაგვეშვა «შეცდომა» და «ფაშისტი» პრეზიდენტი გამსახურდიასთვის ერთი საპრეზიდენტო ვადის ბოლომდეე მიყვანა უნდა გვეცლია. არ ვაცალეთ და შედეგად მივიღეთ შევარდნაძის «დემოკრატია», ხოლო შემდეგ — «მიშნაცების» რეჟიმი, რომელსაც უწოდო ფაშიზმი, კომპლიმენტია — ათასობით გაუპატიურებული, ნაწამები, ქუჩაში ასობით ჩაცხრილული ახალგაზრდა; და, რაც მთავარია, რუსეთ-საქართველოს ომამდე ისედაც დე ფაქტო, მაგრამ დროებით დაკარგული ტერიტორიები; ომის შემდეგ, მგონი, დე იურეც სამუდამოდ დაკარგული სოხუმ-ცხინვალი**



შემდეგ იყო ნარკომანების, ბარიგების აქცია „ბასიანიდან“ და ა.შ., რომელმაც ლოგიკურად მიგვიყვანა ე.წ. გავრილოვის ღამემდე და, რომ არა **გიორგი გახარიას** ვაჟკაცობა და პოლიციელთა გამძლეობა, ახლა როგორ ქვეყანაში ვიცხოვრებდით, საკითხავია...

რაც შეეხება ახალგაზრდა გოგონას, რომელმაც თვალი დაკარგა, ვიტყვი არა მხოლოდ მის გასაგონად: სამწუხაროდ, მსგავს აქციებზე ასეთი და უფრო უარესიც ხდება ხოლმე, რისი კონსტანტაციაც ნუგეში ნამდვილად ვერ იქნება, მაგრამ აქვე, ოღონდ არა იმ გოგონას, არამედ იმ პოლიტიკოსთა საყურადღებოდ, რომლებიც ადამიანის ტრაგედიას პოლიტიკური ქულების ჩასაწერად იყენებენ, ვიტყვი: საფრანგეთში ე.წ. ყვითელი ჟილეტების აქციაზე 40-ზე მეტმა ადამიანმა დაკარგა თვალი, მაგრამ შინაგან საქმეთა მინისტრის გადადგომა არავის მოუთხოვია.

და კიდევ — **ქართველთა ნაწილს პოპულისტურად ცალი თვალი აუხვიეს, მაგრამ ეს ხალხი, რომელმაც თვალი აიხვია თუ აუხვიეს, სად იყო მაშინ, როდესაც ნახევარ საქართველოს უკანალიდან აუპატიურებდნენ, გავაზე „პავიასკით“ რატომ არ დადიოდნენ?!**

დასასრულ, **ჩვენ თვალწინ მიმდინარეობს წინასაარჩევნო ახალი სპექტაკლი ძველი სათაურით — „ნაცები თუ ქოცები“. ჩვენი დასავლელი „მეგობრები“** ე.წ. მთავარ ოპოზიციურ **ძალად ჯიუტად აღიარებენ ნაცებს და კიდევ უფრო ჯიუტად — ნაცების განაყოფ „ევროპულ საქართველოს“, რასაც ამერიკული ინსტიტუტების „კვლევებიც“ ადასტურებს.**

ეს სიტყვა იმიტომ ჩავსვი ბრჭყალებში, რომ, რაც თავი მახსოვს, არასოდეს მოვხვედრილვარ „ენ-დი-აის“ თუ „აირა-ის“ იმ „ბედნიერთა“ სიაში, რომელთა ტელეფონიც აწკრიალდებოდა მათი ზარით, ისეთსაც კი არავის ვიცნობ, ვინც დამიდასტურებდა მათი დარეკვით განცდილ „სიხარულს“... მიუხედავად ამისა, სხვა პარტიებთან შედარებით „ქართული ოცნების“ მაღალი რეიტინგი ჯერჯერობით ეჭვს არ იწვევს, თუმცა ეს „ჯერჯერობით“ დიდხანს ვერ გაგრძელდება, რადგან, ქოცი იქნება თუ ნაცი, ორივენი ქვეყნის განვითარების „ევროპულ არჩევანში“ ერთმანეთს ეჯიბრებიან. არადა, ქვეყანაში ანტიდასავლური და, შესაბამისად, პრორუსული განწყობები დღითიდღე მატულობს.

პოლიტიკური ველის მიმოხილვა „პატრიოტთა ალიანსის“ იგნორირებით უსამართლო იქნება და, თუ „ქართულ ოცნებასთან“ ჭიდილი უაზრობაა, პოლიტიკურ ველზე ევრონაცებთან თუ გაერთიანებულ ოპოზიციასთან ბრძოლა მთავარი ოპოზიციის სტატუსისთვის სრულიად შესაძლებელია. ამის თქმის საფუძველს იძლევა ამას წინათ სპორტის სასახლის გადაჭედილი დარბაზი.

ამ საკითხზე სკეპტიკოსთა არგუმენტი არის ის, რომ ამ ყველაფერში გადამწყვეტი **ბიძინა ივანიშვილის** ფინანსებია. მათ აქვე ვუპასუხებ: თუ მხოლოდ ფინანსებია გადამწყვეტი, რა, მიშა სააკაშვილს ბიძინა ივანიშვილზე ნაკლები ფული აქვს, მაგრამ აქციებზე რამდენიმე ასეული კაცი რომ ვერ გამოჰყავს მის გაერთიანებულ თუ გაშლილ ოპოზიციას? ვფიქრობ, კითხვა რიტორიკულია...

ისე, რატომ ევროპული ან ამერიკული? **ქართული საქართველო ავაშენოთ, რათა ეგებ ოსებმა და აფხაზებმა ოდესმე ჩვენთან ერთად ცხოვრება ისურვონ.**

**ქართველთა ნაწილს პოპულისტურად ცალი თვალი აუხვიეს, მაგრამ ეს ხალხი, რომელმაც თვალი აიხვია თუ აუხვიეს, სად იყო მაშინ, როდესაც ნახევარ საქართველოს უკანალიდან აუპატიურებდნენ, გავაზე «პავიასკით» რატომ არ დადიოდნენ?**

**დავით მხეიძე**

**მართალია, ფულით ნაყიდი ყველაფერზე წამსვლელი ადამიანების გამოსწორების იმედი არც არასოდეს მქონია, მაგრამ მაინც კიდევ ერთხელ მოგიწოდებთ: გონს მოდით! საკუთარ ღირსებასაც გაუფრთხილდით და ჩვენს პროფესიასაც ნუ აზიანებთ, ნუ ხდით მას დასაცინსა და ხალხისთვის მიუღებელს! ნუ აფარჩაკებთ მთლიანად ჟურნალისტიკას და მედიას თქვენი მართლაც ფარჩაკი და უღირსი საქციელებითა და ე.წ. კითხვების დასმით!**



ბაკურ სვანიძის საავტორო გვერდი

www.geworld.ge

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «სირაქლემა-ჟურნალისტებს» საზოგადოება ზუსტად იქ «ურტყამს», რაც უჩანთ!

**„თავდასხმა ჟურნალისტებზე" — ამ სიტყვებს და ასეთი ფაქტების გამო განგაშის გამოცხადებას უკვე მართლაც საგანგაშო სიხშირით ვისმენთ და ვუყურებთ ქართულ ტელევიზიებში. ეს ძალიან სამწუხარო ფაქტია, მაგრამ რა არის მიზეზი იმისა, რომ მოსახლეობას ასეთი დონის აგრესია გაუჩნდა ჩვენი კოლეგების მიმართ? მეტიც, რატომ ხდება, რომ მთლიანად პროფესიას მიადგა ჩრდილი და ჟურნალისტობა ქაჯობის, თავხედობისა და მამაძაღლობის სინონიმად გადაიქცა?**

ზუსტად ვიცი, ახლა მეცემიან დღევანდელი ქართული ჟურნალისტიკის „კორიფეებად" დასმული „ნეტარი დედანი" და დამიწყებენ ლანძღვას: როგორ ბედავ და კოლეგებს აკრიტიკებო?! როგორ ბედავ და ჟურნალისტების მიმართ გამოხატულ აგრესიას თვითონ ჟურნალისტებს აბრალებო?!

**არავის არაფერს ვაბრალებ! მე ვლაპარაკობ მხოლოდ და მხოლოდ ფაქტებით და არ ვაპირებ ზოგიერთი „კორიფესავით" სირაქლემასავით ქვიშაში თავის ჩარგვას. ესაა და ეს. ქართული ჟურნალისტიკის „ყველაზე დედამ" ინგა გრიგოლიამ კატეგორიულად აირჩია სირაქლემის პოზა და ხალხის მიერ ჟურნალისტების მიმართ გამოხატულ აგრესიაში ბრალი ხელისუფლების წარმომადგენლებს დასდო.**

„ჩვენი ტელევიზიის ჟურნალისტებზე თავდასხმაში გარკვეული პირდაპირი პასუხისმგებლობა დღევანდელი ხელისუფლების წარმომადგენლებსაც ეკისრებათ, რადგან ისინი ძალიან ხშირად გვაკრიტიკებენ. ჩვენს ეთერში სტუმრობისას პირდაპირ გვეუბნებიან, რომ ნაციონალების რუპორი ვართ და სხვა მსგავსი სიტყვებით მოგვმართავენ. ეს თავისთავად გავლენას ახდენს მაყურებელზე და ისინი ჩვენ წინააღმდეგ აგრესიულად განეწყობიან", — განაცხადა **ინგა გრიგოლიამ.**

სწორედ ეს არის კლასიკური „სირაქლემის" პოზიცია და გეტყვით რატომაც: მე **ბოლო ერთი წლის განმავლობაში სოციალურ ქსელში განთავსებული პოსტით არაერთხელ მოვუწოდე ინგა გრიგოლიას, რომ ის და მისი ტელევიზია უკვე ყოველგვარ ზღვარს გადადიან და ხალხში სერიოზულ აგრესიას აღვივებენ.**

ეს ის პერიოდი იყო, როდესაც ხელისუფლების ჩინოსნები ჯერაც ვერ უბედავდნენ „ყველაზე დედას" იმის პირდაპირ თქმას, რაშიც ახლა ინგა გრიგოლია მათ ბრალს სდებს.

**აი, ჯერ კიდევ მაშინ ვაფრთხილებდი განსაკუთრებით სწორედ ტელეკომპანია „პირველს", რომ ისინი ასეთი საქციელების გამო აუცილებლად მიიღებდნენ ხალხისგან ზიზღს და შესაძლოა, აგრესიასაც.**

სხვათა შორის, 1 წლის წინ-ათ, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების დროს, სპეციალური ვიდეოკოლაჟიც კი გამოვაქვეყნე, როგორ ამაზრზენად იქცევიან „ტვ პირველის" ჟურნალისტები, მაგალითად, როგორ მიდიან საარჩევნო უბნებთან შორიახლოს გამვლელ ადამიანებთან და როგორ მკაცრად მოითხოვენ მათგან, ამოიტრიალონ ჯიბეები, რათა ჟურნალისტი დაარწმუნონ, რომ აქტივისტების სია არ დააქვთ ჯიბით. არადა, რეალურად კონკრეტული გამვლელი, საერთოდ, არანაირ კავშირში არ არის არჩევნებთან და, უბრალოდ, თავის გზაზე მიდის. **გამოქვეყნებული მქონდა ვიდეოკადრიც, სადაც ჩანდა, „ტვ პირველის" ჟუნალისტი როგორ უყოფს პირდაპირ ჯიბეში ხელს ხანდაზმულ მამაკაცს და ართმევს მას იქიდან ამოღებულ სხვადასხვა ნივთს იმ საბაბით, რომ შეამოწმოს, ხომ არ არის ამ ნივთებს შორის არჩევნებთან დაკავშირებული რაიმე სიები.**

მოგეხსენებათ, ასე თავხედურად არათუ ჟურნალისტები, არამედ 90-იან წლებში სრულიად უკონტროლო პოლიციაც კი არ იქცეოდა და ამის **შემდეგ ინგა გრიგოლია გვიმტკიცებს, რომ თურმე ხალხში გამოხატული აგრესია „ტვ პირველის" მიმართ „ქართული ოცნების" მაღალჩინოსნების მიერ ტელეეთერში გამოთქმული სრულიად სამართლიანი პრეტენზიების „ბრალი" ყოფილა...**

უკაცრავად, მაგრამ ეს იმ მდგომარეობას მაგონებს, გავარდნილი კახპა ქალი თავისი კახპობის გასამართლებლად ათასგვარ მიზეზსა და საბაბს რომ იგონებს ხოლმე, თუ ვინმეს მის მიმართ არასერიოზული დამოკიდებულება გაუჩნდება, ამას თავის კახპობას კი არ მიაწერს, არამედ იმას, რომ „კაცების სინსილა უნდა გაწყდეს" და „ყველა კაცი ერთნაირია"...

დაახლოებით ასეა ინგა გრიგოლიას საქმეც — ნაცვლად იმისა, რომ „ჟურნალისტიკის დედიკომ" აღიაროს თავისი მიქარვები, თავისი ჟურნალისტების არაჟურნალისტური და არაადამიანური საქციელი და მოუწოდოს მათ, რომ არაფრის ფასად ასე აღარ მოიქცნენ, ინგა დგას და რაღაც „გაპრავებებს" ეძებს იმისთვის, რომ მისი ჟურნალისტების მიმართ გამოხატული აგრესია სხვას გადააბრალოს.

პირდაპირ ვთქვათ: საზოგადოებაში უკვე ტრენდია ისეთი, **თუკი რომელიმე „სასტავში" (როგორც ჟარგონულად უწოდებენ ხოლმე მეგობართა წრეს) ვინმე ძალიან დიდ სისულელეს იტყვის ან აკეთებს, რაიმე არაადეკვატურ ქმედებას ჩაიდენს, ვინმეს მიმართ გაუმართლებელ აგრესიას გამოიჩენს, მას მეგობრები ეშაყირებიან: „რა იყო, რა დაგემართა, რა დღეში ხარ, ჟურნალისტი ხომ არ ხარ?"**

როგორ ფიქრობთ, ეს შეიძლება იმის ბრალი იყოს, რომ გარკვეული ჩინოსნები სატელევიზიო გადაცემებში სტუმრად ყოფნისას ჟურნალისტებს შენიშვნებს აძლევენ ან აუგად მოიხსენიებენ? დავუშვათ, ესეც ახდენს რაიმე გავლენას, მაგრამ მხოლოდ ეს დაასახელო მიზეზად, ამას ხომ მართლაც დიდი სირაქლემობა ჰქვია?!

არა, **პატივცემულო კოლეგებო, პრობლემები საკუთარ თავში ეძებეთ!**

**პრობლემები ეძებეთ იქ, სადაც აშკარად უწიგნური და სხარტი აზროვნების უნარის არმქონე ინგა გრიგოლია ითვლება „ნომერ პირველ ჟურნალისტად"; პრობლემაა იქ, სადაც ამპარტავანი, პოზიორი და გონებაშეზღუდული ნინო ჟიჟილაშვილი ერთ-ერთ სასწავლებელში ჟურნალისტიკის ფაკულტეტის დეკანია; პრობლემაა იქ, სადაც „იმედიდან" წამოსული თამარ ჩიხლაძე „ტვ პირველზე" წამყვანი ჟურნალისტი ხდება, რომელსაც არასოდეს არც ერთი ჭკვიანური კითხვა არ დაუსვამს რესპონდენტებისთვის, უბრალოდ, შხამისა და ბოღმის ნთხევა ეხერხება ეფექტიანად. დიდი პრობლემაა ვახო სანაიაც, რომელიც დღითიდღე უფრო და უფრო ქვემძრომი და ოდიოზური სახე ხდება და პირდაპირ ტოვებს ფულისა და პრივილეგიის გამო ყველაფერზე წამსვლელი ნაგვის შთაბეჭდილებას; უდიდესი პრობლემაა დიანა ტრაპაიძე, რომლის სატელევიზიო ეთერში დიდხანს ჯდომა და ბლუყუნი, უბრალოდ, ძალიან უხერხულია...**

აი, ეს არის პრობლემა, პატივცემულო „კოლეგებო", და არა ის, ვინმე ჩინოსანმა რა შენიშვნა მოგცათ და რა ფორმით გამოხატა ეს.

თქვენ თვითონ რომ იყოთ ღირსეული, მიუკერძოებელი, განთლებული და კარგი ჟურნალისტები, დავიჯერო, ეთერში ვიღაცის მიერ შეურაცხყოფა საზოგადოებისთვის საკმარისი იქნება იმისთვის, რომ თქვენ მიმართ უარყოფითად განეწყოს და ქუჩაში სიტყვიერად ან ფიზიკურად შეურაცხგყოთ?

**„ჩემი პროფესიაა კითხვების დასმა", — თავის მართლების ეს ფორმა აქვთ არჩეული თანამედროვე ვაიჟურნალისტებს, ინგა გრიგოლიას თამადობით. უკვე გამუდმებით იმეორებენ ამას მისი ამაზრზენი და გულისამრევი ამქრის წევრებიც, განსაკუთრებით — ვახო სანაია, რომელიც ბოლო ხანს საკუთარი ღირსების გაფარჩაკების მასტერკლასებს ატარებს.**

მინდა, ვუთხრა მათ: **ვახო სანაიავ და სხვებო! თქვენი პროფესია არის დასაშვები, ნორმალური, სხვათა პიროვნების არაშეურაცხმყოფელი კითხვების დასმა და არა ინტრიგნობის, პროვოკაციის, ცილისწამების გასაღება „კითხვების დასმად"!**

აქ დიდი სხვაობაა. ნებისმიერმა დამწყებმა ფსიქოლოგმაც კი იცის, რომ არსებობს „პასუხების შემცველი კითხვები". ამას ლიტერატურაში „რიტორიკულ კითხვებად" მოიხსენიებენ.

**ვახო სანაიავ, შე, ყოვლად უვიცო! აბა, მიპასუხე, რატომ არის, რომ არასრულწლოვნის დაკითხვას სამართალდამცავ უწყებებში აუცილებლად უნდა ესწრებოდეს მშობელი ან მეურვე? იმიტომ, რომ დამკითხველმა თავისი „კითხვებით" გავლენა არ იქონიას მასზე!**

ინგა გრიგოლიას ინტრიგნების ბანდის წევრებო! აბა, **მიპასუხეთ: რატომ არის, რომ სასამართლო პროცესების მიმდინარეობისას, როდესაც პროკურორი ჰკითხავს ან მოწმეს, ან ბრალდებულს, ადვოკატი ხშირად წამოხტება ხოლმე და მოსამართლეს მიმართავს: „თქვენო ღირსებავ, ვაპროტესტებ პროკურორის მიერ დასმულ კითხვას! ეს კითხვა არის არაეთიკური! კითხვა თავის თავში მოიცავს პაუხს. ასეთი კითხვა გავლენას ახდენს დასაკითხ პერსონაზე და ასევე დარბაზში დამსწრე საზოგადოებაზე! მოვუწოდებ ჩემი დაცვის ქვეშ მყოფს, არ გასცეს პასუხი ამ კითხვაზე. გთხოვთ, აუკრძალოთ პროკურორს ასეთი კითხვის კვლავ გამეორება!" — მიპასუხეთ, რას ნიშნავს ეს?**




აი, თვითონ ეს კითხვაც, რომელიც ახლა დავსვი, თავის თავში უკვე მოიცავს პასუხს, რასაც ნიშნავს ეს ყოველივე. თუმცა თქვენნაირი განსაკუთრებული გონებაჩლუნგებისთვის განვმარტავ: **ეს იმას ნიშნავს, რომ თქვენ მიერ აჩემებული ვითომ არგუმენტი — „ჩვენ ჟურნალისტები ვართ და გვაქვს კითხვების დასმის უფლება!" — არის თქვენი მორიგი ინტრიგნობის, გარეწრობის, უღირსობისა და ნაგვობის ნიმუში!**

თქვენ არანაირად არ გაქვთ იმის უფლება, რაც პროკურორსაც კი ეკრძალება გამოძიების დროს!

მართალია, ფულით ნაყიდი ყველაფერზე წამსვლელი ადამიანების გამოსწორების იმედი არც არასოდეს მქონია, მაგრამ მაინც კიდევ ერთხელ მოგიწოდებთ: გონს მოდით! საკუთარ ღირსებასაც გაუფრთხილდით და ჩვენს პროფესიასაც ნუ აზიანებთ, ნუ ხდით მას დასაცინსა და ხალხისთვის მიუღებელს! ნუ აფარჩაკებთ მთლიანად ჟურნალისტიკას და მედიას თქვენი მართლაც ფარჩაკი და უღირსი საქციელებითა და ე.წ. კითხვების დასმით!

თუ არადა, მომავალში რაც მოგივათ და რა პასუხსაც გაგცემთ საზოგადოება ამ ყოველივეზე, ამას უკვე ნურც „ხელისუფლების ჩინოსნებს" დააბრალებთ და ნურც იმას იტყვით, ბაკურ სვანიძემ ასე რომ გვამხილა და გაგვლანძღა, იმიტომ გვირტყა ქუჩაში ხალხმა პანჩურები, თორემ ხალხს ძალიან ვუყვარვართო. გაითვალისწინეთ, როდესაც „სირაქლემას" პოზა ძალიან გიყვარს, ხალხი მაშინ შენს მხოლოდ იმ ადგილს ხედავს, სადაც პანჩურის ამორტყმა ყველაზე მოსახერხებელია.

ხალხი და ხელისუფლება
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

წლის ბოლოს დაახლოებით ორმილიარდიანი აუთვისებელი თანხა დარჩა, რომელიც ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას უნდა მოხმარებოდა. ჰოდა, თუ ეს თანხაა ბიუჯეტში (და გადაჭრით შეგვიძლია ვთქვათ, რომ რამდენიმე მილიონი ლარი არის აუთვისებელი), ეგებ საქართველოს მასშტაბით, სოციალურად დაუცველებს ნამდვილი ახალი წელი ვაჩუქოთ და იგივე სოციალურად დაუცველები, პენსიონერები (რომლებსაც სოციალურად დაუცველებზე ნაკლებად არ უჭირთ) წავიყვანოთ და დავასვენოთ, ნამდვილი ზამთრის არდადეგები მოვუწყოთ, თორემ ბოლოს ისე გამოვა, რომ ამ თანხით ახალ მანქანებს იყიდიან მაღალჩინოსნები.

**თუ გახსოვთ, თავის დროზე მიხეილ სააკაშვილმა საჯაროდ და გამოთქმით განაცხადა: საქართველო ტურისტებისთვის ძალიან მიმზიდველია, მაგრამ რად გინდათ, მომსახურე პერსონალი არ გვყავსო. მერე იყო, მიშამ პროფტექნიკური სასწავლებლების შექმნა რომ დააანონსა, რომლებშიც ოფიციანტებს, ლაქიებს, სასტუმროს მომსახურე პერსონალს გაზრდიდნენ. პრეზიდენტი ამბობდა: ჩვენ მოსამსახურეები უნდა ვიყოთო, და ამას ტაშს უკრავდნენ. არავინ ეწინააღმდეგებოდა, არავინ ეუბნებოდა, რომ ეგებ ახალგაზრდებისთვის შესაბამისი განათლება მიგვეცა და ისინი კარგი მეცნიერები, იურისტები, ეკონომისტები, ფინანსისტები გაზრდილიყვნენ. არა, სააკაშვილს მოსამსახურეები სურდა და, პრინციპში, მთელ ერს, როგორც თავის მსახურს, ისე უყურებდა.**

# არ მოდის ახალი წელი წიწიბურითა და ვერმიშელით, ბატონებო!

## თუ არ გჯერათ, თქვენს სუფრაზე დადეთ 33 ლარის პროდუქტი და მიხვდებით, რომ მართალს ვამბობ



თუ გგონიათ, ახლა რამე შეიცვალა, ძალიან ცდებით. პირიქით — ამჟამინდელი ხელისუფლება „მოსამსახურე ქართველებს“, მხოლოდ ადგილობრივ ბაზარს კი არა, ევროპასაც სთავაზობს. აკი თქვა კიდეც **ბიძინა ივანიშვილმა:** უნდა გადავამზადოთ ასეულობით ქართველი და საფრანგეთს, გერმანიასა და სკანდინავიის ქვეყნებს დავახმაროთო. მანამდე კი ტურისტული სეზონი დაიწყო და ქართული ეკონომიკა მორიგ აფეთქებას ელის. ზამთრის საკურორტო ზონები, წესითა და რიგით, მალე უნდა დაიტვირთოს, მაგრამ ვაგლახ, რომ კვლავ უცხოელებით. ქართველებისთვის ბაკურიანი, გუდაური და სვანეთი მიუწვდომელი იქნება. უმრავლესობას ვგულისხმობთ, თორემ ძლიერნი ამა ქვეყნისანი არ დაიკლებენ მთასა და სუფთა ჰაერს. ახლა კი იმას გეტყვით, რატომ ვფიქრობთ, რომ ქართველების უმრავლესობისთვის ზამთრის კურორტები ზედმეტად დიდი ფუფუნებაა.

**პენსიონერებით დავიწყოთ — ბაკურიანში, გუდაურსა და სვანეთში სასტუმროს ფასი საშუალოდ 80 ლარიდან იწყება, მაგრამ ეს ძალიან იშვიათ შემთხვევაში. ყველაზე მიღებული ფასი 100 ლარი და მეტია. ჰოდა, პენსიონერი დასასვენებლად 10 დღით რომ წავიდეს, ყველაზე კარგ ვარიანტში, ნახევარი წლის პენსია უნდა დატოვოს და მეორე ნახევარი წლის პენსიით იარსებოს, რაც გამორიცხულია. ჰოდა, ამ მარტივი ლოგიკით, საქართველოს მოსახლეობის მეოთხედი, ანუ 600 ათასი ადამიანი მარტივად ჩაიხსნა.**

ახლა გადავიდეთ იმ მოსახლეობაზე, რომელიც **აიპებშია დასაქმებული.** აიპებში საშუალო ხელფასი 400 ლარია, რაც იმას ნიშნავს, რომ, თუ დასასვენებლად ათი დღით 2 ადამიანი წავა, ნახევარი წლის ხელფასის დახარჯვა მოუწევს, რაც ასევე შეუძლებელია და ასე მარტივად, დაახლოებით 200 ათასი ადამიანი გამოვრიცხეთ. ეგეც თქვენი 800 ათასი. **დაუმატეთ ამას სოციალურად დაუცველი 1.2 მილიონი ადამიანი, დაუმატეთ ის 77 ათასი ბავშვი, რომლებიც შიმშილობს, უსახლკაროები და ვნახავთ, რომ ლამის 2.5 მილიონი მოქალაქე დასასვენებლად, უბრალოდ, ვერ წავა.** თუ გახსოვთ, ზაფხულის საკურორტო სეზონის ჩავარდნა და მილიარდიანი ზარალი მთლიანად რუსი ტურისტების გადინებას დაბრალდა, მაგრამ, რეალურად თუ ვიმსჯელებთ, ერთ-ერთი მიზეზი ისიც იყო, რომ საქართველოს მოსახლეობამ ვერ მოახერხა დასასვენებლად წასვლა, რადგან საამისო შესაძლებლობა არ ჰქონდა. შესაძლებლობა კი იმიტომ არ ჰქონდა, რომ ჯერ წინა, ახლა კი მოქმედმა ხელისუფლებებმა საქართველოს მოქალაქეებში მხოლოდ მოსამსახურე პერსონალი დაინახა, ანუ დაინახა ადამიანები, რომლებიც მათ ან უცხოელებს უნდა ემსახურონ და საარსებო ფული ამით უნდა იშოვონ. სწორედ საარსებო, რადგან გამორიცხულია, იმ ხელფასებისა და ინფლაციის პირობებში, მოსამსახურე პერსონალმა უფრო მეტზე იფიქროს.

საუბარი მხოლოდ იმაზე არ გვაქვს, რომ ადამიანები დასვენებას ვერ ახერხებენ. აგერ, საახალწლოდ თბილისის მერიამ სოციალურად დაუცველებისთვის 23-ლარიანი კალათა შეადგინა, მერე მიხვდა, რომ 23 ლარად ვერაფერს იყიდდა და 10 ლარი დაუმატეს — სოციალურად დაუცველები ახალ წელს 33-ლარიანი სუფრით შეხვდებიან. იცით, რა არის საინტერესო? **თბილისის მერზე არ გვაქვს საუბარი, დანარჩენი თანამშრომლები, რომლებმაც ამ დადგენილებას ხელი მოაწერეს, შვილისთვის ახალ წელს საყიდელ საჩუქარში 33 ლარს იხდიან თუ მეტს? თუ თოვლის პაპა სოციალურად დაუცველებთან მაინც არ მიდის და 33 ლარადაც იოლად გავლენ?** ამ კალათაში ხომ ვერ შევა ხორცისა და თევზის პროდუქტები?! მაკარონითა და ვერმიშელით ახალი წლის შეხვედრა კიდევ... არ მოდის ახალი წელი წიწიბურითა და ვერმიშელით, ბატონებო. არადა, თუ არ გჯერათ, თქვენს სუფრაზე დადეთ 33 ლარის პროდუქტი და მიხვდებით, რომ მართალს ვამბობ.

14 დეკემბერს ევროსაბჭოს თავმჯდომარე ქვეყნის სტატუსი ვიზეიმეთ. ვიზეიმეთ ისე, როგორც ნამდვილმა ევროპულმა ქვეყანამ, ხალხმრავალი ღონისძიებით და... უბედური სახეებით. უბედური სახეებით იმიტომ, რომ თავისუფლების მოედანზე მიყვანილი ხალხის უმრავლესობას სწორედ თავისუფლების განცდა აქვს დაკარგული. ისინი იქ რომ არ მისულიყვნენ, ახალი წლის შეხვედრა მათაც 33 ლარის იმედად მოუწევდათ...

თუ გახსოვთ, მას შემდეგ, რაც ტურისტული სეზონი ჩავარდა და რუსი ვიზიტორები საქართველოდან გავაქციეთ, ხელისუფლებამ 600 ათასი ლარი გამოყო იმისთვის, რომ სხვა ქვეყნის ტურისტებისთვის ბილეთში ზედმეტად გადასახდელი თანხა აენაზღაურებინათ. მაშინ ამ პროექტმა არ იმუშავა და მილიარდიან ზარალს ვერ ავცდით. წლის დასაწყისში დაგეგმილ ბიუჯეტში გამოინახა მილიონამდე თანხა, რომელიც, უბრალოდ, ჰაერში გავისროლეთ და სერიოზული ეჭვი გვაქვს,

**ბაკურიანში, გუდაურსა და სვანეთში სასტუმროს ფასი საშუალოდ 80 ლარიდან იწყება, მაგრამ ეს ძალიან იშვიათ შემთხვევაში. ყველაზე მიღებული ფასი 100 ლარი და მეტია. ჰოდა, პენსიონერი დასასვენებლად 10 დღით რომ წავიდეს, ყველაზე კარგ ვარიანტში, ნახევარი წლის პენსია უნდა დატოვოს და მეორე ნახევარი წლის პენსიით იარსებოს, რაც გამორიცხულია. ჰოდა, ამ მარტივი ლოგიკით, საქართველოს მოსახლეობის მეოთხედი, ანუ 600 ათასი ადამიანი მარტივად ჩაიხსნა**

ასეთი თანხა ბიუჯეტში ახლაც იქნება. შარშანდელი წელი ავიღოთ: **წლის ბოლოს დაახლოებით ორი მილიარდი აუთვისებელი დარჩა, რომელიც ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას უნდა მოხმარებოდა. ჰოდა, თუ ეს თანხაა ბიუჯეტში (და გადაჭრით შეგვიძლია ვთქვათ, რომ რამდენიმე მილიონი ლარი არის აუთვისებელი), ეგებ საქართველოს მასშტაბით, სოციალურად დაუცველებს ნამდვილი ახალი წელი ვაჩუქოთ და იგივე სოციალურად დაუცველები, პენსიონერები (რომლებსაც სოციალურად დაუცველებზე ნაკლებად არ უჭირთ) წავიყვანოთ და დავასვენოთ, ნამდვილი ზამთრის არდადეგები მოვუწყოთ, თორემ ბოლოს ისე გამოვა, რომ ამ თანხით ან ახალ მანქანებს იყიდიან მაღალჩინოსნები, ან ტურისტული პოტენციალის პიარში დახარჯავენ იმისთვის, რომ უცხოელები ჩამოიყვანონ და მერე ამ უცხოელებს ენაგადმოგდებულები მოვემსახუროთ.** იქნებ დროა, დამოუკიდებლობის მოპოვებიდან პირველად, ხელისუფლებამ უცხოელებზე მეტად, ადგილობრივებზე იზრუნოს და მათი კეთილდღეობისთვის გაიმეტოს თანხა?! სხვათა შორის, ალბათ, მხოლოდ საქართველოში ხდება ის, რომ სოციალურად დაუცველმა, შესაძლოა, უფრო მეტი დახმარება მიიღოს, ვიდრე პენსიონერმა. იმას კი არ ვამბობთ, რომ სოციალურად დაუცველებს თანხები დააკელით-თქო, მაგრამ იმას მაინც თუ ხვდებით, რომ რეალურად ის 600 ათასი პენსიონერიც სოციალურად დაუცველის სტატუსის არაოფიციალური მფლობელია? ან იმას თუ ხვდებით, რომ ადამიანების უფასოდ კვებისთვის დღეში გამოყოფილი 1,32 ლარი საკმარისი არ არის და ამ ფასად ოჯახებს, მთელი თვე და წელი კი არა, ერთი საათიც კი ვერ შეინახავთ და თქვენ ერთ საათში იმაზე მეტი გეხარჯებათ, რაც უსახსრო ადამიანს მთელი დღის საკვებად უნდა ეყოს.

**14 დეკემბერს ევროსაბჭოს თავმჯდომარე ქვეყნის სტატუსი ვიზეიმეთ. ვიზეიმეთ ისე, როგორც ნამდვილმა ევროპულმა ქვეყანამ, ხალხმრავალი ღონისძიებით და... უბედური სახეებით**

**წინასაახალწლო ღონისძიებები ყველა მუნიციპალიტეტში გაიმართება და თითოეულს ახალი წლის შეხვედრა 200 ათასი ლარი და მეტი უჯდება. აღარაფერს ვამბობთ დიდ ქალაქებზე, სადაც ახალი წელი მილიონები ფასობს. არადა, ყველა მუნიციპალიტეტში არსებობენ ადამიანები, რომელთათვისაც ახალი წელი მაშინ არის, როცა სახლში საკვები აქვთ. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ არავინ გააპროტესტებს, მათ მუნიციპალიტეტში საახალწლო კონცერტზე მომღერალი თუ არ ჩავა; არავინ გააპროტესტებს იმას, რომ საახალწლო განათება, ერთი თვის ნაცვლად, ორი კვირით თუ აინთება და ეს ფული სწორედ ამ ადამიანებს მოხმარდება.** მხოლოდ საახალწლო განათებებში დეკემბერში სახელმწიფო ათეულობით მილიონს დახარჯავს და ეს ფული არც ქართულ ეკონომიკაში დარჩება და არც საქართველოში — ენერგოსისტემა უცხოელებისაა და ისინი იხეირებენ.

ვილაც აუცილებლად იტყვის: საუბარი ადვილია, მაგრამ სხვებმა რა დააშავეს, ვისაც ახალი წლისთვის საზეიმო განწყობის შექმნა სურსო?! ნურას უკაცრავად, ბატონებო! **ვინ სხვებმა, როცა მოსახლეობის უდიდესი ნაწილი სწორედ იმ დღეშია, რომ საახალწლოდ საკვების პრობლემა ექნება?!** სხვები აღარ არსებობენ, სხვები თქვენ ხართ, ხელისუფალნი; საშუალო ფენა საქართველოში თითქმის აღარ არსებობს; არსებობენ მდიდრები და ღარიბებ-ღატაკები და მორჩა! თუ არ გჯერათ, ახალი წლის მეორე დღეს დილით გამოდით ქუჩაში და ნახავთ, რამდენი ადამიანი იქნება გადაყუდებული ურნაში იმის იმედად, რომ ვილაც ხაჭაპურის ნატეხს ან ხორცის პატარა ნაჭერს გაიმეტებდა გადასაგდებად. ეს არის რეალობა, რომელშიც ვცხოვრობთ, და რაც უნდა გაანათოთ საახალწლო ბრჭყვიალებით, დილა მაინც ნაგვის ურნების სახურავების ხმაურითა და იქ გადაკიდებული ადამიანებით იწყება.

**ბესო ბარბაქაძე**

**2018 წელს ბანკების ჯამურმა შემოსავალმა 4.2 მილიარდი ლარი შეადგინა და... ხვდებით მაინც, როგორ მარჟაზე მუშაობენ? ამ თანხის 79% საპროცენტო შემოსავლებზე მოდის, ანუ თითქმის 3-მილიარდიანი შემოსავალი ბანკებმა ჩვენ მიერ გადახდილი პროცენტებით მიიღეს.**



www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ბოლო შვიდ წელიწადში მოსახლეობიდან ბანკების საკუთრებაში გადასულმა ქონებამ მილიარდს გადააჭარბა

## საბანკო სექტორის მოგება — 915 მილიონი, აზარტული თამაშების წლიური ბრუნვა — 15 მილიარდი (!). გამოდის, საქართველოს მოსახლეობა მხოლოდ ამ ორი სეგმენტისთვის არსებობს

**მეეჭვება, საქართველოში არსებობდეს ადამიანი, რომელთანაც ბანკის ოპერატორს არ დაურეკავს და წკრიალა ხმით არ უცნობებია, რომ ბანკი მას სესხს სთავაზობს „ეფექტური“ 12, 13 ან 17%-იანი განაკვეთით. შემდეგ კი აღმოჩნდება, რომ ეს „ეფექტური“ სესხი სინამდვილეში წლიური 50%-ია და, როცა დამრეკავს უხსნი, რომ ტელეფონში სხვა რამ გითხრა, გულუბრყვილო სახით გეუბნება: ეს საკომისიო, ეს დაზღვევა, ეს ამის, იმის და აღარ სრულდება. შედეგად, ვინც რისკავს და სესხს იღებს (და რისკავს უმრავლესობა, რადგან სხვა გზა, უბრალოდ, არ აქვს), შემდეგ გადახდას ველარ ახერხებს და ბანკს მიაქვს უძრავ-მოძრავი ქონება, რომელიც ამ ადამიანს გააჩნია.**

ოფიციალური მონაცემებით, ოქტომბერში ბანკების მიერ დასაკუთრებული ქონების მოცულობამ 210.6 მლნ ლარი შეადგინა, ანუ **ბანკებმა მოსახლეობისგან 210 მილიონი, უბრალოდ, წაიღეს.** და რაც ყველაზე საინტერესოა, ეს რეალური რიცხვი არ არის — სესხის გაცემისას შეფასება გაცილებით დაბალ ფასად ხდება, რათა ბანკმა არ გარისკოს და შემდეგ აუქციონზე ქონების გაყიდვა გაუიოლდეს. შესადარებლად გეტყვით, რომ ბანკების მიერ დასაკუთრებული ქონების ღირებულება გასულ წელთან შედარებით **48.2 მილიონი ლარით გაიზარდა.**

ასეთ დროს როგორ არ უნდა გავიხსენოთ 2012 წლის არჩევნების წინ გაცემული ერთ-ერთი დაპირება, რომელიც პირადად ივანიშვილმა თქვა: **ბანკებს ვაიძულებთ, სესხები 2-3%-ში გასცენ და პირადად მე ვუზრუნველვყოფ, სესხების დიდი ნაწილი საერთოდ უფასო იყოს, უფასო ფული გექნებათ, რასაც აიღებთ, იმას გადაიხდითო. უფასო ფული კი არა, საბოლოოდ ისე გამოვიდა, რომ ხელისუფლების შეცვლის შემდეგ საბანკო სექტორმა ფრთები გაშალა და მოსახლეობიდან ბანკების საკუთრებაში გადასულმა ქონებამ ბოლო შვიდ წელიწადში მილიარდს გადააჭარბა. მარტივი ლოგიკით, ბოლო შვიდ წელიწადში, მხოლოდ ბანკების დამსახურებით, საქართველოს მოსახლეობა მილიარდით გაღარიბდა და ბანკებმა მილიარდით მეტი იშოვეს.**

ძალიან განვითარებულ და ზე სახელმწიფოებად წოდებულ ევროპულ ქვეყნებზე რომ არ გვითხრათ, იქამდე ბევრი გვიკლიაო, პორტუგალიის მაგალითზე მოგახსენებთ. **სესხის მაქსიმალური საპროცენტო ოდენობა პორტუგალიაში 3%-ია,** ისიც იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული სესხის უზრუნველყოფა უძრავი ქონებით არ შეგიძლია და შემოსავალში მხოლოდ ხელფასს უჩვენებ. **საკმარისია, უძრავი ქონება დააგირაო და 3%-იანი სესხი ნახევრდება, ანუ სესხს 1.5%-ში იღებ და იქ არსებული ხელფასის გათვალისწინებით, მარტივად იხდით.** შედეგად, პორტუგალიური ბანკების მოგება დიდია, მაგრამ არა ისეთი, როგორიც საქართველოში. პარადოქსია, მაგრამ ფაქტი — პორტუგალიას საქართველოზე ათჯერ მძლავრი ეკონომიკა აქვს, საქართველოსთან შედარებით მოსახლეობა საშუალოდ ათჯერ მეტ შემოსავალს იღებს და... **ქართული ბანკები, პორტუგალიურთან შედარებით, წელს ათჯერ მეტი მოგებით ამთავრებენ, ანუ პორტუგალია გვჯობნის ყველაფერში, მაგრამ ბანკების მიერ მოსახლეობის ყვლეფაში ჩვენ ვუსწრებთ. ამ მაჩვენებლით ვუსწრებთ არა მხოლოდ პორტუგალიას, არამედ ყველა (ჰო, ყველა!) ევროპულ ქვეყანას და გამოსავალიც არ ჩანს. გამოსავალი კი იმიტომ არ ჩანს, რომ ხელისუფლებამ გასაგებად „აგვიხსნა“: ბანკები კერძოა, ჩვენ ვერ ჩავერევით, ბიზნესს წნეხში ვერ მოვაქცევთო და...**

გასული წელი ბანკებმა 915-მილიონიანი წმინდა მოგებით დაასრულეს, რაც, 2017 წელთან შედარებით, 45 მილიონი ლარით მეტია. მოლოდინი არსებობს იმისა, რომ წლევანდელი მაჩვენებელი მილიარდს გადააჭარბებს და როგორ გგონიათ, ამ კოლოსალური მოგებიდან, ბიუჯეტში ბანკები რამდენს იხდიან? გასულ წელს, 915-მილიონიანი მოგების შემდეგ, ბანკებმა ბიუჯეტში, საერთო ჯამში 123 მილიონი გადაიხადეს. ისე არ იფიქროთ, რომ ეს თანხა ამ 915 მილიონს დააკლდა, არა, ბატონებო, ეს სუფთა მოგებაა, ის თანხა რომ გადაიხადეს, იმის შემდეგ დარჩენილი. ისიც ვთქვათ, რომ **2018 წელს ბანკების ჯამურმა შემოსავალმა 4.2 მილიარდი ლარი შეადგინა და... ხვდებით მაინც, როგორ მარჟაზე მუშაობენ? ამ თანხის 79% საპროცენტო შემოსავლებზე მოდის, ანუ თითქმის 3-მილიარდიანი შემოსავალი ბანკებმა ჩვენ მიერ გადახდილი პროცენტებით მიიღეს.**



**პორტუგალია გვჯობნის ყველაფერში, მაგრამ ბანკების მიერ მოსახლეობის ყვლეფაში ჩვენ ვუსწრებთ. ამ მაჩვენებლით ვაჯობეთ არა მხოლოდ პორტუგალიას, არამედ ყველა (ჰო, ყველა!) ევროპულ ქვეყანას და გამოსავალიც არ ჩანს. გამოსავალი კი იმიტომ არ ჩანს, რომ ხელისუფლებამ გასაგებად «აგვიხსნა»: ბანკები კერძოა, ჩვენ ვერ ჩავერევით, ბიზნესს წნეხში ვერ მოვაქცევთო და...**

გავიგეთ, რომ ხელისუფლებამ მოგვატყუა და წინასაარჩევნო დაპირება არ შეასრულა; ისიც გავიგეთ, რომ ბანკებზე ვერ თუ არ ზემოქმედებენ და ვერ აიძულებენ, სესხები 2 და 3-პროცენტიანი განაკვეთებით გასცენ. ის მაინც ხომ შეუძლია სახელმწიფოს, რომ დაადგინოს მაქსიმალური ზღვარი, მაგალითად, 10% (რომელიც ევროპაში ყველაზე მაღალი მაჩვენებელი იქნება)? ამ განაკვეთის ზემოთ ბანკებს უფლება არ ექნებათ, გასცენ სესხი. ეს არ არის ზეწოლა, ეს იქნება კანონი, რომლის შესრულებაც სავალდებულო იქნება ყველასთვის და, თუ ბანკირები იტყვიან, რომ ხელისუფლება საბანკო სექტორის განვითარებას ხელს უშლისო, იქნება ტყუილი, რადგან ვერავინ დაგვაჯერებს, რომ, 915-მილიონიანი მოგების ნაცვლად, ბანკებმა ნახევარმილიარდიანი მოგება რომ მიითვალონ წლის ბოლოს, უკმაყოფილო დარჩებიან. ნამდვილად ვერ ვურჩევთ ხელისუფლებას იმას, რომ ბანკებს გადასახადი გაუზარდონ, რადგან, 915 მილიონი მოგების შემდეგ, ბიუჯეტში გადახდილი 123 მილიონი სასაცილო თანხად ჩანს; ვერ ვურჩევთ იმიტომ, რომ, როგორც კი ეს მოხდება, ბანკები კვლავ მოუმატებენ საპროცენტო განაკვეთს და დამატებით გადასახადს ისევ ჩვენგან ამოიღებენ ან, 210 მილიონის ღირებულების უძრავი ქონების ნაცვლად, მათ სარგებლობაში გაცილებით მეტი გადავა.

მას შემდეგ, რაც ბანკებმა მოსახლეობის ქონების დასაკუთრება დაიწყეს, იქით მივდივართ, რომ გავა წლები და ბანკები ველარაფერს წაგვართმევენ, რადგან ისედაც ყველაფერი მათ საკუთრებაში გადავა. **რა ქონება უნდა ჰქონდეს ერთ მუჭა მოსახლეობას, მით უმეტეს ასეთი სიდუხჭირის პირობებში, რომ ის კიდევ დიდხანს გაჰყვეს?** ადამიანები კარგავენ საცხოვრებელს, მიწას, მანქანებს, კომერციულ ადგილებს და რჩებიან ბედის ანაბარა. ბანკების მავნებლურ პოლიტიკას იმით მაინც მიხვდეს სახელმწიფო, რომ სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი ადამიანებისა და სოციალურად დაუცველი პირების რაოდენობა ყოველწლიურად იმატებს. **არსად ხდება, ბატონებო, ასე, არსად, რადგან როგორც კი რამდენიმე წლის განმავლობაში ამ მიმართულებით მატება შეინიშნება, სახელმწიფო ქმედით ნაბიჯებს დგამს, რადგან იქ სახელმწიფოს პირველმა პირებმა ზუსტად იციან, რომ ძლიერი მოსახლეობა ძლიერ სახელმწიფოს ნიშნავს და ძლიერი სახელმწიფო საერთაშორისო ასპარეზზე მეტი გავლენითაც სარგებლობს და მეტიც ეთქმის.** ჩვენთან კი სხვა ვითარებაა, რადგან სერიოზული (და არც თუ უსაფუძვლო) ეჭვი არსებობს, რომ როგორც კი „საშოვარს გადაგებული, გათითოკაცებული ყოფილი ერი“ იმდენს იშოვის, რომ სარჩოს საძებნელად სხვა რამეზეც დაიწყოს ფიქრი, მაშინვე უკეთეს ხელისუფლებას მოისურვებს, კანონების შეცვლას მოისურვებს, უფრო მეტ კეთილდღეობას მოისურვებს, ასე კი... მაძღარი მონა ვერ ააშენებდაო სვეტიცხოველს, ხომ წაგიკითხავს?... ჩვენი უბედურება ის არის, რომ არც სვეტიცხოვლის ამშენებლებად ვუნდივართ...

უხეშად რომ დავთვალოთ, **საბანკო სექტორის მოგება 915 მილიონი, აზარტული თამაშების წლიური ბრუნვა 15 მილიარდი (!) და გამოდის, საქართველოს მოსახლეობა მხოლოდ ამ ორი სეგმენტისთვის არსებობს.** არსებობა ჰქვია იმას და არა ცხოვრება, რაც დღეს ერს სჭირს. ეს ყველაზე მძაფრად სწორედ ისეთ დღესასწაულზე ჩანს, როგორიც ახალი წელია და სწორედ ახალ წელს გაისმის ყველაზე მეტი გმინვა. ახალ წელს ყველა ბავშვი ელოდება თოვლის პაპის საჩუქარს, იმ საჩუქარს, რომელსაც უმრავლესობა, უბრალოდ, ვერ მიიღებს, რადგან ასეთ შემთხვევაში საკვების გარეშე დარჩება; არც ისე იშვიათად კი — საკვებისა და საჩუქრის გარეშეც.

**ბესო ბარბაქაძე**

**ნამდვილად ვერ ვურჩევთ ხელისუფლებას იმას, რომ ბანკებს გადასახადი გაუზარდოს, რადგან 915 მილიონი მოგების შემდეგ ბიუჯეტში გადახდილი 123 მილიონი სასაცილო თანხად ჩანს. ვერ ვურჩევთ იმიტომ, რომ, როგორც კი ეს მოხდება, ბანკები კვლავ გაზრდიან საპროცენტო განაკვეთს და დამატებით გადასახადს ისევ ჩვენგან ამოიღებენ ან 210 მილიონის ღირებულების უძრავი ქონების ნაცვლად, მათ სარგებლობაში გაცილებით მეტი გადავა**

**P.S.** დღევანდელ რეალობას ყველაზე მეტად მიესადაგება ფრაზა ფილმიდან „თოჯინები იცინიან“: „რატომ იყო რვოლუციამდელი ბავშვი გონებაჩლუნგი? იმიტომ, რომ მას არ ჰქონდა სათამაშო“. სათამაშოების გარეშე დარჩენილი თაობა, ანუ გონებაჩლუნგი თაობა ყველაზე მეტად ხელს აძლევს ხელისუფალს, რადგან განათლებული ერის მართვა ძნელია, გაუნათლებელს კი ხან „სარკო, სარკოს“ აყვირებ რუსთაველზე და ხანაც ტაშს დააკვრევინებ თავისუფლების მოედანზე იმ სტატუსისთვის, რომელიც კი არ მოიპოვე, არამედ, უბრალოდ, რიგმა მოგიწია და გერგო. ისე, გაგიგონიათ, ევროსაბჭოს თავმჯდომარეობა რომელიმე ევროპულ ქვეყანაში ასე პომპეზურად რომ ეზეიმოთ და მილიონები დაეხარჯოთ? არა. და იცით, რატომ? იქ ფულს სხვა დანიშნულებას უძებნიან და ხალხს ახარჯავენ, იმ ხალხს, რომელმაც მომავალი უნდა შექმნას. ჩვენი მომავალი კი ახალ წელს 33 ლარზე გაივლის...

სპეცსამსახურები
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ერთმა მედიკოსმა გოტლიბის ჯგუფიდან კენტუკის შტატის ფედერალურ ციხეში შეარჩია 7 აფროამერიკელი და 77 დღის განმავლობაში მათ ყოველდღიურად კვებავდა ელ-ეს-დეს სამმაგი დოზით. ამის შესახებ პატიმრებმა, რა თქმა უნდა, არაფერი იცოდნენ. ამოცანა იყო, შეეძლო თუ არა ასეთ ძალადობას, გაენადგურებინა ადამიანის ფსიქიკა. როგორც გაირკვა, შეეძლო.**

# «ადამიანებს სასტიკად აწამებდნენ»

## ამერიკელი მწერალი სტივენ კინცერი ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მიერ შემუშავებული ცნობიერების გასაკონტროლებელი პროგრამების შესახებ

**ცსს-მ (აშშ-ის ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ) წლები მოანდომა ადამიანის ცნობიერების გაკონტროლების შესწავლას. ამერიკული სპეცსამსახურები უარს არ ამბობდნენ ისეთ მეთოდებზე, როგორსაც იყენებდნენ ნაცისტურ საკონცენტრაციო ბანაკებში; უარს არ ამბობდნენ, აგრეთვე, შხამის არსენალის გამოყენებაზეც, მაგრამ საიდუმლო პროგრამა ჩაფლავდა — ექსპერიმენტატორებმა მხოლოდ დაანგრიეს საცდელი ობიექტების გონება, ადამიანის დამორჩილება კი ვერ მოახერხეს, თუმცა ბევრი შემუშავებული მეთოდი და ხერხი გამოიყენეს ვიეტნამსა და ახლო აღმოსავლეთის სამხედრო კამპანიებისას, აგრეთვე, გუანტანამოს ციხეში. ამის შესახებ ჟურნალისტ კრის ჰეჯესს უამბო ამერიკელმა ჟურნალისტმა და მწერალმა სტივენ კინცერმა, რომელმაც სპეცსამსახურების საიდუმლო საქმიანობას მიუძღვნა წიგნი „მთავარი მომწამვლელი. სიდნი გოტლიბი და ცსს გონების გასაკონტროლებელი საშუალებების ძიებაში“.**



სტივენ კინცერი

**— აშშ-ში არის ორი ტიპის ხელისუფლება: პირველი, ხილული — ეს არის თეთრი სახლი, კონგრესი, სასამართლოები, შტატების საკანონმდებლო ორგანოები, გუბერნატორები; მეორე ტიპი — ეს არის ე.წ. სიღრმისეული სახელმწიფო, რომელიც განაგრძობს მუშაობას, მიუხედავად იმისა, რომელმა სახელმწიფომ გაიმარჯვა არჩევნებში. მისი ყველაზე მძლავრი ორგანოებია სადაზვერვო სამსახურები. ისინი აკონტროლებენ უზარმაზარ ჩრდილოვან სამყაროს, რომლის ამოცანაა, მხარი დაუჭიროს „უხილავი“ მთავრობის მუშაობას. შეგიძლიათ, ამის შესახებ დაწვრილებით მოყვეთ?**

— მთელი ჩემი კარიერა მივუძღვენი იმას, რაზეც ახლა თქვენ ილაპარაკეთ — იმის შეტყობის მცდელობას, რაც იმალება საგარეო და საშინაო პოლიტიკის ფასადს მიღმა. და მე აღმოვაჩინე უამრავი რამ. ვერ ვიჯერებ, რომ ასეთი რამ ნამდვილად არსებობდა.

მაგრამ მოდი, ყველაფერი რიგის მიხედვით:

**ჯერ კიდევ მანამ, სანამ გოტლიბი (სიდნი გოტლიბი — ამერიკელი ქიმიკოსი, მონაწილეობდა ცსს-ის საიდუმლო პროგრამებში) გამოჩნდებოდა სცენაზე, პროპაგანდისტებმა ცსს-დან მოიფიქრეს ტერმინი „ტვინების პროგრამირება“. ის პირველად გამოიყენა სპეცსამსახურებისთვის მომუშავე ადამიანმა, რომელიც ცდილობდა, დაერწმუნებინა ამერიკელები, რომ საბჭოთა კავშირს მათი „ტვინების გამორეცხვა“ სურს. და ცსს-ის თანამშრომლებმა თავიანთი გამოგონილი ტყუილი დაიჯერეს.** ამისთვის ჰქონდათ მიზეზი. მოხდა მოვლენები, რომლებიც სადაზვერვო სამმართველოში არასწორად აღიქვეს.

**— რომელ მოვლენებს გულისხმობთ?**

— მათგან ერთ-ერთია უნგრეთში კათოლიკე კარდინალის სასამართლო 1949 წელს. პროცესის მიმდინარეობისას ზოგჯერ შეიძლებოდა ვინმეს მოჩვენებოდა, რომ მისი ლაპარაკი ძალიან მონოტონურია, მზერა კი — „გაყინული“, და, საერთოდ, ის აღიარებს იმას, რაც სინამდვილეში არ ჩაუდენია. აშშ-ში გადაწყვიტეს, მისთვის „ტვინი გამოერეცხათ“. **ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოში გადაწყვიტეს, რომ სსრკ-ში გამოიგონეს რაღაც „აბი“, რომელიც გონების გაკონტროლების საშუალებას იძლეოდა. ასეთივე აზრს აჩენდა ვითარება, რომელიც შეიქმნა კორეის ომის შემდეგ ჯარიდან დათხოვნილი ამერიკელი სამხედროების გარშემო, რომლებიც ხელს აწერდნენ ამერიკის შეერთებული შტატების დამგმობ განცხადებებს, ზოგიერთმა მათგანმა აღიარა ბაქტერიოლოგიური იარაღის გამოყენებაც, რომელიც, ვაშინგტონის განცხადებების თანახმად, არ გამოუყენებიათ.** ამჯერადაც ერთადერთი ახსნა, რომლის მოსმენაც სურდა ცსს-ს, იყო ის, რომ „მათ ტვინები გამოურეცხეს“ და ამ მომენტში სამმართველოს დირექტორ **ალენ დალესს** გაუჩნდა აზრი: **მსოფლიოზე ბატონობის გასაღები არის გონების გაკონტროლებაში და, თუკი მოძებნი სხვისი ცნობიერის მართვის ხერხს, შეიძლება მსოფლიო მართო!**



ის მართლა ფიქრობდა, რომ ასეთი რამ შეიძლება ნაწილობრივ იმ მოვლენების გამო, რომლებიც ვახსენე, მაგრამ იყო სხვა გარემოებაც. ვგულისხმობ მასობრივ კულტურას — ეს ფილმები, წიგნები და ისტორიები ჰიპნოზიორ-მანიპულატორებზე, ანუ მათზე, ვინც რაღაცას აწვეთებდა ვიღაცის ბოკალში, და ადამიანზე, რომელიც ამ სასმელს დალევდა, სჩადიოდა მკვლელობას, მაგრამ მერე ეს ყველაფერი უკვალოდ ქრებოდა მისი მეხსიერებიდან. და **ცსს-ში გადაწყვიტეს: იმას, რისი მოგონებაც შეუძლიათ ბელეტრისტებს, მეცნიერები ხორცს შეასხამენ ცხოვრებაში.**

მათ სჭირდებოდათ ქიმიკოსი, რომელიც მზად იქნებოდა, უგულებელეყო უმრავლესობისთვის სავალდებულო ეთიკური ნორმები. ასე გავიდნენ ისინი უცნაურ ადამიანზე, რომლის სახელი იყო **სიდნი გოტლიბი.** სწორედ მას უკავია ცენტრალური ადგილი ჩემს წიგნში.

**— დავუბრუნდეთ ომის შემდგომ პერიოდს. ოპერაცია სახელწოდებით „სამაგრი“: აშშ იბირებს და, ასე ვთქვათ, ათეთრებს სამხედრო დამნაშავეებს, რომლებიც ხელმძღვანელობდნენ სამედიცინო ცდებს ადამიანებზე საკონცენტრაციო ბანაკებში და იაპონელების მიერ ოკუპირებულ მანჯურიაში. გვიამბეთ იმ მეცნიერებზე, რომლებიც ჩართეს ამ პროგრამაში.**

— გოტლიბი მსჯელობდა ასე: **სანამ ვიღაცის ტვინში ჩავდებთ ახალ გონებას, მანამდე წინა უნდა წავშალოთ, დავანგრიოთ ადამიანის ფსიქიკა, მისი სული და ორგანიზმი, თუკი შევძლებთ. რით დავიწყოთ? არიან კი ამ საქმის ექსპერტები? რა თქმა უნდა — ნაცისტური საკონცენტრაციო ბანაკების ექიმები! და ისინი, ვინც დაკავებულნი იყვნენ ვივისექციით (ქირურგიული ოპერაცია ცხოველებზე ორგანიზმის ფუნქციების გამოსაკვლევად. — ნ.კ.) მანჯურიაში** (მეორე მსოფლიო ომის პერიოდში იაპონელმა სამხედროებმა ჩინეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე შექმნეს „რაზმი 731“, რომელიც ცდებს ადამიანებზე ატარებდა). იმის ნაცვლად, რომ ეს ადამიანები ჩამოეხრჩოთ, აშშ-მა მათ სამსახურები მოუძებნა. სახელდობრ, ეს ადამიანები იქცნენ ცნობიერების გაკონტროლების ამერიკული პროგრამის საძირკვლად.

**— თქვენ წერთ, რომ ამერიკელებს ხელი მიუწვდებოდათ მათ კვლევებზე, მათ შორის, ნიმუშებზე იმ ქსოვილებისა, რომლებსაც ცოცხალი ადამიანებისგან იღებენ...**

— აშშ-ში ძალიან უხაროდათ, როდესაც შეიტყობდნენ სასიკვდილო შედეგით დასრულებული ცდების შესახებ. ამ ცდების ჩამტარებელი ადამიანები ფასდაუდებელ კოლეგებად იქცნენ ექიმებისთვის ცსს-დან. **წიგნისთვის საჭირო მასალების შესწავლისას, მე, როგორც ჩანს, მივაგენი, ცსს-ის პირველ საიდუმლო ციხეს გერმანიაში. ერთი შეხედვით, შეიძლება იფიქრო, რომ ეს სასტუმროა. მფლობელი, ახალგაზრდა გერმანელი მეწარმე, ძალიან თავაზიანი იყო: შიგნით შემიშვა და სარდაფში ჩამიყვანა. იქ მითხრა: „აქ იყო კამერები, სადაც ცსს-ის ექიმები ნაცისტ კოლეგებთან ერთად ატარებდნენ ცდებს, რომლებიც საკონცენტრაციო ბანაკებში დაწყებული ცდების გაგრძელება იყო“. მისი თქმით, ახლომახლო მცხოვრებმა მოხუცებმა შესანიშნავად იციან, რაც ამ შენობაში ხდებოდა.** მათ მიამბეს სამარხების შესახებ, ადრე იქ, სადაც ადამიანები მარხია, ტყე იყო, ახლა კი ამ ადგილას მრავალსართულიანი სახლებია.

**— ამ ადამიანებს „სახარჯო მასალას“ ეძახდნენ...**

— ასე უწოდებდნენ მათ, ვისი წამებაც შეიძლებოდა სიკვდილამდე ან გამოყენება ექსპერიმენტებში, რომ- ▶

საუცხოსამსახურები
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოში გადაწყვიტეს, რომ სსრკ-ში გამოიგონეს რაღაც „აბი“, რომელიც გონების გაკონტროლების საშუალებას იძლეოდა. ასეთივე აზრს აჩენდა ვითარება, რომელიც შეიქმნა კორეის ომის შემდეგ ჯარიდან დათხოვნილი ამერიკელი სამხედროების გარშემო, რომლებიც ხელს აწერდნენ ამერიკის შეერთებული შტატების დამგმობ განცხადებებს. ზოგიერთმა მათგანმა აღიარა ბაქტერიოლოგიური იარაღის გამოყენებაც, რომელიც, ვაშინგტონის განცხადებების თანახმად, არ გამოუყენებიათ.**

ლებიც მსხვერპლის სიკვდილით მთავრდებოდა. ესენი იყვნენ ადამიანები ევროპიდან და აღმოსავლეთ აზიიდან: მტრის სავარაუდო აგენტები, ლტოლვილები, რომლებსაც ისეთი ნაცნობი არავინ ჰყავდათ, რომელსაც შეეძლო ეჩივლა. აი ასეთ „სახარჯო მასალაზე“ ატარებდნენ ცდებს სიდნი გოტლიბი და მისი გუნდის წევრები.

— **კონკრეტულად რის მიღწევა სურდათ მათ?**

— **სურდათ, გაეგოთ, როგორ გაენადგურებინათ ადამიანი ფსიქიკურად. გოტლიბის პროექტები ხორციელდებოდა, როგორც აშშ-ში, ისე საზღვარგარეთ. ამერიკაში ის ცდებს, ძირითადად, პატიმრებზე ატარებდა.**

— **აფროამერიკელებზე?**

— ძირითადად. სახელდობრ, მათზე, სხვათა შორის, ჩატარდა ერთი წარმოუდგენელი ექსპერიმენტი. **ერთმა მედიკოსმა გოტლიბის ჯგუფიდან კენტუკის შტატის ფედერალურ ციხეში შეარჩია 7 აფროამერიკელი და 77 დღის განმავლობაში მათ ყოველდღიურად კვებავდა ელ-ეს-დეს სამმაგი დოზით, რომლის შესახებაც პატიმრებმა, რა თქმა უნდა, არაფერი იცოდნენ. ამოცანა იყო, შეეძლო თუ არა ასეთ ძალადობას, გაენადგურებინა ადამიანის ფსიქიკა? როგორც გაირკვა, შეეძლო.** ამ შვიდი ადამიანის ბედი უცნობია, მათი სახელებიც — ყველა დოკუმენტი გაანადგურეს. გოტლიბის გუნდი კიდევ უფრო საშინელ ცდებს ატარებდა ევროპასა და აღმოსავლეთ აზიაში. ამ ცდების მიმდინარეობისას ადამიანებს სიკვდილამდე აწამებდნენ. ცდის მიმდინარეობისას ერთ-ერთ „სახარჯო მასალას“ ბარბიტურატების დახმარებით ჯერ კომაში აგდებდნენ, შემდეგ მის ორგანიზმში შეჰყავდათ სტიმულატორების კოლოსალური დოზა. კომიდან ჰიპერაქტიურ მდგომარეობამდე გადაყვანისას ზემოქმედებდნენ ელექტროდენით და ადამიანს ამყოფებდნენ ჯერ მკვეთრად დაბალ ტემპერატურაზე, შემდეგ — მკვეთრად მაღალზე. ანგრევდა ფსიქიკას ასეთი ცდა? — რა თქმა უნდა.

— **ცნობილია, რომ გოტლიბმა ნიუ-იორკში, სან-ფრანცისკოსა და მარინის ოლქში მოაწყო ე.წ. თავშესაფრები. როგორ მუშაობდა ეს თავშესაფრები?**

— მან ჩაატარა ექსპერიმენტების სერია — 149 ე.წ. ქვეპროექტი. ერთ-ერთის მიზანი იყო, შეიძლებოდა თუ არა, ადამიანი გამოეტეხათ სექსისა და ნარკოტიკების გამოყენებით, ოღონდ სხვადასხვა შეფარდებით. ამისთვის სან-ფრანცისკოში, გახსნეს ბორდელი, ტელეგრაფ-ჰილის რაიონში.

— **აქ უნდა ვახსენოთ უაიტი, რომელიც ბორდელს მართავდა...**

— დიახ. გოტლიბის გადაწყვეტილებით სან-ფრანცისკოში ბორდელის მმართველად დანიშნეს ნარკოტიკებთან ბრძოლის ფედერალური ბიუროს აგენტი **ჰანტერ უაიტი.** ამ ოპერაციას ერქვა „შუაღამის კულმინაცია“.

უაიტი კანონის დამცველი კი იყო, მაგრამ თვითონ კანონს არაფრად აგდებდა. თანამდებობა მას ხელს არ უშლიდა, მოეხმარა ნარკოტიკები და ალკოჰოლი დიდი რაოდენობით.

— **სხვათა შორის, უფრო ადრე მან ცხოვრება დაუნგრია ჯაზის ვარსკვლავს — ბილი ჰოლიდეის...**

— დიახ, **ნიუ-იორკში ის დევნიდა ჯაზმენებს, შემდეგ გადავიდა სან-ფრანცისკოში. ბორდელში სამუშაოდ აიყვანა ჯგუფი მეძავეებისა, რომლებსაც ფულს უხდიდა, რათა მათ მამაკაცები მიეზიდათ. ჯორჯ ჰანტერ უაიტი კი — ადამიანი, რომელსაც არც ფსიქოლოგის განათლება ჰქონდა, არც შესაბამისი გამოცდილება, ყველაფერს სარკიდან აკვირდებოდა, თან მარტინის მიირთმევდა.**

10 წლის განმავლობაში ჩატარებული ექსპერიმენტებით გოტლიბი მივიდა დასკვნამდე, რომ არსებობს ადამიანის ფიზიკური და ფსიქიკური განადგურების უამრავი მეთოდი, მაგრამ წარმოქმნილ სიცარიელეში ახალი გონების ჩადების ხერხი ვერ იპოვა. ის მივიდა დასკვნამდე, რომ ცნობიერების მართვა მითია. ის ათი წლის განმავლობაში ტყუილუბრალოდ აწამებდა ადამიანებს.

მოგვიანებით გაირკვა, რომ მან მნიშვნელოვანი კვალი დატოვა ცსს-ის საქმიანობაში, რამდენიმე ნაშრომიც კი დაწერა დაკითხვის შესახებ. გოტლიბი ამერიკაში, შეიძლება, მსოფლიოშიც ყველაზე კარგად ერკვეოდა შხამებში.

— **გოტლიბი მუშაობდა ბიოლოგიურ საშუალებებთან, ზარინთან. მათ ჰქონდათ ასეთი სახეობის იარაღის მთელი არსენალი. ვფიქრობ, აქ უნდა გავიხსენოთ მეცნიერი ცსს-დან ოლსონი...**

— დიახ. გოტლიბის ჯგუფში იყო ქიმიკოსი **ფრენკ ოლსონი,** რომელიც მერილენდის შტატის ფორტ-დეტრიკის ბაზის ლაბორატორიაში მუშაობდა და ის ეჭვის თვალით უყურებდა ამ საქმიანობას.

1953 წლის ზაფხულში ოლსონი გაემგზავრა ევროპაში, სადაც ნახა, როგორ აწამებდნენ ადამიანებს და სიკვდილამდე მიჰყავდათ შხამებით, რომლებიც მისი დამზადებული იყო. ის ისე შეძრა ნანახმა, რომ ცსს-დან წასვლა გადაწყვიტა და ამის შესახებ კოლეგებს უთხრა. ინფორმაცია სწრაფად მივიდა გოტლიბამდე. ჯგუფის წევრებიდან ოლსონი ერთადერთი იყო, ვისაც სინდისი ქენჯნიდა. რამდენიმე კვირის შემდეგ, რაც მან თავისი ეჭვების შესახებ დაიწყო ლაპარაკი, ოლსონი დაიღუპა — მეცამეტე სართულიდან გადახტა.

— **მაგრამ გოტლიბი მალულად აძლევდა ელ-ეს-დეს თავის თანამშრომლებსაც კი, მათ შორის ოლსონსაც, რათა შეეფასებინა ეფექტი...**

—- ელ-ეს-დე-თი გოტლიბი აღტაცებული იყო. ოლსონის სიკვდილიდან მხოლოდ 22 წლის გასვლის შემდეგ უთხრეს მის ოჯახს, რომ ეს არ იყო უბრალო თვითმკვლელობა დეპრესიის გამო: „უნდა ვაღიაროთ, რომ მალულად ვაძლევდით მას ელ-ეს-დეს. მას დაემართა ნარკოტიკული ფსიქოზი, რომელსაც ჩვენ შევუწყვეთ ხელი. აშშ-ის იმჟამინდელი პრეზიდენტი **ჯერალდ ფორდი** ოლსონის ნათესავებს შეხვდა, რათა მათთვის ბოდიში მოეხადა — ასეთი რამ ადრე არ მომხდარა! ამის მიუხედავად, ოლსონის ოჯახი ამჟამად მიიჩნევს, რომ ელ-ეს-დესთან დაკავშირებული გარემოება მორიგი მცდელობაა, დამალონ ინფორმაცია იმის შესახებ, რომ **ოლსონს სუიციდი არ ჩაუდენია — ის ფანჯრიდან** გადააგდეს.




**«10 წლის განმავლობაში ჩატარებული ექსპერიმენტებით გოტლიბი მივიდა დასკვნამდე, რომ არსებობს ადამიანის ფიზიკური და ფსიქიკური განადგურების უამრავი მეთოდი, მაგრამ წარმოქმნილ სიცარიელეში ახალი გონების ჩადების ხერხი ვერ იპოვა. ის მივიდა დასკვნამდე, რომ ცნობიერების მართვა მითია. ის ათი წლის განმავლობაში ტყუილუბრალოდ აწამებდა ადამიანებს»**





— **ჩატარდა ექსჰუმაცია და რა გაირკვა?**

— შუბლზე უპოვეს უზარმაზარი ჰემატომა.

— **არადა, მიწაზე ზურგით დაეცა...**

— მოგვიანებით ჩვენ ვიპოვეთ გოტლიბის მიერ იმხანად დაწერილი მკვლელობის „ინსტრუქცია“. მასში მითითებულია, რომ ყველაზე ეფექტიანი მეთოდი ადამიანის გადმოგდებაა დიდი სიმაღლიდან, მაგრამ მანამდე ის შუბლში დარტყმით უნდა გათიშო. ასე რომ, ყველაფერი ემთხვევა.

— **ახლა ვისაუბროთ მაკგილის უნივერსიტეტზე, რომელშიც სწავლობდნენ, როგორ გაეტეხათ ადამიანი. შემდეგ ამას იყენებდნენ ე.წ. ადამიანის საგანგებო გადაცემისას გუანტანამოში და ა.შ.**

— დიახ. ყველა მეთოდი, რომლებსაც იყენებდა და აღწერილი აქვს გოტლიბს, საფუძვლად დაედო იმ მეთოდებს, რომლებსაც იყენებდნენ ვიეტნამში, ლათინურ ამერიკასა და ახლო აღმოსავლეთში.

— **იყენებდნენ იზოლაციის უკიდურეს ფორმას, სენსორულ გადატვირთვას, დეპრივაციას. და გაირკვა, რომ მათი დახმარებით ადამიანი შეიძლება ძალიან სწრაფად „გადავარდეს“ ბავშვობაში და სრულიად იყოს დამოკიდებული იმაზე, ვინც მას დაჰკითხავს...**

— დამოკიდებულება საკვანძო როლს თამაშობს. **გოტლიბმა პირველმა განავითარა ცსს-ში შემდეგი იდეა: იმისთვის, რომ ადამიანმა შენი ყველა მითითება შეასრულოს, მას უნდა მოაშორო ყველა სენსორული გამაღიზიანებელი და აიძულო, ირწმუნოს, რომ შენ ხარ რეალურ სამყაროში დაბრუნების ერთადერთი საშუალება. სახელდობრ, ასე მოქმედებდნენ ვიეტნამსა და ლათინურ ამერიკაში, შემდეგ — ძალიან დახვეწილად ისეთ ადგილებში, როგორიც არის გუანტანამო.**

— **გამოდის, ეს იმ მეთოდოლოგიის განახლებული ვერსიაა?**

— ეს მხოლოდ ერთი მაგალითია იმისა, რომ გოტლიბის ნამუშევარი განაგრძობს არსებობს.

— **ცივი ომის დასაწყისში ხელისუფლება ამბობდა, რომ საგანგებო ვითარების შემთხვევაში აშშ-ისთვის განსაკუთრებული საფრთხის წინაშე ამერიკელებმა შეიძლება დაარღვიონ ზოგიერთი წესი, ეთნიკური და ზნეობრივი პრინციპები, რომლებსაც ჩვენ ჩვეულებრივ ვიცავთ, ამჟამად ჩვენ იმავეს გვეუბნებიან.**

— გამუდმებით წარმოიქმნება ხოლმე საგანგებო ვითარებები, რომელთა გამოც დაუცველი ვართ ისეთი განცხადებების გამო, როგორებიც არის: „ჩვენ უნდა გავაძლიეროთ თვალთვალი, გავაძლიეროთ კონტროლი, შევზღუდოთ სამოქალაქო თავისუფლებები, როდესაც ხიფათი ჩაივლის, ყველაფერი თავის ადგილს დაუბრუნდება“.

მაგრამ ასე, რა თქმა უნდა, არ ხდება.

მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



გორში სტალინის კარის მეზობელი და უახლოესი მეგობარი, შემდგომ მწერალი და პუბლიცისტი დავით კასრაძე ყველაზე რეალურად აღწერს სტალინის პიროვნებას, თუ ვინმეს მსოფლიოში სტალინის ფენომენზე უმუშავია. და ეს ყველაფერი ყოველდღიურ მეზობლურ და მეგობრულ გარემოშია დაწერილი ერთ-ერთი გამოჩენილი მწერლისა და პუბლიცისტის მიერ, რომელიც ჩვენი საყვარელი მსახიობის — ქართლოს კასრაძის მამა იყო.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №42-43, 2019 წ.

# სტალინი. დაბადება

**„იბადებოდა ქვეყნის სიცოცხლე,**
**თითქოს იმ აკვანს ფესვით მიება,**
**იბადებოდა ქალდეველ მონის,**
**რომის პლებეის შურისძიება.**

*(„სტალინის ყრმობა და ბავშვობა“, გ. ლეონიძე)*

**საუკუნეები დასჭირდა საქრისტიანოს, რათა დაწყნარებულიყო, ყველაფერს — კეთილსა და ბოროტს — თავისი სახელი დარქმეოდა. დაწყნარდა და განისაჯა ყოველივე. კაცობრიობა რაც უფრო შორს მიდის, მით მკვეთრი ხდება მისი მხედველობა, მაგრამ საგნებს იმდენ განზომილებაში ხედავს, რომ ძნელია, განსაზღვროს, რომელ პრიზმაში იდგა ესა თუ ის მოვლენა ამ თუ იმ წელს.**

საუკუნის წინათ დედამიწაზე მცხოვრები ადამიანების (2 მილიარდამდე) უმრავლესობა **იოსებ ჯუღაშვილს** სტალინად აღიქვამდა. არავინ იცოდა და არც ახლა ვიცით, საიდან წარმოდგა სიტყვა სტალინი: სტალიდან — ძველქართულ ფოლადაურიდან თუ ჯულადან, ან იქნებ სულ სხვა კონტინენტზე გავრცელებულ სახელისგან არის წარმოებული?! იოსების აღიარებული დედა **კეკე** 21 დეკემბერს აღნიშნავდა თავისი უსაყვარლესი სოსელოს დაბადების დღეს რეცხვით, ხელსაქმითა თუ ფიზიკური შრომით გამომუშავებული კაპიკებით. 21 დეკემბრისთვის ყიდულობდა ყველაზე მოხდენილ ტანსაცმელს თავისი ჭკვიანი ბიჭისთვის.

მსოფლიო პოლიტიკის დინოზავრებიც 21 დეკემბრისთვის ამზადებდნენ ცივილიზაციის გადამრჩენლისთვის განკუთვნილ ყველაზე ძვირფას საჩუქრებსა და სიტყვებს დეპეშებისთვის მისთვის დაბადების დღის მისალოცად.

მაშ, ვის გაუჩნდა ეჭვი, რომ იოსები არ იყო 21 დეკემბერს დაბადებული ან რა საიდუმლოებას ინახავდა 100 წლის განმავლობაში გორის ეკლესია, რომ დღემდე ვერავინ მიაგნო სტალინის ნათლობისა და დაბადების მოწმობებს, ეს მოწმობები ისეთივე „ფარშივი“ დოკუმენტებია, როგორც ნიკიტა **ხრუშჩოვისა** და **მიხეილ გორბაჩოვის** განკარგულებით შექმნილი და „განსაკუთრებით საიდუმლოდ“ შენახული უამრავი სხვა დოკუმენტი.

მეტი დამაჯერებლობისთვის აქვე მომყავს სტალინის „სიყალბის“ კიდევ ერთი დამამტკიცებელი დოკუმენტი.

ასეთი ყალბი დოკუმენტების შექმნა ხომ ყველა ფალსიფიკატორსა და ყალთაბანდს შეუძლია. მაშ, რატომ უნდა ვიხელმძღვანელოთ საეჭვოდ შეთითხნილი დოკუმენტით, როდესაც არსებობდნენ როგორც მშობლები, ისე თვით იუბილარი?

რატომ უნდა დავუჯეროთ ლეგენდას, რომ სტალინის მამა რუსი მოგზაური **ნიკოლოზ პრჟევალსკი** უნდა ყოფილიყო, როდესაც სტალინის სავარაუდო ჩასახვამდე (1977 წ) და ჩასახვიდან 10 წლის განმავლობაში პრჟევალსკის კავკასიაში საერთოდ ფეხი არ დაუდგამს?!

პრჟევალსკის 1877 წელს ჩინეთში მოგზაურობისას მძიმე სენი შეეყარა და უკან დაბრუნებული მოგზაური შუა აზიაში ხანგრძლივი დროით მკურნალობდა. ავადმყოფობის გართულების გამო იგი 1878 წლის აპრილში პეტერბურგში გადაიყვანეს. როდის შეხვდებოდა გორელ ქალს — კეკე გელაძეს?! მაგრამ აქ მთავარი ის არის, რომ პრჟევალსკი თურმე სახით ძალიან ჰგავს თავის „შვილს“ — სტალინს. განსჯისათვის იხილეთ „მამა“-„შვილის“ ფოტოები.

სტალინის მამობაზე ზოგიერთ „მკვლევარს“ აქვს „მტკიცებულებები“, რომ ის წარმოშობით სომეხია, რადგან იმხანად გორის პოლიციის უფროსად ვინმე სომეხს უმუშავია... ყველაზე საინტერესო კი ის ვერსიაა, რომ სტალინი რუსი მონარქის, **ალექსანდრე მესამის**, შვილი უნდა ყოფილიყო.

**ინგლისელი ისტორიკოსი და მწერალი საიმონ სებაგმონტეფიორე, რომელმაც შექმნა მსოფლიოში არნახული „აჯაფსანდალი“ სტალინის პიროვნებაზე, ერთ სიმართლეს მაინც ვერ გაექცა და ეჭვგარეშე დაასკვნა, რომ იოსებ ჯუღაშვილის მამა ბესარიონ ჯუღაშვილია, ხოლო სტალინი დედითა და მამით ყველაზე ცნობილი ქართველია მსოფლიოში** (ამაზეც დიდი მადლობა — გრ. ონიანი).

სტალინამდე ბესარიონსა და კეკეს ორი ბიჭი გაუჩნდათ, მაგრამ არავინ ხდის საეჭვოდ მათ ნამდვილ შვილობას თავიანთი მშობლებისა. რატომ შეიქნა ყველაზე ბევრი „ნაკლის“ მქონე პატარა სოსოს მამობა ასე საეჭვო; რომ ყველა, ვისაც ხელში კალმის აღება შეუძლია, შინაური თუ გარეშე, პატარა სოსოს მამის ვინაობას და დაბადების თარიღის ნამდვილობას არკვევს, მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვეთაგან მრავალგზის არის დადასტურებული, როგორც მშობლების ვინაობა, ისე მისი დაბადების თარიღიც?

გორში სტალინის კარის მეზობელი და უახლოესი მეგობარი, შემდგომ მწერალი და პუბლიცისტი **დავით კასრაძე** ყველაზე რეალურად აღწერს სტალინის პიროვნებას, თუ ვინმეს მსოფლიოში სტალინის ფენომენზე უმუშავია. და ეს ყველაფერი ყოველდღიურ მეზობლურ და მეგობრულ გარემოშია დაწერილი ერთ-ერთი გამოჩენილი მწერლისა და პუბლიცისტის მიერ, რომელიც ჩვენი საყვარელი მსახიობის — **ქართლოს კასრაძის** მამა იყო (ამაზე კი — ქვემოთ).

აი ეს ქალბატონი ზრდიდა პატარა მებრძოლ ბახალას, რომელიც მალე გადაუფრენს კავკასიონს და საარაკო ადამიანად იქცევა.

**„მყინვარს შვენის**
**ნისლის ბადე,**
**შევარდენი მეხთან ომობს,**
**სტალინ. შენი სიდიადე**
**ვინა სთქვას და**
**გიგალობოს“.**

აი ამ პატარა ბუდიდან გამოანათა სხივმა, რომელმაც მსოფლიო გაანათა.

„ძველი გორი ისევ დგას ბედად გადარჩენილი“.
*(იხ. ფოტო 1)*

სურათზე მარცხნივ, სადაც ყმაწვილია ჩამომჯდარი ფანჯრის რაფაზე, სტალინის დაბადების ნამდვილი ადგილია (სახლი). ეს ფოტო **შალვა ლოლაძის** პირადი არქივიდან არის ამოღებული.

1890 წელს სოსო, ლამაზად ჩაცმული და დავარცხნილი, დედიკოს მიჰყავს გორის სასულიერო სასწავლებელში, სადაც შედგა ნაცნობობა ახალ მეგობრებთან, რომლებთანაც კავშირი სიცოცხლის ბოლომდე არ გაუწყვეტია.

1892 წელს სასულიერო სემინარიის მეორე კურსის მოსწავლემ, 12 წლის სოსო ჯუღაშვილმა თავი მოუყარა მეგობრებს და საყვარელ მასწავლებელს, რომლებთანაც სურათი გადაიღო, თვითონ კი, როგორც ორგანიზარტორმა, ხელში ყვავილების კონით ბოლო რიგის შუა ადგილი დაიკავა. საინტერესო ის არის, რომ არსებობს სია იმ პირებისა, რომლებიც ამ ფოტოზეა წარმოდგენილი.
*(იხ. ფოტო 2)*

მარცხნიდან მარჯვნივ I რიგში:
1. პეტრე კაპანაძე
2. ტიტე ჩუტკერაშვილი
3. დავიდოვი
4. იოსებ ჯუღაშვილი
5. დავით სალარიძე (ვახტანგ სალარიძის მამა)
6. მირა ქარუხანაშვილი
7. ალექსანდრე ელისაბედაშვილი

II რიგში:
1. დარიშენდო გოგოხია
2. სადიანიძე
3. გიორგი მაჭარაშვილი
4. ხუციშვილი
5. სიმონ გოგლიძე
6. ჯერანაშვილი
7. კორნელი კეკელიძე
8. გაგოშიძე

III რიგში:



ნიკოლოზ პრჟევალსკი



**«სოსოს არ უცხოვრია საშუალო საუკუნეებში და აჯანყებული დემონის ნაცვლად იმიტომ იქცა სულ სხვა არსებად, რასაც თვითვე გამოუჭედა ძალოვანი სახელი „სტალინი“. შემთხვევითი როდი იყო მისი ასეთი ფსევდონიმი. მასში გარეულია ფილოსოფიური შხამი მისი წარსულისა, რომელმაც აღაგზნო, გამოაფოლადა რელიგიური მისტიციზმით; მასში უფრო, ვიდრე სხვა რომელიმე რევოლუციონერში უწყინარი ბუნება იქცა სიშმაგედ!»**





## „სტალინის სილუეტი სხვადასხვა სახით გამოკრთის მისი ცხოვრების პერიფერიებზე: დღევანდელი სტალინი შორეულ წარსულში ჯუღაშვილი იყო. მისი სახელი არც კობა ყოფილა და არც იოსები, უბრალოდ, სოსოთი კმაყოფილდებოდა. მისი სურათიც არაა განსაკუთრებული: აიღეთ ციცრის კვერცხი, ჭორფლისა და ყვავილის ლეჩაქის მოზაიკით და მიიღებთ პატარა სოსოს ნამდვილ პორტრეტს“.

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

1. ლიღვაშვილი
2. ეფრემიძე
IV რიგში:
1. გიორგი გოგიშვილი
2. ვადაგაძე
3. ხოხიაშვილი.

1939 წელს 60 წლისთავზე თბილისში სტალინის გორელმა და თბილისის სასულიერო სემინარიის მოსწავლეებმა დარჩენილთაგან სურათი გადაიღეს და გაუგზავნეს ამხანაგ სტალინს კრემლში. აი ეს სურათიც:

*(იხ. ფოტო 3)*

სურათს მეორე მხარეს გაკეთებული აქვს წარწერა: ამხანაგ სტალინის (ს. ჯუღაშვილის) სიყრმის ამხანაგები, რომლებიც მასთან სწავლობდნენ მისი შეგირდობის დროს გორის სასულიერო სასწავლებელში და ქ. თბილისის სასულიერო სემინარიაში.

მარცნიდან მარჯვნივ:
I რიგში:
1. ღვინიაშვილი ა. რ.
2. გოგოხია დ. ვ.
3. რაზმაზე გ. ა.
4. ტიტვინიძე მ.
II რიგში:
1. ქარუხანაშვილი მ.
2. ხვადაგაძე ზ.
3. ხახანიშვილი კ. ი.
4. კაპანაძე პ. ს (ლენინის ორდენოსანი)
5. ელისაბედაშვილი (სოცუზრუნველყოფის მინისტრი)
6. გლურჯიძე გ. (ლენინის ორდენოსანი)
7. კეკელიძე კ. (პროფესორი)
8. ელიზბარიშვილი მ.
9. მეგრელიშვილი
III რიგში:
1. — კასრაძე
2. დეკანოზიშვილი ი.
3. სალარიზე დ.
4. ლაშაური ა.
4. ციხითათარაშვილი ა.
6. შუბლაძე
7. ხუციშვილი მ.
IV რიგში:
1. რეხვიაშვილი ვ.
2. მონასელიძე მ.
3. კასრაძე დ. ი (მწერალი)
4. სვანაძე გ. (კომპოზიტორი)

1939/21/12, ქ. თბილისი.

(მასალები ამოღებულია ვახტანგ სალარიძის პირადი არქივიდან).

აქვე წარმოგიდგენთ იოსებ ჯუღაშვილის გორის სასულიერო სემინარიის დამთავრების მოწმობას, რომელიც მან 1894 წელს მიიღო პირველი ხარისხის დიპლომითა და ქების სიგელით, რომელმაც გზა გაუხსნა მომავალში ახალგაზრდა სოსოს თბილისის სასულიერო სემინარიაში შესასვლელად.

*(იხ. ფოტო 4)*

ცნობილი მხატვრის — ნალბანდიანის სურათი (ახალგაზრდა სტალინი).

ფოტოასლი თხოვნისა სემიანრიის რექტორ **სერაფიმეს** სახელზე სახელმწიფო კმაყოფაძე აყვანის თაობაზე ოჯახური მდგომარეობის გამო.

1917 წლის 8 (27) გიორგობის თვეს გაზეთ „საქართველოს“ № 244-ში მე-2-მე-3 გვერდებზე გამოქვეყნდა დავით კასრაძის ლიტერატურული პორტრეტი სტალინზე, რომელზეც ზემოთ მოგახსენეთ და რომლის სრულ ტექსტსაც ახლა შემოგთავაზებთ.

**„სტალინის სილუეტი სხვადასხვა სახით გამოკრთის მისი ცხოვრების პერიფერიებზე: დღევანდელი სტალინი შორეულ წარსულში ჯუღაშვილი იყო. მისი სახელი არც კობა ყოფილა და არც იოსები, უბრალოდ, სოსოთი კმაყოფილდებოდა. მისი სურათიც არაა განსაკუთრებული: აიღეთ ციცრის კვერცხი, ჭორფლისა და ყვავილის ლეჩაქის მოზაიკით და მიიღებთ პატარა სოსოს ნამდვილ პორტრეტს. ცქვიტი, მალხაზი, შავი გრუზა თმით და თითქოს ნახშირით გადაკალმული წარბებით, პატარა ელვარე შავი თვალებით თვალწინ გიდგებოდათ სიცოცხლის მოტრფიალე, დაჩაგრული, ობოლი ბავშვი, მარტოობაში რომ უცნაური ფიქრებით დაცურავს და ფიქრებითვე სწვავს სულის მშფოთვარე ტბის კაეშნის ლელნარს. სულიერ იდუმალ მღელვარებას რელიგიური ექსტაზით ჰკლავდა იგი და საღმრთო ჰიმნებით იკვლევდა სასოწარკვეთილების მკვდარი ზღაპრის გაყინულ ბილიკს იმ ნორჩ სულთა საჯალათოს ცივ კედლებში, რასაც სასულიერო სასწავლებელი ერქვა. ღვთიური ძღვენი — ხასხასა კისკისი, მზიურ სიმშვიდის ველზე უდარდელად პეპელათ დევნა, აღტაცებული აფეთქება და მოწყვეტილ სხივის ცრემლების აკოკრება არ უგემნია სანეტაროდ მის ყმაწვილობას: ისეც ობოლი, სულიერადაც ობოლი იყო, თვით ტოლთა შორის არ უწყოდა ლაღი სიცილი, სიცოცხლის მშვენიერება. მისი ლაღი სუნთქვა და სიმსუბუქე იდუმალ სევდის სარკოფაგში ჩამარხულიყო! იშვიათი, ნაზი, სუფთა ხმა, ალტი, სოსოს თვალსაჩინო მგალობლად ჰხდიდა: მიგეცათ სხვა პირობები სხვა სარბიელი და დღევანდელ სტალინის ნაცვლად გვეყოლებოდა ქართველი სმირნოვ-სობინოვი. სოსომ ყრმობის სფეროში გადასდგა ფეხი და თვითვე გალეწა საჯალათოს ყინულოვანი ზღუდები. იგი სიჭაბუკის ცეცხლით აღიგზნო. მის ფიქრმორეულს, შავ ჩირაღდნებს გარდაეშალა კაცობრიობის სიმდაბლე, სიმახინჯე, მოშხამულ სახეთა შემზარავი პრანჭვა-გრეხა და მასში გაიღვიძა ერთგვარ ანაქორიტის სიმძაფრემ: ადამიანთა შორის სოსო უალრესად უდაბნოში გრძნობდა თავს. ტანჯული, გასრესილი მისი ყრმობა, სულიერი შიმშილით აუმუშავებელი მისი სიჭაბუკე, რელიგიურის გატაცებით ისმენდა უგნურთა ველურ მუსიკას, როგორც უდაბნოში განდგომილი მისი შორეული პროტოტიპი, ჯერ წყნარი მქადაგებელი, მაგრამ იროდის წინაშე გათავხედებული იოანე ნათლისმცემელი! მის გაუდაბნოებულს სულში საიდუმლოდ გაბნეული სიცოცხლის მშვენიერება ბრძოლისა და გარდატეხის დროს უგუნურთა ცეცხლს იკიდებდა! უეჭველია, საშუალო საუკუნეებში რომ ეცხოვრა, მისგან გამოვიდოდა სასტიკი, ურყევი, თავისუფლად მონავარდე ველური სევონაროლა, რომელიც უნდა შეიშალოს, რომ განიცადოს ზეშთაგონების ბედნიერება, რათა იმითი აამწვანოს მგზავრობის მიერ წარხოცილი ცხოვრების ველი! მაგრამ სოსოს არ უცხოვრია საშუალო საუკუნეებში და აჯანყებული დემონის ნაცვლად იმიტომ იქცა სულ სხვა არსებად, რასაც თვითვე გამოუჭედა ძალოვანი სახელი „სტალინი“. შემთხვევითი როდი იყო მისი ასეთი ფსევდონიმი. მასში გარეულია ფილოსოფიური შხამი მისი წარსულისა, რომელმაც აღაგზნო, გამოაფოლადა რელიგიური მისტიციზმით მისი ყრმობის უმწიკვლო სული; მასში უფრო, ვიდრე სხვა რომელიმე რევოლუციონერში უწყინარი ბუნება იქცა სიშმაგედ! მარქსიზმის გარეშე შეატრიალა რენე დეკარტის ძირითადი პრინციპის ფორმულა, რომ შემეცნება კი არ საზღვრავს არსებობას, თვით არსებობა ქმნის შემეცნებას! ჭაბუკი სოსელო განვლილი დღეების ტანჯვათა შემეცნებაა, მისგან ამოტყორცნილი ნაპერწკალი, თუ გნებავთ, გულთამხილავი, ვისაც ანაღვერდებულ ოცნების ველზე გარდაუშლია სულ სხვა, გარდალმა მხარის ბედნიერებისა და ნაყოფიერების მზიური ქვეყანა, რომლის საზღვრებში შესასვლელად საჭიროა ჯვარცმა, წამება, ძლიერის გზნებით უფსკრულების ხვრელთა გადაწვა. არ იფიქროთ, ბოლო დროის სტალინი-კობა წარმოსადეგი ვაჟკაცი იყოს, მის მხრებს ამშვენებდეს გრაფ მირაბოს მანტია, თუნდა რობესპიერის „ტრაგიზმის მშვენიერების ბეჭედი“, რასაც აგრე რიგად სდაობს მისი მასწავლებელი, ხოლო ეროვნულ საკითხში მისი მოსწავლე ლენინი, არა! ახლაც შორს არ წასულა ტანჯვით გამოკვესილი სტალინი პირველ ბიჭის სოსელოსაგან. განსხვავებაა მხოლოდ შავი წვერ-ულვაში და მუქი მოლურჯო პენსნე! სხვაფრივ მისი ნიღაბი უცვლელია. გრაფ ჰონორე მირაბოობა რომ გასწიოს, მას სჭირია ხუთჯერ მეტი ფიზიკური დასრულება, ველური ჰიპნოზი, ხოლო მის მშვენიერ ტენორს — იერიქონის საყვირად მოხმარება. ერთით აღემატება ხსენებულს გრაფს: ხასიათის სიმტკიცით! მას ვერავითარი მარია ანტუანეტა ვერ მოისყიდის, რომ რწმენა ვნების კოცონზე დასწვას და ისტორიის წინაშე გამურული პირბადით წარსდგეს! ამ შემთხვევაში სოსო ისეთივე უდრეკია, როგორც პატარაობისას, როდესაც ინსტიქტურად ნორჩ სულთა საჯალათოს კედლების გასარღვევად სული გარეთ მიიწევდა.**

სტალინი-კობა ამხანაგებთან ერთად დღეს რევოლუციის უახლეს ფურცლებს წერს. ნუ გაგიკვირდება, თუ (ორის ათეულის წლის შემდეგ) ჩვენის ბედნიერის თვალით წაიკითხავთ მის მიერ ხელმოწერილ დეკრეტს წითელი ტერორის დასაწყისად — ბუნებრივი იქნება, სოსელოს შესაფერი. და, როგორც ყაზბეგის გმირმა კობამ ანაცვალა თავის ძმადნაფიც იაგოს ერთი სროლით დიამბეგი და გირგოლა, ისე ანაცვალა სოსელო-კობამ ხალხთა თავისუფლებას ერთი სროლით ძველი და ახალი მთავრობა“.

რა შეიძლება ვუწოდოთ ამას: აღმოსავლეთის ვარსკვლავებს მიდევნებული მოგვთა საგალობელი თუ ბრძოლის წინ დაკრული დაფდაფების სულისშემძვრელი აღტკინება, უკუნ ღამეში ცის გახსნის მოლოდინი, თუ გალაქტიკაში სამარადჟამოდ გაჟღერებული „ჩაკრულო“?

შენ, ადამიანო! თავისუფალ სამყაროში ყველა ადამიანურ სიკეთეზე მიგიწვდება ხელი და საწყალობელი არავისგან არაფერი გაქვს. შენმა თვისტომმა სასწაულები მოახდინა, რაშიც შენც მიგიძღვის წვლილი; შენ მოსპე დედამიწის ერთ მეექვსედზე ექსპლუატაცია, სამაგიეროდ თანასწორობა და სოციალური სამართლიანობა დაამყარე; შენ შექმენი და აღმოაჩინე, რომ არსებობს უპრეცედენტობის პრეცედენტი. **შენ იამაყე იმით, რომ სტალინი შექმენი არნახული და მიმზიდველი ბიოგრაფიით, ყველა სასწაულის, ზებუნებრივის დამნახველი და განმახორციელებელი, რომელიც ისტორიული კვალით კაცობრიობის ისტორიაში აღემატება ყველა დროისა და ხალხების ათეულობით უდიდეს პიროვნებას ერთად. ის არის გენიალური შემოქმედი, ზღაპრული მოვლენა, პიროვნება-ფანტასტიკა, რომელსაც ვერავინ დაიჯერებდა, ფაქტი რომ არა. ჩვენ, ჩვეულებრივი ადამიანები, ვერ ვაცნობიერებთ იმ კეთილისმყოფელ გავლენას, რომელიც მან დაამჩნია კაცობრიობას.**

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)


ფოტო 1


ფოტო 2


ფოტო 3


ფოტო 4

მულტიკულტურიზმის კრახი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**MDR-ისა და SPIGEL-ის ჟურნალისტებმა სომხური მაფიის წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმეების მიხედვით მოამზადეს დოკუმენტური ფილმი სახელწოდებით „ნათლიები გერმანიაში: სომხური მაფია და კანონიერი ქურდები“, მაგრამ ეს ფილმი ეკრანებზე არ გაუშვეს. სასამართლოს მიერ ფილმის აკრძალვის მიზეზი იყო საერთაშორისო სკანდალი სომხეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მონაწილეობით.**

# სომხური და ჩეჩნური კრიმინალური დაჯგუფებები გერმანიას იყოფენ. მათ გერმანელები ხელს ვერ უშლიან

**გერმანული პოლიცია და სპეცსამსახურები, წლებია, ებრძვიან ეთნიკურ კრიმინალს — ქვეყანაში მოქმედებს ათეულობით ბანდა თურქეთიდან, ახლო აღმოსავლეთიდან და ჩრდილოეთ აფრიკიდან, მაგრამ ბოლო წლებში გერმანელები ახალი საფრთხის წინაშე დადგნენ. ეს არის „კანონიერი ქურდების“ ბანდები დსთ-ის ქვეყნებიდან. სომხებისა და ჩეჩნების კრიმინალური დაჯგუფებები გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კრიმინალურ სფეროს იყოფენ.**




ეთნიკური კრიმინალი სერიოზული პრობლემა იყო და დღესაც რჩება ნებისმიერი სახელმწიფოსთვის: მტკიცე ნათესაური კავშირები, ჩაკეტილობა და ნაციონალური თავისებურებები ორგანიზებული დანაშაულების ჩამდენი დაჯგუფებების ჩამოყალიბების საფუძველს ქმნიან. ამ პრობლემას გასული საუკუნის დასაწყისში შეეჯახა ამერიკა, ახლა კი ევროპამ გამოსცადა ეთნიკური კრიმინალის ყველა „მშვენიერება“. გამონაკლისი არ არის გერმანია: იქ, დიდი ხანია, მოქმედებენ ორგანიზებული დანაშაულის თურქული, ახლოაღმოსავლური და ჩრდილოაფრიკული ბანდები, მაგრამ **ბოლო წლებში გერმანიის კრიმინალური სამყარო ახალი მოთამაშეებით შეივსო: ახლა გავლენის სფეროებსა და შავი ბაზრებიდან შემოსავლებს ჩეჩნური და სომხური კლანები იყოფენ „იდუმალი“ „კანონიერი ქურდების“ ხელმძღვანელობით. რამდენიმე ხმაურიანი გარჩევისა და თავხედური დანაშაულის შემდეგ ამ კლანების სპეცსამსახურები დაინტერესდნენ. გამოძიება საერთაშორისო სკანდალით დასრულდა — დამნაშავეები ერთმანეთის მიყოლებით დაუსხლტნენ ხელიდან კანონს.**

## ყოფილი საბჭოთა კავშირის მოქალაქეებმა თავიანთი ქსელი გერმანიაში ფართოდ გაშალეს

27 ნოემბერს ტელეკომპანია Mitteldeutscher Rundfunk Thuringen-მა გამოაქვეყნა შედეგები გამოძიებისა, რომელიც ჩატარდა ტიურინგიაში კავკასიური მაფიის წინააღმდეგ. **ჟურნალისტები რამდენიმე წლის განმავლობაში ანალიზებდნენ სისხლის სამართლის საქმეების 58 ათას გვერდს და მივიდნენ დასკვნამდე, რომ ფედერალურ მიწაზე, რამდენიმე ათეული წელია, მოქმედებენ სომხური დანაშაულებრივი დაჯგუფებები, რომლებიც თავიანთი ორგანიზაციული სტრუქტურით ჰგვანან იტალიურ მაფიოზურ კლანს. უფრო მეტიც, ეს კრიმინალური სტრუქტურები, რომელთა უმრავლესობა ერთმანეთს მტრობს, სრულიად გერმანიაში საქმიანობენ (ცნობილია, რომ გერმანიის, სულ ცოტა, 6 რეგიონში) და ურთიერთქმედებენ საფრანგეთში, ბელგიასა და სომხეთში მცხოვრებ თავიანთ ნათესავებთან — მოკავშირეებთან.**

გერმანელმა პოლიციელებმა გაარკვიეს, რომ ეს დანაშაულებრივი დაჯგუფებები ფულს გამოიმუშავებენ სხვადასხვა, მაგრამ, როგორც წესი, უკანონო მეთოდით — ალკოჰოლის კონტრაბანდისა და ტოტალიზატორებში ფსონების დადებით დაწყებული, ყალბი ფულის მოჭრითა და ნარკოტიკების ვაჭრობით დამთავრებული.

სომხურმა დაჯგუფებებმა პოლიციის ყურადღება კრიმინალური გარჩევების, დანით დაჭრისა და ცეცხლსასროლი იარაღიდან სროლების აქტების შემდეგ მიიპყრეს. როგორც გაირკვა, კონკურენტები გავლენის სფეროსა და კონტროლს დაქვემდებარებული დაწესებულებებიდან შემოსავალს იყოფდნენ. მასმედია იუწყებოდა, რომ პოლიციელები ერთმანეთის მიყოლებით აკავებდნენ ამ დაპირისპირებების მონაწილეებს და მალე გამოიტანეს დასკვნა, რომ დაკავებულთა შორის ძალიან ბევრია ერთმანეთის ნათესავი. მოგვიანებით ამ ნათესაური კავშირებით სერიოზულად დაინტერესდნენ.

**გერმანიის სისხლის სამართლის პოლიციის ფედერალური უწყების (BKA — ამერიკული გამოძიების ფედერალური ბიუროს გერმანული ანალოგი) გამოძიება სომხური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ 3 წელზე მეტ ხანს გაგრძელდა, გამოძიებაში ჩართული იყვნენ რეგიონული ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლები, ინტერპოლის თანამშრომლები და საგარეო დაზვერვის თანამშრომლებიც კი.**

როგორც წლის დასაწყისში გაზეთი Tagesspiegel-ი იუწყებოდა, წინასწარ განსახილველად გაიგზავნა 14 საქმე, რომლებშიც მონაწილეობდა 42 პირი. შუალედური შედეგების შეჯამებისას გამოძიებისა, რომელიც დაიწყო 2014 წელს, BRA-ს თანამშრომლებმა გერმანელ საზოგადოებას აცნობეს, რომ შეეჯახნენ გერმანელებისთვის უჩვეულო და პარადოქსულ მოვლენას სახელწოდებით „კანონიერი ქურდები“.

**„მათი განყოფილებების ქსელი გავრცელებულია სრულიად ქვეყანაში. განყოფილებას, როგორც წესი, მეთაურობს ე.წ. ავტორიტეტი. ამ „ავტორიტეტს“, თავის მხრივ, ჰყავს თავისი უფროსი — „კანონიერი ქურდი“, რომელიც ხშირად არის საზღვარგარეთ“,** — განაცხადა MDR-ის ეთერში ჟურნალისტმა ალექს ჰემერლინგმა.

უჩვეულო ტერმინმა ისე „აღაფრთოვანა“ გერმანელი პოლიციელები, რომ პოსტსაბჭოთა სივრციდან ეთნიკური დაჯგუფებების საწინააღმდეგო ოპერაციას დაარქვეს FATIL (Figt against thieves in Law), რაც ასე ითარგმნება — **„ბრძოლა კანონიერი ქურდების წინააღმდეგ“.**

**ჟურნალისტები რამდენიმე წლის განმავლობაში ანალიზებდნენ სისხლის სამართლის საქმეების 58 ათას გვერდს და მივიდნენ დასკვნამდე, რომ ფედერალურ მიწაზე, რამდენიმე ათეული წელია, მოქმედებენ სომხური დანაშაულებრივი დაჯგუფებები, რომლებიც თავიანთი ორგანიზაციული სტრუქტურით ჰგვანან იტალიურ მაფიოზურ კლანს. უფრო მეტიც, ეს კრიმინალური სტრუქტურები, რომელთა უმრავლესობა ერთმანეთს მტრობს, სრულიად გერმანიაში საქმიანობენ (ცნობილია, რომ გერმანიის, სულ ცოტა, 6 რეგიონში) და ურთიერთქმედებენ საფრანგეთში, ბელგიასა და სომხეთში მცხოვრებ თავიანთ ნათესავებთან — მოკავშირეებთან**


სომხეთის ელჩი გერმანიაში აშოტ სმბატიანი

## კრიმინალური ქსელი

ამ ბრძოლას ძალიან ართულებს ის გარემოება, რომ დანაშაულებრივი დაჯგუფებების კავშირები ძალიან ფართოა — MDR-ის მიერ გავრცელებული მონაცემების მიხედვით, ძალოვანებმა დაითვალეს 670-დან 900-მდე ადამიანი, რომლებიც პირდაპირ არიან დაკავშირებული „კანონიერ ქურდებთან“. შედარებით ეფექტიანია დაჯგუფებების წინააღმდეგ ბრძოლა ადგილებზე, მაგრამ ამ ქსელს მთავარი მმართველები ხელმძღვანელობენ საზღვარგარეთიდან და სხვადასხვა ქვეყანაში არიან გაფანტულნი.

გამოძიება მკაცრად იყო გასაიდუმლოებული და მის შესახებ მხოლოდ ერთი წლის წინათ შეიქნა ცნობილი — პირველი წერილი დაიბეჭდა 2018 წლის ნოემბერში, იმხანად ქვეყანაში გაისმა BKA-ს თანამშრომლების ხმა. **„სომხური მაფია მართლაც არსებობს,** — მოჰყავდა ციტატა გაზეთ Spigel-ს, — **მას აქვს უზარმაზარი ფინანსური შესაძლებლობები და თავისი არსებობით ხიფათს უქმნის სამართლებრივ სახელმწიფოს“.**

MDR-ისა და Spigel-ის ჟურნალისტებმა სომხური მაფიის წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმეების მიხედვით მოამზადეს დოკუმენტური ფილმი სახელწოდებით **„ნათლიები გერმანიაში: სომხური მაფია და კანონიერი ქურდები“,** მაგრამ ეს ფილმი ეკრანებზე არ გაუშვეს. სასამართლოს მიერ ფილმის აკრძალვის მიზეზი იყო საერთაშორისო სკანდალი სომხეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მონაწილეობით.

**როგორც Tagesspigel-ის ჟურნალისტებმა გამოარკვიეს, ჯერ კიდევ 2017 წელს სომხეთის ელჩმა აშოტ სმბატიანმა მოაწყო შეხვედრა გერმანიის შინაგან საქმეთა ფედერალური სამინისტროს წარმომადგენლებთან. საუბარი კონფიდენციალური იყო, მაგრამ ექსპერტებმა ივარაუდეს, რომ სომეხ დიპლომატს სურდა გამოძიებაში მონაწილეობა და დიპლომატიური მისიის თანამშრომლებისთვის ეჭვის აცილება. მოგვიანებით გაჩნდა ამ მოსაზრების ირიბი მტკიცებულებაც. როგორც გაირკვა, სმბატიანი დახმარებას სთავაზობდა გამომძიებლებს, მაგრამ BKA-მ გააფრთხილა კოლეგები: ელჩთან თანამშრომლობა „უკიდურესად არარეკომენდებულია“.** ამ მომენტში სპეცსამსახურები უთვალთვალებდნენ ორგანიზებული დანაშაულის ბერლინში მოქმედ სომხურ დაჯგუფებას. სომხეთის დიპლომატიური წარმომადგენლობა ბერლინშია და სპეცსამსახურის წევრები ეჭვობდნენ, რომ საელჩოს თანამშრომლები კრიმინალებთან იყვნენ დაკავშირებულნი, თუმცა სომხური მაფიის საქმეში არც ერთი სომეხი დიპლომატი არ ფიგურირებდა.

## მრავალმიზნიანი საწარმო

პროექტი FATIL-ი 2018 წლის ბოლოს დაიხურა. **ძალოვან უწყებას არ ჰყოფნიდა კადრები და ფინანსები იმისთვის, რომ განეგრძო ბრძოლა ასეთ დეცენტრალიზებულ სტრ-** ▶

**2018 წელს ესპანეთში დაიწყო სომხეთის მოქალაქეების დაპატიმრებების სერია: 140 კაცი დააპატიმრეს იარაღითა და ნარკოტიკებით ვაჭრობის, ფულის გათეთრებისა და აზარტული თამაშების არაკანონიერად ორგანიზების ბრალდებით. მანამდე გერმანიაში 31 წლის გერმანელსა და დანაშაულებრივ კლანებთან დაკავშირებულ 26 წლის სომეხს გასაყიდად გამზადებული 35 კგ მარიხუანა ჩამოართვეს. გამოძიების დაწყებისთანავე გაირკვა, რომ სომხური მაფია ავითარებს ურთიერთობებს ანალოგიურ სტრუქტურებთან ევროპაში.**

# მულტიკულტურიზმის კრახი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ **უქტურასთან. „კანონიერი ქურდებისთვის“ ბრალის წასაყენებლად საკმარისი მტკიცებულებების შეგროვება ვერ მოახერხეს, მაგრამ გამოძიების მსვლელობისას გახსნეს არაერთი დანაშაული, რომლებიც მიუთითებს, რა ფართოდ გაშალა საქმიანობა სომხურმა მაფიამ.**

2018 წელს ესპანეთში დაიწყო სომხეთის მოქალაქეების დაპატიმრებების სერია: 140 კაცი დააპატიმრეს იარაღითა და ნარკოტიკებით ვაჭრობის, ფულის გათეთრებისა და აზარტული თამაშების არაკანონიერად ორგანიზების ბრალდებით. მანამდე გერმანიაში 31 წლის გერმანელსა და დანაშაულებრივ კლანებთან დაკავშირებულ 26 წლის სომეხს გასაყიდად გამზადებული 35 კგ მარიხუანა ჩამოართვეს. გამოძიების დაწყებისთანავე გაირკვა, რომ სომხური მაფია ავითარებს ურთიერთობებს ანალოგიურ სტრუქტურებთან ევროპაში. **2014 წლის თებერვალში იტალიის ქალაქ ნეაპოლში პოლიციელებმა გაჩხრიკეს გერმანულნომრიანი შავი „მერსედესი“, რომელშიც ისხდნენ 1 რუმინელი, 2 იტალიელი და 1 სომეხი გერმანიიდან — ერთ-ერთი კრიმინალური ოჯახის წევრი. მათ უპოვეს ჩანთა ყალბი ბანკნოტებით — 124 ათასი ევროთი. მოგვიანებით გაირკვა, რომ იტალიელები კალაბრიული სახიფათო კრიმინალური დაჯგუფება „ნდრანგეტის“ წევრები იყვნენ, პოლიციის მიერ ნაპოვნი ყალბი ბანკნოტები კი დაბეჭდილი იყო იმ ჩარხზე, რომელზეც გერმანიის ქალაქ ერფურტში ნაპოვნი ყალბი ფულის პარტია. ტიურინგიის ამ ქალაქზე მიუთითებდა ავტომობილის ნომერიც — იქვე იყო ჩამორთმეული ზემოაღნიშნული მარიხუანა. სწორედ ერფურტის ინციდენტით დაიწყო საერთაშორისო გამოძიება 2014 წელს.**

## „ავტორიტეტების“ შეხვედრა

გერმანია მოიარა ინფორმაციამ ერფურტის სათამაშო სახლში ატეხილი სროლის შესახებ: **ვიდეო, რომელზეც ასახული იყო, როგორ გამორბიან შავთმიანი მამაკაცები შენობიდან და ერთმანეთს პისტოლეტებიდან ესვრიან, ყველა დიდმა მედიასაშუალებამ აჩვენა. გამომძიებლების თქმით, სროლა ატყდა იმის გამო, რომ სომხების ჯგუფს ერფურტიდან ბერლინში მცხოვრები თანამემამულეების 100 ათასი ევროს ვალი ჰქონდა. და ბერლინელი სომხები ერფურტში ჩავიდნენ ფულის მოსათხოვად.** საიდან იშოვეს ეს ფული ან რისთვის დახარჯეს, ჯერჯერობით უცნობია, ისევე, როგორც სისხლიანი გარჩევის მონაწილეთა ზუსტი რაოდენობა.

სომხურ კლანებს შორის მტრობის მიზეზების შესწავლისას პოლიციელებმა მიაკვლიეს კავკასიის სხვა ხალხების წარმომადგენლებს. როგორც გაირკვა, იმ მომენტისთვის სომხები, უკვე რამდენიმე წელია, თანამშრომლობდნენ ჩეჩნებთან, ზოგჯერ კი მტრობდნენ. ისინი ერფურტის ინციდენტშიც მონაწილეობდნენ. **MDR-სა და SPIGEL-ის გამოძიების მონაცემებით, სათამაშო სახლთან სროლის შემდეგ გერმანიაში შეიძლებოდა დაწყებულიყო ნამდვილი ომი კრიმინალურ ოჯახებს შორის, მაგრამ ორივე მხარის ავტორიტეტები ერთმანეთს შეხვდნენ უცნობი „დაღესტნელი პოლიტიკოსის“ თანდასწრებით და სისხლის ღვრა თავიდან აიცილეს.**

MDR-მა შეძლო, არა მხოლოდ გაერკვია აღნიშნული შეტაკების მიზეზი (ვერ გაიყვეს ავტონაწილების უკანონო გაყიდვის ბაზარი), არამედ ინტერვიუც კი ჩამოართვა ერთ-ერთს, ვინც ინციდენტისას დაიჭრა. ჩეჩნეთში დაბადებულმა **ადამ ზაკაევმა** განაცხადა, რომ ძრწოლვით იგონებს იმლამინდელ მოვლენებს, მაგრამ არ ახსოვს, რის გამო დაიწყო კონფლიქტი და რაზე მსჯელობდნენ. ინტერვიუში ის ამტკიცებდა, რომ შემოსავალს იღებდა მხოლოდ ლეგალური ბიზნესიდან და კრიმინალურ დაჯგუფებებთან კავშირი არ ჰქონდა.

## მთიელები

ასეთივე პასუხი ჰქონდათ მათაც, ვინც აღბეჭდილია 2017 წელს გადაღებულ ფოტოზე, ჯანიან ახალგაზრდა ბიჭებს დაჯგუფება Guerilla Nation Vaynakh-დან („ვაინახების პარტიზანული ნაცია“), რომლებიც პოზირებენ ბრანდერბურგის კარიბჭის ფონზე.

**ბოლო პერიოდში გერმანელი პოლიციელები აღნიშნავენ განსაკუთრებულ საფრთხეს ჩრდილოკავკასიელების დაჯგუფებებისგან (გერმანიაში მცხოვრები ჩრდილოკავკასიელების 80% ჩეჩენია). ჯერ კიდევ 2017 წელს, ბერლინში ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან ატეხილი სროლის შემდეგ, რომელშიც, სავარაუდოდ, მონაწილეობდნენ ჩეჩნები GUERILLA NATION VAYNOKH-ის დაჯგუფებიდან, გერმანული მედიასაშუალებები ალაპარაკდნენ მათზე, როგორც „ახალ ძალაზე დამნაშავეთა სამყაროში“.**



ჩეჩნური დაჯგუფება GUERILLA NATION VAYNAKH

**დამნაშავეები უსაფრთხოების საკითხებს ძალიან სერიოზულად უდგებიან. ამა წლის მაისში ცნობილი შეიქნა, რომ ჩეჩნებმა პოლიციის განყოფილებების, სპეცრაზმისა და სწრაფი რეაგირების ჯგუფის შტაბბინებთან დააყენეს მზვერავები: კლანის წევრები უთვალთვალებდნენ ძალოვანებს და გამუდმებით მორიგეობდნენ, რათა საქმის კურსში ყოფილიყვნენ მათი ქმედებების შესახებ**

BKA-ს ანგარიშების თანახმად, ჩეჩნური კრიმინალური დაჯგუფებები გარეულნი არიან აკრძალული ნივთიერებებისა და იარაღით ვაჭრობაში, ქურდობასა და გამოძალვაში.

**დამნაშავეები უსაფრთხოების საკითხებს ძალიან სერიოზულად უდგებიან. ამა წლის მაისში ცნობილი შეიქნა, რომ ჩეჩნებმა პოლიციის განყოფილებების, სპეცრაზმისა და სწრაფი რეაგირების ჯგუფის შტაბბინებთან დააყენეს მზვერავები: კლანის წევრები უთვალთვალებდნენ ძალოვანებს და გამუდმებით მორიგეობდნენ, რათა საქმის კურსში ყოფილიყვნენ მათი ქმედებების შესახებ. სამართალდამცველი ორგანოების შეშფოთებას იწვევს, აგრეთვე, კავკასიის რესპუბლიკებიდან იმიგრანტების მჭიდრო კავშირები კრიმინალურ და ექსტრემისტულ დაჯგუფებებთან: საეჭვო პირებიდან, რომლებმაც ძალოვანთა შემოწმება გაიარეს, ყოველი მესამე ინტეგრირებული იყო, როგორც დანაშაულებრივ, ისე ისლამისტურ ორგანიზაციაში.**

ჩეჩნები მიეჩვივნენ არსებობას სახელმწიფოს სამართლებრივი ველის გარეთ — და ეს ეხება არა მხოლოდლ ორგანიზებულ დანაშაულებრივ დაჯგუფებებს, არამედ კანონმორჩილ ჩეჩნებსაც. როგორც ბრანდენბურგის ფედერალური მიწის საგარეო საქმეთა მინისტრმა **კარლ-ჰაინც შრეტერმა** გამოცემა „დოიჩე ველეს“ განუცხადა, **ისინი კრიტიკულ ვითარებაში მიმართავენ არა პოლიციას, არამედ თანამემამულეებს.**

კონფლიქტის შემთხვევაში შეუძლიათ, სწრაფად შეკრიბონ ბევრი ნათესავი და ნაცნობი, ხოლო საკამათო საკითხებს წყვეტენ უხუცესთა საბჭოს და არა სასამართლოს მეშვეობით.

ასეთი მტკიცე ტრადიციული კავშირების გამო ჩეჩნები დომინირებენ შავი ბაზრის ბევრ სექტორში. ამასთანავე, **განსხვავებით სომხებისგან, რომელთა პირველი თაობა გერმანიაში თურქეთიდან გაიქცა XX საუკუნის დასაწყისში, ჩეჩნები სიამოვნებით ურთიერთქმედებენ თურქების ბანდებთან, რომლებიც ათეული წლების განმავლობაში ავითარებენ თავიანთ არალეგალურ ბიზნესს გერმანიაში.**






თურქების გარდა, გერმანიის სამართალდამცველ ორგანოებს უწევთ ბრძოლა სხვა ეთნიკურ დაჯგუფებებთანაც, რომლებმაც დიდი ხნის წინათ დაამყარეს მტკიცე კავშირები. იმ მომენტში, როცა ცნობილი შეიქნა სომხური კრიმინალური სტრუქტურების არსებობის შესახებ, გავრცელდა ინფორმაცია კოკაინით მოვაჭრე თურქულ-იტალიური სინდიკატის წინააღმდეგ განხორციელებულ მასშტაბურ სპეცოპერაციაზე: იმხანად დააპატიმრეს 84 ეჭვმიტანილი და მათ ჩამოართვეს ნარკოტიკის უზარმაზარი პარტია (1,8 ტონა).

გერმანიაში, თურქული და იტალიური კრიმინალური კლანების გარდა, მოქმედებენ ლიბანური, ქურთული, ავღანური და ვიეტნამური დაჯგუფებებიც, მაგრამ მათთან გერმანელებს, უკვე დიდი ხანია, საქმე მოგვარებული აქვთ და მათ მიერ ჩადენილი დანაშაულის რაოდენობა განუხრელად მცირდება. აი „კანონიერ ქურდებსა“ და დსთ-ის ქვეყნებიდან გამოსულ სასტიკ ადამიანებს კი გერმანელები ცოტა ხნის წინათ შეეჯახნენ. გამოძიება სომხური და ჩეჩნური კლანების წინააღმდეგ გრძელდება და მხოლოდ გარკვეული ხნის შემდეგ იქნება ცნობილი, შეძლებს თუ არა გერმანიის სახელმწიფო ახალი, უცნობი მოწინააღმდეგეების დამარცხებას, შეძლებენ თუ არა კავკასიელები სსრკ-ის ნანგრევებში მიღებული გამოცდილების წარმატებით გამოყენებას.

**გერმანიაში მოქმედებენ ლიბანური, ქურთული, ავღანური და ვიეტნამური დაჯგუფებებიც, მაგრამ მათთან გერმანელებს, უკვე დიდი ხანია, საქმე მოგვარებული აქვთ და მათ მიერ ჩადენილი დანაშაულის რაოდენობა განუხრელად მცირდება. აი «კანონიერ ქურდებსა» და დსთ-ის ქვეყნებიდან გამოსულ სასტიკ ადამიანებს კი გერმანელები ცოტა ხნის წინათ შეეჯახნენ. გამოძიება სომხური და ჩეჩნური კლანების წინააღმდეგ გრძელდება. მხოლოდ გარკვეული ხნის შემდეგ იქნება ცნობილი, შეძლებს თუ არა გერმანიის სახელმწიფო ახალი, უცნობი მოწინააღმდეგეების დამარცხებას და შეძლებენ თუ არა კავკასიელები სსრკ-ის ნანგრევებში მიღებული გამოცდილების წარმატებით გამოყენებას**

მოამზადა
**გიორგი გაჩეჩილაძე**

Pro...

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ტრანსეროვნულ, გლობალისტურ ელიტებს ეზიზღებათ ტრამპი მთელი თავისი დაბერებული სულისკვეთებით და ზუსტად ასეთივე დამოკიდებულება აქვს მისდამი ნორჩ გრეტას, რომელიც დაარწმუნეს, რომ მაინცდამაინც მისგან მოდის საშინელი უბედურება, ყველას რომ გვემუქრება, მათ შორის, ეკოლოგიურიც. მაგრამ ტუნბერგის „კურთხევა“ არ არის ბანალური ჟესტი ტრამპის წინააღმდეგ, ეს არის კაცობრიობის გაბითურების ახალი სცენარის დასაწყისი.**

# გრეტა ტუნბერგი, ჟურნალ Time-ის ვერსიით, მსოფლიო ადამიანად აღიარეს

## მისი დახმარებით ცდილობენ, გაავრცელონ კაცობრიობის გამოთაყვანების ახალი სცენარი

**უკიდურესად გავაუბრალოებთ და ასე გადმოგცემთ სიტუაციას: კლიმატოლოგების შეფასებით, კაცობრიობის მოღვაწეობას კვალად მოსდევს პარნიკული გაზების გამოფრქვევა, რომელიც პლანეტის ჰავის ცვლილებას იწვევს და კატასტროფების სერიით გვემუქრება, რომლებისაც ასე ეშინია გოგონა გრეტას. კლიმატოლოგის რეცეპტია გამონაბოლქვის შემცირება იმ სფეროებში (ენერგეტიკაში, მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში), რომლებშიც ის განსაკუთრებით ბევრია.**

ყველაზე შედეგიანი ღონისძიებებია აკრძალვითი და დამსჯელობითი. ეს არის „მწვანე გადასახადები“, „კლიმატური ჯარიმები“, სამრეწველო ტაბუ. ეკონომისტები გვაფრთხილებენ, რომ მას შედეგად შეიძლება მოჰყვეს უმუშევრობა, წარმოების ვარდნა, სატრანსპორტო ფასების, ხორცის, სამრეწველო პროდუქციის გაძვირება, რომლებიც ეკონომიკური კრიზისებს გამოიწვევს.

ასეთ შემთხვევებში აუცილებელია კომპრომისების აკურატული ძებნა, მაგრამ გრეტამ აირჩია მხოლოდ ერთი მხარე: იგი მეცნიერების მქადაგებელი კი არ არის, არამედ მრეწველთა კონკურენტად გვევლინება.

ასე რომ, შვედი გოგონა **გრეტა ტუნბერგი**, ჟურნალ Time-ის ვერსიით, „წლის ადამიანად“ რომ აირჩიეს, გასაკვირი არ არის. გასაკვირია ის, რომ ეს აღიარება ნობელის მშვიდობის პრემიით არ იყო განმტკიცებული. ტუნბერგიდან შექმნეს წარმავალ წელს მსოფლიოს ეკოლოგიური სიწმინდისთვის მებრძოლი მთავარი მებრძოლი, მაგრამ უკვე ლაპარაკია არა მსოფლიო დათბობაზე, ყდას ამშვენებს ტუნბერგის პორტრეტი წარწერით „ახალგაზრდობის ძალა“.

„იგი ყველაზე უფრო ძლიერი ხმაა მთავარ საკითხში, რომელიც წლეულს პლანეტის წინაშე დადგა, რომელიც მოვიდა არსაიდან, რათა სათავეში ჩაუდგეს მსოფლიო მოძრაობას“, — იუწყება Time. არსაიდან მსოფლიო მოძრაობა — აი, ასე! გრეტა ყველაზე უფრო ახალგაზრდა წლის ადამიანი გახდა ამ წოდების მთელი ასწლოვანი ისტორიის განმავლობაში.

**ტრანსეროვნულ, გლობალისტურ ელიტებს ეზიზღებათ ტრამპი მთელი თავისი დაბერებული სულისკვეთებით და ზუსტად ასეთივე დამოკიდებულება აქვს მისდამი ნორჩ გრეტას, რომელიც დაარწმუნეს, რომ მაინცდამაინც მისგან მოდის საშინელი უბედურება, ყველას რომ გვემუქრება, მათ შორის, ეკოლოგიურიც. მაგრამ ტუნბერგის „კურთხევა“ არ არის ბანალური ჟესტი ტრამპის წინააღმდეგ, ეს არის კაცობრიობის გაბითურების ახალი სცენარის დასაწყისი.**

ბოლო ათწლეულების განმავლობაში მთავარი აქცენტი ობივატელის დაშინებაზე კეთდება, რა თქმა უნდა, დასავლელ ობივატელზე დედამიწაზე ჰავის ცვლილებების საშინელი სურათის წარმოდგენით. მითური გლობალური დათბობა წარმოდგენილია, როგორც საყვედური მთელი კაცობრიობის მიმართ: იმ დონემდე განვითარდით, რომ უკვე არა მხოლოდ ღუპავთ ბუნებას, არამედ განწირული გყავთ ყველა ცოცხალი არსება, საკუთარი სახეობის ჩათვლით. მინიმუმ, ადამიანების საზოგადოების წინაშე ეს მოქმედებს, მით უფრო, რომ თვით საზოგადოებრიობა იმყოფება უკიდურესი ნევროზისა და ძალის გამოფიტვის ზღვარზე, რომელიც გამოწვეულია მისი თითქმის ყველა ტრადიციული საფუძვლის დემონტაჟით. რელიგიური, ზნეობრივი, ოჯახური, ეროვნული, სახელმწიფო საერთო ყოფიერების ნაცვლად გვთავაზობენ ინდივიდუალობის კულტს ნევროზულ და ისტერიკულ, შიშის ატმოსფეროში.

ამ სიტუაციის მთავარი გმირები იქნებიან არა მხოლოდ ეკზალტირებული ქალები, არამედ სექსუალური და სხვა უმცირესობანი, არცთუ ჯანმრთელი ადამიანები, აგრეთვე, ბავშვები.

ამ თვალსაზრისით, **გრეტა ტუნბერგი „ჩვენი დროის იდეალური გმირია“; უფრო ზუსტად, იმ დროის, რომლის „ჩვენ დროოდ“ გასაღებას ცდილობენ გლობალიზაციის კონსტრუქტორები. იგი 16 წლისაა, ასპერგერის სინდრომი სჭირს და მიაჩნია, რომ ებრძვის კარს მომდგარ ეკოლოგიურ კატასტროფას, ებრძვის სკოლაში გაკვეთილების გაცდენის ხარჯზე, ანუ აწყობს „სასკოლო გაფიცვებს“ და ხვდება ცნობილ პიროვნებებს — რომის პაპით დაწყებული, ჰოლივუდის ვარსკვლავებით დამთავრებული, რომლებიც მხარს უჭერენ მის „წმინდა“ ბრძოლას.**

ტუნბერგის პროპაგანდა ჯერ კიდევ შარშან გაზაფხულზე დაიწყო, 2019 წელს მაქსიმალურ დონეს მიაღწია, ხოლო წლეულს, სექტემბერში გაეროს სამიტზე გამოსვლამ გრეტა მსოფლიო ვარსკვლავად აქცია.

„თქვენ მომპარეთ ოცნებები და ჩემი ბავშვობა ფუჭე დაპირებებით, მაგრამ მე მაინც გამიმართლა. ადამიანები იტანჯებიან, ადამიანები იღუპებიან, ეკოსისტემები ირღვევა, ჩვენ მასობრივი გადაშენების ზღვარზე ვდგავართ, ხოლო ყველაფერი, რისი თქმაც შეგიძლიათ, ეს არის ფული და ზღაპრები უსასრულო ეკონომიკური ზრდის შესახებ. როგორ ბედავთ?“







**გრეტა ტუნბერგი «ჩვენი დროის იდეალური გმირია»; უფრო ზუსტად, იმ დროის, რომლის «ჩვენ დროოდ» გასაღებას ცდილობენ გლობალიზაციის კონსტრუქტორები. იგი 16 წლისაა, ასპერგერის სინდრომი სჭირს და მიაჩნია, რომ ებრძვის კარს მომდგარ ეკოლოგიურ კატასტროფას, ებრძვის სკოლაში გაკვეთილების გაცდენის ხარჯზე, ანუ აწყობს «სასკოლო გაფიცვებს» და ხვდება ცნობილ პიროვნებებს — რომის პაპით დაწყებული, ჰოლივუდის ვარსკვლავებით დამთავრებული, რომლებიც მხარს უჭერენ მის «წმინდა» ბრძოლას**



**აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა 12 დეკემბერს კრიტიკის ქარ-ცეცხლი დაატეხა ტუნბერგს. ეს მოხდა ჟურნალ Time-ის მიერ ამ გოგონას „წლის ადამიანად“ აღიარების მეორე დღეს. ამერიკელების ლიდერმა ჟურნალის გადაწყვეტილება შეაფასა, როგორც «უაზრო», — იუწყება სააგენტო Associated Press. თეთრი სახლის პატრონმა ეკოაქტივისტს ურჩია, «დაძლიოს რისხვა» და «წავიდეს ძველ კეთილ კინოში მეგობართან ერთად»**

ეს არის პასაჟი ოთხწუთიანი სიტყვიდან, რომელიც წარმოთქვა ნერვიულმა, ბოროტმა, ლამის ატირებულმა ბავშვმა და რომელიც, ალბათ, მილიარდობით ადამიანმა ნახა და მოისმინა. და აქ, არც თუ ძალიან ჯანმრთელი ბავშვის მიერ მოწოდებულ გაკვეთილს უნდა შეერცხვინა ადამიანები და მონანიება გამოეწვია მათი.

თუ მონანიებაა საჭირო, ალბათ, იმაში, რომ კაცობრიობამ აირჩია ტექნოლოგიური და ურბანისტული ცივილიზაციის გზა და სამომხმარებლო-გედონისტური მევახშური კაპიტალიზმის ტყვეობაში აღმოჩნდა, მაგრამ ტუნბერგის პროპაგანდით გატაცებული გლობალური მედია და ლიდერები ყურადღებას არ ამახვილებენ ანტიკაპიტალისტურ და მემარცხენე თემებზე. არა! მხოლოდ ბრალს აღიარებენ ახალგაზრდებისა და ბავშვების წინაშე. სწორედ ამიტომ ჟურნალ Time ყდაზე გამოქვეყნებულ ტუნბერგის ფოტოს ახლავს წარწერა: „The power of youth“ (ახალგაზრდობის ძალა).

რა თქმა უნდა — ახალგაზრდები!

რადგან ძველი ელიტები მხოლოდ აღიზიანებენ ევროპას, აშშ-ს, ლათინურ ამერიკას, აზიას, არც უნდა უსმინონ მათ და ეს იქნება სწორი! ეს უკვე სხვა წყაროა ჭეშმარიტებისა და ორიენტირების. ახალგაზრდები, ბავშვები ყველაზე სუფთა და გულწრფელი არიან, მომავალი მათია, მიჰყევით მათ, ყური უგდეთ მათ! თუ ყველანი თანახმანი ხართ, შეიძლება შეუდგეთ გლობალიზაციის ახალ ეტაპს. მაგალითად, ენერგეტიკულ რევოლუციას.

აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა 12 დეკემბერს კრიტიკის ქარ-ცეცხლი დაატეხა ტუნბერგს. ეს მოხდა ჟურნალ Time-ის მიერ ამ გოგონას „წლის ადამიანად“ აღიარების მეორე დღეს. ამერიკელების ლიდერმა ჟურნალის გადაწყვეტილება შეაფასა, როგორც „უაზრო“, — იუწყება სააგენტო Associated Press.

თეთრი სახლის პატრონმა ეკოაქტივისტს ურჩია, „დაძლიოს რისხვა“ და „წავიდეს ძველ კეთილ კინოში მეგობართან ერთად“.

**შექმნილი ვითარება უკვე იმითაცაა საინტერესო, რომ შეიძლება ნამდვილად დაგვანახვოს, შერჩათ თუ არა სკანდინავებს ვიკინგების სულისკვეთება, გერმანელებს — ტევტონი რაინდების სულისკვეთება, ესპანელებს — კონკისტადორებისა, იტალიელებს — რომაელების, თუ ეს მხოლოდ ხმამაღალი სიტყვებია. გამორიცხული არ არის, რომ დამპყრობთა და ცივილიზატორების განებივრებულმა შთამომავლებმა მდუმარე მაცქერალთა როლი ირჩიონ, მორჩილად უყურონ თავიანთი დიადი წინაპრების მონაპოვრის იავარქმნას ბარბაროსების მიერ, რაც ევროპის ისტორიაში არაერთხელ გამეორებულა.**

...et Contra
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# იცნობდეთ: მემარჯვენე მოძრაობის ახალი დროშა — იზაბელა ნილსონ იარვანდი

**იგი ჭკვიანი და ლამაზია, რაც არცთუ ცოტაა ერთი ქალიშვილისთვის. თექვსმეტი წლისაა. ცხოვრობს შვედეთში, დედა შვედია, მამა — ირლანდიელი. ბავშვობა მიგრანტთა კვარტალში გაატარა, საკმაოდ კეთილმოწყობილ უბანში (შვედეთია, რაც უნდა იყოს), რომელიც მიგრანტთა პრობლემებით იყო სავსე. მას ანტიგრეტას უწოდებენ, რითაც ქალიშვილების შეხედულებების განსხვავებულობაზე მიუთითებენ.**

ამ ქალიშვილის შესახებ არცთუ დიდი ხნის წინათ ალაპარაკდნენ... როგორც **გრეტა ტუნბერგის** ანტიპოდზე, რომელსაც ყველა იცნობს, ეკოლოგიური პროტესტებით სხვადასხვა დონეებზე ხშირი გამოსვლების წყალობით. იზაბელას კი ეკოლოგიური პრობლემატიკა ნაკლებად აინტერესებს: იგი ლაპარაკობს არაკანონიერი მიგრაციის პრობლემაზე, აპროტესტებს აშკარა გეიპროპაგანდას შვედეთის სკოლებში, მხარს უჭერს უნგრეთის პრემიერმინისტრ **ვიქტორ ორბანის** კონსერვატიულ თვალსაზრისს, ამხელს ეთნიკურ სასკოლო ბანდებს და სკოლებში ფიზიკური და სექსუალური ძალადობის ფაქტებს, რომლებზეც შვედეთის ხელისუფლება თვალის დახუჭვას ამჯობინებს.

და კიდევ აი, რისი თქმა გაბედა მან: **„მე მიყვარს ჩემი შვედეთი და მისთვის სიმართლისა და სამართლიანობისთვის ვიბრძოლებ. ვიკინგების ვაჟიშვილები და ქალიშვილები ერთხელაც იქნება და აღსდგებიან. მჯერა, რომ ღმერთები გვითვალთვალებენ და მკაცრად დასჯიან მოღალატეებს, დაუყოვნებლივ ნაციონალისტებად შეგვრაცხავენ და ანათემას გადაგვცემენ. აქ ხომ შვედეთია — ტოლერანტობით დაავადებული საზოგადოება, უძლიერესი მემარცხენე ლობი, რომელსაც სიფრთხილის არქონას ვერ დასწამებ“.**

ნახევარი წელიწადი მაინც არის, რაც იზაბელას შესახებ ევროსკეპტიციზმით დაავადებულ იტალიაში ლაპარაკობენ; საფრანგეთში, სადაც ეროვნული ფრონტისა და **მარინ ლე პენის** ფორუმებზე მისგან უკვე შექმნეს გმირის ხატება. მაგრამ ქალიშვილი მოწინააღმდეგეებმაც შენიშნეს, მისი Twitter წაშალეს ქსელში უცნაური მიზეზით — „იგი ჯერ ძალიან პატარაა, ამგვარ საგნებზე რომ იმსჯელოს“.

## ანტაგონიზმი ანტაგონიზმის გარეშე

სინამდვილეში იზაბელა ისეთი აქტივისტი არ არის, როგორიც ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს. იგი მართლაც მონაწილეობდა რამდენიმე დემონსტრაციაში, რომლებიც შვედეთის მიერ „მიგრაციის შესახებ გლობალური ხელშეკრულების“ ხელმოწერის წინააღმდეგ გაიმართა, მაგრამ შემდგომ მისი პოზიციის შესახებ ადამიანები იგებდნენ სხვადასხვა ინტერვიუდან, რომლებსაც მას ართმევდნენ ჟურნალისტები და ბლოგერები. მეორე მხრივ, ინტერვიუშიც კი მან შეძლო არსებული სისტემისა და სრულიად დასავლური გლობალისტური შეხედულების წინააღმდეგ ისე რადიკალურად გამოსვლა, რომ მიიპყრო ათასობით ადამიანის ყურადღება მთელ მსოფლიოში.

ამჟამად ქსელში საკმაოდ ბევრია „ანალიტიკა“, რომლითაც თითქმის მასხრად არის აგდებული **იზაბელასა** და **გრეტას** — მეორე ნორჩი შვედი აქტივისტის, ურთიერთდაპირისპირება. თანხვედრა პასპორტში ჩანაწერებს არ სცილდება, რადგან სხვა ყველაფერში თითოეული თავის ტალღას არის მომჯდარი, სხვადასხვა თემებზე ლაპარაკობენ, აპროტესტებენ სრულიად განსხვავებულ საკითხებს და პრაქტიკულად არსად არ გადაიკვეთებიან. ეს ასეა, მაგრამ ხალხის მოტყუება მაინც ძნელია და სპონტანურად წარმოშობილი მეტსახელი „ანტიგრეტა“ სრულად ასახავს არსს იმისას, რაც ხდება. იზაბელა ზოგჯერ ხუმრობით დასცინის გრეტას, ყოველგვარი გაბოროტების გარეშე.

**ისინი მართლაც რადიკალურად განსხვავდებიან ერთმანეთისგან თითქმის ყველაფერში. არცთუ ჭკვიან ტუნბერგს, რომელიც ეკოლოგიურ საშინელებათა გავლენის ქვეშ იმყოფება, საკუთრივ ცოტა რამ თუ ესმის მოცემული თემის, და იზაბელა, რომელმაც გაბედა მეინსტრიმის წინააღმდეგ წასვლა მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი ცოდნისა და გრძნობის წყალობით, პირად გამოცდილებაზე დაყრდნობითა და არსებული ვითარების მისეული გაგებიდან გამომდინარე.**

გრეტა აცხადებს მისთვის მოპარული ბავშვობის შესახებ, მაგრამ მას შინ უდგას სკამი, რომელიც ცხრა ათასი ევრო ღირს. მას უპირისპირდება შერეული ქორწინების შედეგად გაჩენილი ბავშვი, რომელიც გეტებორგის არცთუ კეთილმოწყობილ გარეუბანშია გაზრდილი. იგი სწავლობდა უბრალო სკოლაში, სადაც მიგრანტების შვილები დადიოდნენ. მშვიდობის ნობელის პრემიის შესაძლო ლაურეატი, რომლის პიარით, გამოჩენის თითქმის პირველივე დღიდან დაკავდნენ პროფესიონალები (ფრიად ძვირადღირებული პროფესიონალები), და ჯერჯერობით ბევრისთვის უცნობი გოგონა, რომლის შესახებაც წერენ უმეტესად თავიანთ ქვეყნებში მარგინალურებად მიჩნეული გამოცემები.

**ისინი არა მხოლოდ დაპირნისპირებულები, არამედ გამომწვევად დაპირისპირებულები არიან: სხვების იდეების გამტარებელი და საკუთარი, ყველასთვის იოლად აღსაქმელი იდეების გენერატორი.**

ისინი ერთმანეთისგან განსხვავდებიან, როგორც ორი მტრული არმიის დროშები, როგორც ორი სიმბოლო, რომლებსაც ხელეწიფება ამ ორი არმიის შეტევაზე გადასვლა.



**ამ ქალიშვილის შესახებ არცთუ დიდი ხნის წინათ ალაპარაკდნენ... როგორც გრეტა ტუნბერგის ანტიპოდზე, რომელსაც ყველა იცნობს, ეკოლოგიური პროტესტებით სხვადასხვა დონეზე ხშირი გამოსვლებით. იზაბელას კი ეკოლოგიური პრობლემატიკა ნაკლებად აინტერესებს: იგი ლაპარაკობს არაკანონიერ მიგრაციის პრობლემაზე, აპროტესტებს აშკარა გეიპროპაგანდას შვედეთის სკოლებში, მხარს უჭერს უნგრეთის პრემიერმინისტრ ვიქტორ ორბანის კონსერვატიულ თვალსაზრისს, ამხელს ეთნიკურ სასკოლო ბანდებს და სკოლებში ფიზიკური და სექსუალური ძალადობის ფაქტებს, რომლებზეც შვედეთის ხელისუფლება თვალის დახუჭვას ამჯობინებს**

ასეთი „დროშების“ არქონა მწვავედ იგრძნობოდა დიდი ხნის წინათ, თანაც, დაპირისპირებულთა ორივე მხარეს. ლიბერალური იდეების ძირითადი დამცველები და მატარებელნი შესამჩნევად დაბერდნენ და რაღაცნაირად ჩაქრნენ, დაკარგეს ქარიზმა. პირდაპირ თუ ვიტყვით, მათ გაიმარჯვეს, ლიბერალურმა დიქტატურამ დაბორკა დასავლური ცივილიზაცია, მაგრამ აშკარაა, რომ ეს გამარჯვება ყველასი და ყველასთვის ბედნიერებისკენ გაკვალული გზა კი არ არის, არამედ მხოლოდ ეფტანაზიისკენ გაჭრილი გზასავალი.

## დროშების როტაცია

მემარცხენე არმიას (რომელიც გარკვეული აზრით უკვე „მემარჯვენე“ გახდა, რადგან დიდი ხანია შეესისხლხორცა ხელისუფლებას და მას განასახიერებს) ძალიან სჭირდება დროშების შეცვლა, და გრეტა ტუნბერგის გამოჩენა სრულებითაც არ არის შემთხვევითი, დროშის ტარს დანატრებულმა ხელებმა ოსტატურად აიტაცეს იგი, აღმართეს არნახულ (ბავშვისთვის მაინც) სიმაღლეზე და ააფრიალეს იმ იმედით, რომ ახალ რეზერვისტებს მიიზიდავდნენ თავიანთ არმიაში. ამან იმუშავა: ათასობით ბავშვი გრეტას მიბაძვით აცდენს სასკოლო მეცადინეობას და საყვედურობს მთელ მსოფლიოს მათთვის მოპარული ბავშვობის გამო, მომავალ ეკოლოგიურ კატასტროფაში დაკარგული პერსპექტივის გამოც და ა.შ.

მაგრამ კიდევ უფრო მწვავედ სჭირდება ისინი პირობით მემარჯვენე არმიას, რომელიც გლობალურ მარცხს განიცდის. რაღაც დროით ასეთ დროშად იქცა ფრანგი ქალი **მარინ ლე პენი.** მაგრამ ამჟამად იგი უკვე აღარ არის ის ქერა ლამაზმანი, როგორიც იყო უწინ. პოლიტიკური ხატებაც ცოტა გაიცრიცა, ფერი დაკარგა საფრანგეთის სათავეში მოსვლის წარუმატებელი მცდელობისა და პოლიტიკური სკანდალების ფონზე.

**ისეთი გაბედული გოგონას, თითქმის ბავშვის გამოჩენამ, როგორიც იზაბელაა, შეიძლება ბევრს შთაბეროს ძალა და დაარწმუნოს თავისი აზრებისა და შეხედულებების სისწორეში. იგი ჰგავს ზღაპრულ ბიჭს, რომელმაც შეჰყვირა „მეფე შიშველია!“ ეს არქეტიპი მყარად არის ჩამჯდარი ევროპულ შეგნებაში, რომელიც ჯერ კიდევ ბოლომდე არ არის დამახინჯებული ტოლერანტობით. მილიონობით ევროპელს ჯერ კიდევ უკვირს, რომ შვედურ საბავშვო წიგნებში წერია შემდეგი რამ: „მე ვარ ბელა, გოგონა პენისით“, „მე კი ვარ ლინუსი, ბიჭი ვაგინით“, „მე კი — თინთინი და ელზა — მე ვარ ბიჭიც და გოგონაც და რაღაც მათ შორის“.**

უკვირთ, მაგრამ ეშინიათ დევნის, ან იმდენად არიან დაშინებული სხვადასხვა ჯურის „ავტორიტეტული“ ფსიქოლოგებით, სექსოლოგებითა და „გენდერულ სპეციალისტთა“ მიერ, რომ ვერ პოულობენ ძალას დაუფარავად გააჟღერონ თავიანთი უძალობა და გაოგნება.

იზაბელა აქ სჭირდებათ არა იმდენად როგორც გარკვეული დარგის ავტორიტეტი, არამედ როგორც მაგალითი, რომელიც დაარწმუნებს ადამიანებს თავიანთი შეხედულებების სისწორეში და შეარცხვენს თავიანთი სიმხდალის გამო.

პრობლემა არის ის, რომ მემარჯვენე არმია მარცხდება. ადამიანები კი, რომლებიც ჯოგის ინსტინქტით ხელმძღვანელობენ, ცდილობენ გამარჯვებულ მხარეს მიეკედლონ. მათ კი, ვინც „ანტიგრეტის“ შეხედულებებს იზიარებენ, აღარ დარჩათ სერიოზული მედია საშუალებები, ადმინისტრაციული რესურსი და სპეცსამსახურები და ეს დროშა, საეჭვოა აღიმართოს ძალიან მალე. შეიძლება ისეც მოხდეს, რომ არც აღიმართოს.

შექმნილი ვითარება უკვე იმითაცაა საინტერესო, რომ შეიძლება ნამდვილად დაგვანახვოს, შერჩათ თუ არა სკანდინავებს ვიკინგების სულისკვეთება, გერმანელებს — ტევტონი რაინდების სულისკვეთება, ესპანელებს — კონკისტადორებისა, იტალიელებს — რომაელების, თუ ეს მხოლოდ ხმამაღალი სიტყვებია. გამორიცხული არ არის, რომ დამპყრობთა და ცივილიზატორების განებივრებულმა შთამომავლებმა მდუმარე მაცქერალთა როლი ირჩიონ, მორჩილად უყურონ თავიანთი დიადი წინაპრების მონაპოვრის იავარქმნას ბარბაროსების მიერ, რაც ევროპის ისტორიაში არაერთხელ გამეორებულა.

ამიტომ, რაგინდ საინტერესო იყოს, დროშები თავისთავად, გაცილებით მნიშვნელოვანია არმიებისთვის თვალის მიდევნება, რომლებიც ამ დროშებით მიდიან საბრძოლველად. გაცილებით საინტერესოა დღეს მსოფლიოში მიმდინარე მოვლენები და მათი მომავალი შედეგები, რომლებსაც შესაძლებელია ჟამთა სვლის კვალზე მოჰყვეს ევროპული ცივილიზაციის სრული კრახი.

ჯერჯერობით კი გავიხაროთ იმით, რომ ჯანმრთელ ძალებს გაუჩნდათ დროშა.

მწარე სიმართლე

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**საქართველო კვლავ მისი „თანამდევი უკვდავი სულის“ გარეშე განაგრძობს სვლას... საკითხავია, როდემდე? ნუთუ სანამ ახალ-ახალი იმპერიებისა თუ გლობალიზმის ლუკმა არ გავხდებით?**

რუბრიკას უძღვება დარეჯან ანდრიაძე

„ბრმად თაყვანისცემა რისიმე, თუ ვისიმე, კერპთმსახურებაა და ყოველს მონობაზე უარესი და უკადრისი მონობააო“, — უთქვამს დიდი ილიას. ასე რომ, დღეს ვინც თავის პოლიტიკურ ოპონენტებს მონებს ეძახის, თვითონაც მონაა იმ ექსპრეზიდენტისა, რომელიც მათ თოჯინებივით ათამაშებს.

როდემდე უნდა გაგრძელდეს ასე დაპირისპირება, აქციები, მუშტი-კრივი?! მავანთა მიერ თავის მართლება ნაკლებ დამაჯერებელი არგუმენტებით?! არადა, დრო გადის, რომელიც ქვეყნის საქმეს დაღმართში მიაქანებს.

ივანე ჯავახიშვილი სინანულით აღნიშნავდა: „ჩვენს ხალხს ანდაზად აქვს ნათქვამი — კარგ მთქმელს კარგი გამგონე უნდა და საუბედუროდ, ილია ჭავჭავაძეს კარგი გამგონე დღემდე არ გამოსჩენია, მაგრამ ეს ხომ მისი ბრალი არააო“. მიუხედავად იმისა, რომ დღეს ხშირად გვესმის ხელისუფალთაგან, — ილიას გზას ვადგავართო, „კარგი გამგონე“ არც ამჯერად ჰყავს ერის მამას. საქართველო კვლავ მისი „თანამდევი უკვდავი სულის“ გარეშე აგრძელებს სვლას... საკითხავია, როდემდე? ნუთუ სანამ ახალ-ახალი იმპერიებისა თუ გლობალიზმის ლუკმა არ გავხდებით?

ვიღას ახსოვს 1895 წელს ილიას მიერ „ივერიაში“ თქმული ეს გაფრთხილებაც; „ჩვენს ცხოვრებაში ამ ბოლო ხანებში თავი იჩინა ერთმა მოვლენამ, რომელსაც ჯერ ფართო გზა არ გახსნია..., მაგრამ მიზეზი ამ მოვლენისა ისეთია, რომ... დღითი-დღე გაძლიერდება“ *(„ემიგრაცია საქართველოდან“);* „...ჩვენს მშვენიერს ქვეყანას, როგორც უპატრონო საყდარს, სხვანი დაეპატრონებიანო“.

და აჰა, დღეს ლამის ნახევარი საქართველო დაიცალა, სამაგიეროდ ათასი ჯურის უცხოელები ჩამოგვისახლდნენ. ესეც კიდევ ერთი „წყევა-კრულვიანი საკითხავია“ დღეს ჩვენთვის. ყოველდღიურობის ორომტრიალში ჩაფლულებსა და ერთმანეთთან ანგარიშსწორებით გართულებს გვავიწყდება წინ გახედვა და „წარხდენილი ქართველთა სახელისა და ქართული წეს-წყობის აღდგენა“. პირიქით — კიდევ უფრო „წარვახდინეთ“ ერთიც და მეორეც... „არ არის არც ერთი მხარე ჩვენი ცხოვრებისა, რომ წარსულის რაიმე ნაშთი ზედ არ შერჩენოდეს, ხოლო ამ ნაშთისა დღეს ჩვენ აღარა გაგვეგება-რა იმიტომ, რომ დავიწყებული გვაქვს მისი ამხსნელი და განმარტებელი ისტორია... ამიტომაც ჩვენ ბევრში უთავბოლობა გვეტყობა, არაფერი საქმე არ გვიხერხდება, აქეთ და იქით ვასკდებით თავ-ბრუდახვეულ კაცივით...“

„თურაშაულის პატრონი, ტყეში ეძებდა პანტასაო,“ — ეს გვჭირს. ათასნაირ ექსპერტებს და თეორიებს ვეძებთ მთელს მსოფლიოში ჩვენი ქვეყნის პრობლემათა გადაწყვეტისთვის, პასუხს სხვაგან ვეძებთ და არა საკუთარ თავსა და ისტორიაში. „ამის გამო ჩვენ ველარ ვიკვლიეთრა, ვეღარა გამოვიძიეთ-რა... ან, რაღას ვიკვლევდით, როცა ჩვენი აღარა გვჯერა-რა. ეს ყველა ჩვენი ძველი ნაცადი, ჩვენი წარსულის გამოცდილება გაგვიბათილა სახელმა და ბრუმ უცხო ქვეყნისამ, რომელმაც ყველაფერში ღრმად ჩაგვითრია“. ამ „ღრმად ჩათრევის“ შედეგია ის, რომ ჩვენი დღევანდელი ცხოვრების ნებისმიერი პრობლემის პასუხს სხვაგან ვეძებთ, გვავიწყდება ილიასეული გენიოსური ფორმულა: „ჩვენს იქით ჩვენი ხსნა მხოლოდ ტკბილი სიზმარია“. არადა, თითოეული ჩვენგანი ვალდებულნი ვართ, ვიფიქროთ: „რანი ვიყავით, რანი ვართ და რად შეიძლება ვიქმნეთ“; რას დავუტოვებთ XXI საუკუნის ქართველები მომავალ თაობებს. ამის ნაცვლად კი რჩევას ვეკითხებით გადამთიელ „პატრონებს“, შედეგად ხშირად აღმოჩნდება ხოლმე, რომ „სიზიფეს შრომა“ გაგვიწევია მხოლოდ.

ამიტომაც ვტკეპნით ერთ ადგილს. ეტყობა, „გონების განწმენდა“ გვჭირდება, „უცხო ბაძით“ მოწამლული გონების. უკვე მერამდენედ აგვიხდა შაჰ-აბასის წყევლაც: „ღმერთო, ქართველებს ერთ პირს ნუ მისცემო“.

ილია მთელი სიცოცხლე თავისი „კარგი ქვეყნის დიდების დღენის აღდგენისათვის“ ოცნებობდა, შესაძლოა, სწორედ ამიტომ მასაც უწევდა ვაიპატრიოტთა მოგერიება და მათ მიერ შეთხზული პასკვილებისთვის პასუხის გაცემა, დამაჯერებელი და უტყუარი არგუმენტებით გამყარებული პასუხის. „ნუთუ?“ უკანასკნელი შედევრია ილია ჭავჭავაძის პოლემიკური მემკვიდრეობისა, რომლითაც მან ღირსების შემლახველებს საკადრისი პასუხი გასცა, მაგრამ ვაი სირცხვილო: მახარაძეებისა და ჟორდანიების მიერ წაქეზებულმა სტამბის მუშებმა უარი თქვეს ილიას საპასუხო წერილის აწყობასა და დაბეჭდვაზე... ისე, რომ ეჭვიც არ გასჩენიათ, იქნებ უსამართლოდ სცხებდნენ ჩირქს „სხვის ადამიანურს ღირსებას, სინდისს, წმიდათა-წმიდას შესაბღალავად და შესაგინებლად იმეტებენ“.

საბედნიეროდ, „ივერია“ სიფრთხილით და წინდახედულად მოქცეულა, ბრმად არ აჰყოლია ვიღაც ორ ასოს ქვეშ მიმალულ კორესპონდენტის ფეხის ხმას იქ, „საცა ხელშეხებულია ადამიანის ღირსება, პატიოსნება, ერთის სიტყვით, ყოველივე ის, რაც პატივაუხდელ ადამიანის უძვირფასეს და ხელშეუხებელს კუთვნილებას შეადგენს“. ასე თუ მოიქცევიან ჩვენი მასმედიის, განსაკუთრებით ტელევიზიების, ჟურნალისტები და „ისეთის გახარებით, თითქო ოქროს მადანი უპოვიაო“, არ აჰყვებიან ჭორებსა თუ უსაფუძვლო ბრალდებებს, თავიდან აირიდებენ იმ ლანძღვა-გინებას (ზოგჯერ გადამეტებულსაც), რომლითაც „დაუმადლებლად“ უმასპინძლდებიან „რესპონდენტები“ თუ მათი „ოპონენტები“.

**მკითხველს ვთავაზობთ ილიას ზემოხსენებულ წერილს, რომელიც 1905 წელს „ივერიაში“ დაიბეჭდა.**

# აგვიხდა შაჰ-აბასის წყევლა, ღმერთო, ქართველებს ერთ პირს ნუ მისცემო

# ნ უ თ უ ?

## (პასუხად «მოგზაურის» კორესპონდენციისა)



**«ბრმად თაყვანისცემა რისიმე, თუ ვისიმე, კერპთმსახურებაა და ყოველს მონობაზე უარესი და უკადრისი მონობაა»**

I

„ივერიის“ მკითხველთ უკვე მოეხსენებათ, რომ „მოგზაურში“ (13) დაბეჭდილი იყო კორესპონდენცია, რომელსაც თუმცა სათაურად ჰქონდა „საგურამოს და ჭოპორტის საზოგადოება“, მაგრამ უფრო მე ვყავდი ნიშანში ამოღებული და ჩემი ადამიანური ღირსება.

ავტორი „მოგზაურის“ შემწეობით მე მაბრალებს, — **ვითომც მხეცურ გულქვაობით და სამარცხვინო ავზნეობით ვეპყრობოდე საგურამოს გლეხკაცობას** და ამისათვის ერთმანეთზე ცოტად თუ ბევრად შეუწყნარებელს ამბებს მოგვითხრობს ისეთის კადნიერებით, თითქო მართალია, და ისეთის გახარებით, თითქო ოქროს მადანი უპოვიაო. ეს კორესპონდენცია გადმობეჭდილ იქმნა „ივერიაში“ (54) ამ დაბოლოვებით: „ნუთუ ეს აღმაშფოთებელი ამბავი მართალია? ნუთუ „გლახის ნაამბობის“ ავტორს ასეთი დამოკიდებულება აქვს გლეხებთან? ჩვენ არ გვინდა დავიჯეროთ და გვირჩევნია, ჯერჯერობით იმედი ვიქონიოთ, რომ თითონ თ. ილია ხმას ამოიღებს და კორესპონდენციის შინაარსის უსაფუძვლობას დაგვიმტკიცებსო“.

თუმცა ის ამბავი, რომ „ივერიამ“ ეს კორესპონდენცია მთლად გადმობეჭდა და იმით ხელი მოუმართა ავტორს, გაევრცელებინა საძაგელი მოთხრობა, თავის-თავადაც ასე თუ ისე იკბინება, მაგრამ მე მაინც მადლობელი დავურჩი „ივერიის“ რედაქციას. რაც გინდ იყოს, ზემოაღნიშნული დოსტალური პირდაპირ გვანიშნებს, რომ „ივერია“ სიფრთხილით და წინდახედულად მოქცეულა, ბრმად არ აჰყოლია ვიღაც ორს ასოს ქვეშ მიმალულ კორესპონდენტის ფეხის ხმას იქ, საცა ხელშეხებულია ადამიანის ღირსება, პატიოსნება, ერთის სიტყვით, ყოველივე ის, რაც პატივაუხდელ ადამიანის უძვირფასეს და ხელშეუხებელს კუთვნილებას შეადგენს.

**მცირეოდენ განათლებამოცხებულ კაცს, მცირეოდენ სალის ჭკუის პატრონს კარგად მოეხსენება, რომ ყოველივე თავისის თავის და პრესის პატივისმცემელი რედაქცია და თუნდ ყოველივე ცალკე კაცი ასე უნდა მოიქცეს ყოველს შემთხვევაში და, თუ სულ მთლად ზურგს არ შეაქცევს, ეჭვი მაინც უნდა შეიტანოს იქ, საცა სხვის ადამიანურს ღირსებას, სინდისს, წმიდათა-წმიდას შესაბღალავად და შესაგინებლად იმეტებენ.**

**ეს ანბანია ზნეობისა, ეს მისი პირველი და უკანასკნელი კანონია**, მერე იმისთანა, რომელიც, რა თვალითაც გინდ შეხედოთ, ერთნაირად სავალდებულოა ყველასათვის, რა დასისა და რწმენის კაციც გინდ იყოს. **ეხლანდელი დრო და მასთან ერთად ყოველივე ცოტად თუ ბევრად გონებაგახსნილი კაცი და ქალი რომ ხმამაღლა ჰღაღადებს ხელშეუხებლობას ადამიანისას, განა მარტო პოლიციის მიერ ხელშეუხებლობა აქვთ სახეში, არამედ ყოველგვარი ხელშეუხებლობა და, სხვათა შორის, იგიც, როცა სამარცხვინო და სახელგასატეხ ბრალს რასმე სდებს ერთი მეორეს ტყუილისა და მართლის წინასწარ გამოუძიებლად და აუწონლად.**

ბევრი კაცი, და იქნება იმისთანა უხეირო რედაქციაც, სადმე იყოს, კაცთა საუბედუროდ, რომელიც ძალზე იჭაჭება და ბუკითა და ნაღარით გაიძახის ამ შეუხებლობას ადამიანისას, მაგრამ ყოველ წარამარად მოტანტალე კორესპონდენტს სიხარულით კარს უღებს და ხელს უწყობს გამვლელი და გამომვლელი საერთოდ, და რედაქციის მიერ ნიშანში ამოღებული საკუთრივ ლაფში ამოსვაროს თავიდამ და ფეხამდე წინასწარ მოუკითხავად, — ვინ მტყუანია და ვინ მართალი.

**ნუთუ ეს ამისთანა საქციელი ხელშეხება არ არის და ყველა ხელშეხებაზე უფრო საზიზღარი, უფრო შემაძრწუნებელი და უფრო საშიშარი კაცის ერთმანეთობით ადამიანურ ცხოვრებისათვის.** ნუთუ ეს არის იგი მადლცხებული თავისუფლება ბეჭდვისა, პრესისა, რომელსაც ასე სამართლიანად შევხარით დღეს დიდი და პატარა და ასე გულმხურვალედ და თავდადებით ვეტანებით. ეს ხომ, თავისუფლება-კი არა, ბოროტად ხმარებაა იმ გაპატიოსნებულ ძალ-ღონისა, იმ ძლევამოსილ შემძლებლობისა, რომელიც პრესას სამართლიანად ხელთ უპყრია და რომლის მეოხებით დღეს გვირგვინოსანნიც-კი ქედს იხრიან სასოებით და მოწიწებით.

**ნუთუ ეს ამისთანა შემძლებლობა ბეჭდვის სხივმოსილ თავისუფლებისა რედაქციამ იმაზე უნდა ჩამოახდინოს, რომ კაცმა კაცი უთავბოლოდ გაჰპენტოს, კაცმა კაცს უთავბოლოდ სახელი შეულახოს, ნამუსის ქუდი მოჰხადოს და ლაფში გადაუგდოს. რედაქციის კალამი ნიჩაბი ხომ არ არის, რომ აიღოს და, ვინც არ ესიამოვნება, ლაფი და ტალახი შეასხას ან თავისის ან სხვისა ხელით.**

ზოგისათვის ამისთანა საქციელი პრესისა თუ მთლად არ არის შესანდობარი, ცოტად თუ ბევრად შესაწყნარებელია მით, რომ პრესისაგან უსამართლოდ და უსაბუთოდ შებღალვილს ღონისძიება აქვს თავი იმართლოს ბეჭდვითვეო. ბევრს ეს პრესის მეტზე-მეტის პატივისცემით მოსდის და არა იმისათვის, რომ ამისთანა უკადრისი საქციელი პრესისა არ ეხამუშებოდეს. ეხამუშება, სწყინს კიდეც, მაგრამ არ უნდა, რომ იმისთანა მზეს, როგორიც დღეს პრესაა, ლაქები რამ ჰქონდეს და არ გაუქარწყლოს.

მეც დიდი პატივისმცემელი ვარ პრესისა და ერთს დროს, ვიდრე ჯანმრთელობა არ შემერყა და ნებას მაძლევდა, მეც ერთი ჩანჩალა ვიყავ მისი, მაგრამ იმისთანა პატივისმცემელი კი არასდროს არ ვყოფილვარ და არცა ვარ, რომ ყოველ წარამარად ბლაჯვნას პრესის წმინდა სახელი ვუწოდო, ან პრესის ყოველივე საქციელი ვაქო და ვადიდო ბრმად და განუსჯელად. **ბრმად თაყვანისცემა რისიმე, თუ ვისიმე, კერპთმსახურებაა და ყოველს მონობაზე უარესი და უკადრისი მონობაა.**

პრესას, რომლის სამფლობელო მართალი და ჭეშმარიტებაა და რომელიც მარტო ამ ორთაწიაღში უნდა ატრიალებდეს და ამოქმედებდეს უკეთესთა ადამიანთა ჭკუაგონებას და უმაღლეს სულთ-სწრაფვას კაცობრიობისას გზას უკაფავდეს, განა ეპატიება უსამართლოდ გაბიაბრუება ადამიანისა მარტო იმ საზრისით, რომ, თუ აქ კაცი კაცს უსაფუძვლოდ ერჩის, იმედია, გაბიაბრუებული უსაბუთობას რჩოლისას დაგვიმტკიცებსო...

ნუთუ ეს სასურველია პრესისთვის, რომლის ჭეშმარიტი თავისუფლება მიჯნების განზე გადგმა კი არ არის ბოროტისა, არამედ მისი შეზღუდვა და შეხუთვა. **დიდი მოვალეობა პრესისა, მისი ღვაწლი, გლეხისა და თავად-აზნაურის, ან მდიდრისა და ღარიბის ერთმანეთზე მისევა კი არ არის, შუაკაცობაა, შუა ჩადგომაა მათ შორის, მშვიდობიანობის ჩამოგდებაა, მოსარიგებლის მორიგებაა, შესარიგებელის შერიგებაა** იმისდა მიხედვით, — ვის რა ზნეობრივი და მოქალაქეობრივი ან ერობრივი სამართალი მიუძღვის ერთმანეთის წინაშე... თუ მართალი ხარ, თავი იმართლე ბეჭდვითვეო, ეს ადვილად სათქმელია და ზოგჯერ შეუძლებელი ასასრულებლად. **მაგალითებრ, განა არ შემიძლიან დავწერო და დასაბეჭდად წავიღო, რომ ერთმა გლეხმა მიამბო, ვითომც რედაქტორი „მოგზაურისა“ ერთს ვიღაცის სახლში შესულა, ერთი მანეთი მოუპარავს და გაპარულა.**

**ნუთუ ის ყოვლად უსაბუთო, ყოვლად უგეშო ბრალდება უნდა დაბეჭდოს ან გაზეთმა, ან ჟურნალმა იმ იმედით, რომ თუ ეს ამბავი ტყუილია, ბრალდებული ამ ტყუილს დაამტკიცებსო. განა აქ ტყუილის დამტკიცება შესაძლებელია? რით და რა გზით? სად არის გეში, სად არის საბუთი, რომ კაცმა ან ასე გახიოს, ან ისე გაფხრიწოს? აქ ცარიელ უარყოფის მეტი** ▶

„ეხლანდელი დრო და მასთან ერთად ყოველივე ცოტად თუ ბევრად გონებაგახსნილი კაცი და ქალი რომ ხმამაღლა ჰღაღადებს ხელშეუხებლობას ადამიანისას, განა მარტო პოლიციის მიერ ხელშეუხებლობა აქვთ სახეში, არამედ ყოველგვარი ხელშეუხებლობა და, სხვათა შორის, იგიც, როცა სამარცხვინო და სახელგასატეხ ბრალს რასმე სდებს ერთი მეორეს ტყუილისა და მართლის წინასწარ გამოუძიებლად და აუწონლად“.

მწარე სიმართლე
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## თითოეული ჩვენგანი ვალდებულნი ვართ, ვიფიქროთ: «რანი ვიყავით, რანი ვართ და რად შეიძლება ვიქმნეთ»; რას დავუტოვებთ XXI საუკუნის ქართველები მომავალ თაობებს. ამის ნაცვლად კი რჩევას ვეკითხებით გადამთიელ «პატრონებს», შედეგად ხშირად აღმოჩნდება ხოლმე, რომ «სიზიფეს შრომა» გაგვიწევია მხოლოდ. ამიტომაც ვტკეპნით ერთ ადგილს. ეტყობა, «გონების განწმენდა» გვჭირდება, «უცხო ბაძით» მოწამლული გონების










«ბევრი კაცი, და იქნება იმისთანა უხეირო რედაქციაც, სადმე იყოს, კაცთა საუბედუროდ, რომელიც ძალზე იჭაჭება და ბუკითა და ნაღარით გაიძახის ამ შეუხებლობას ადამიანისას, მაგრამ ყოველ წარამარად მოტანტალე კორესპონდენტს სიხარულით კარს უღებს და ხელს უწყობს, გამვლელი და გამომვლელი საერთოდ, და რედაქციის მიერ ნიშანში ამოღებული საკუთრივ ლაფში ამოსვაროს თავიდამ და ფეხამდე წინასწარ მოუკითხავად, — ვინ მტყუანია და ვინ მართალი»






**ხომ სხვა გზა და ღონე არ არის. რაკი დამტკიცებაზე მიდგა საქმე უარყოფა განა დამტკიცებაა ბრალდების ტყუილისა? უარყოფა პატიოსან კაცისა და აშას კვრა ქურდისა ერთმანეთისაგან როგორ უნდა გაირჩეს ამისთანა შემთხვევაში?**

ან ვისა აქვს იგი ადამიანის ღირსებისათვის უკადრისი მართლა-და უფლება, იგი ყოვლად შეუწყნარებელი და ადამიანობის შემაგინებელი ბატონობა, რომ კაცი პასუხის საგებლად მოედანზე გამოსჭიმოს, ვიდრე ბრალმდებს თავისი არ დაუსაბუთებია იმოდენად მაინც, რომ პირველ შეხედვით საბუთი საბუთს ჰგვანდეს და არა ტყუილების გუდას,... სწორედ ამგვარად მომექცა ჩემზე ასე ძლიერ გაბოროტებული ავტორი: სამარცხვინო საქციელები დამწამა და საბუთად მარტო ის მოიყვანა, რომ ასე მიამბო ერთს შემთხვევაში ერთმა გლეხმაო, მეორეში — მეორემაო, ზოგან თავისიც მოაჭორა და ცალიერის სიტყვის მეტი სხვა არა გვანიშნა-რა. მართლა უამბო თუ არა ან ერთმა, ან მეორე გლეხმა, — ეგ მაღლა ღმერთმა იცოდეს და დაბლა თითონ ავტორის სინიდისმა. ხოლო ნუთუ მბობა ვისიმე საერთოდ და გლეხისა ცალკე საბუთია, რომ შეუმოწმებლად კაცმა კაცი გასწიროს, ზნეობითად ჯვარს აცვას, ან შამფურზე ააგოს და სირცხვილის ნაღვერდალზე შესწვას... სრულიადაც არ გამიკვირდება, რომ იმავ თავდაუჭერელმა ავტორმა ხვალ არ დამწამოს შარაგზაზე ხალხის ძარცვა და ამის საბუთად ის არ მოიყვანოს, რომ ერთმა გლეხმა ასე მიამბოო, და თუ გაჭირდა ერთი ვინმე უნამუსო გლეხი, ანუ სხვა წოდების კაცი, პირში არ წამომიყენოს. მოდი აქ და თავი იმართლე, თუ უსაფუძვლობა ამისთანა ბრალისა თქვენზე მოაგდეს დასამტკიცებლად... დიახ, ბატონებო, თუმცა **ჩემს მხილებელს, ჩემს ბრალმდებელს სურვილი დიდი ჰქონია, ჩემთვის სახელი გაეტეხნა და სირცხვილი ეჭმევია, მაგრამ საფანელი დაჰკლებია და ვერ მოუხერხებია. ვერ მოუხერხებია იმიტომ, რომ ტყუილსაც და ცილისწამებასაც ჭკუა და გონება სდომებია.**

იგი იმისთანა ბრალებსა მდებს, რომელთა გაქარწყლება ძალიან ადვილია, თუ კაცი გაირჯება და თვითოეულის ბრალის გარემოებას და ვითარებას ცოტაოდნად მაინც ჩაუკვირდება და ჭკუადასმით და გულმართლად განიკითხავს.

II

იგი სასახელო კორესპონდენცია, რომელმაც გამოიწვია ეს ჩემი წერილი, იმით იწყება, რომ საგურამოს საზოგადოების მცხოვრებლებმა ექვსს მარტს თავი მოიყარა და გადასწყვიტა: „ბოიკოტი გამოეცხადოს აქაურ მემამულეებს — ილია ჭავჭავაძეს, გივი სტაროსელსკის და ტატო ციციშვილსაო“. ამთავითვე მიუბაძნია ჭოპორტის საზოგადოებასაც და აქ ვის გამოუცხადეს „ბოიკოტობა“, ჩვენი ავტორი, რა თქმა უნდა, ხმას არ იღებს. საგურამოს და ჭოპორტის საზოგადოებათა წრეში რომ ილია ჭავჭავაძე სულაც არ ყოფილიყო, დარწმუნებული ვარ, ავტორს არავითარი ნაღველი არ ექნებოდა არც საგურამოს, არც ჭოპორტის გლეხთა საზოგადოებისა და არავითარი დარდი გლეხისა არ აალაპარაკებდა.

განა მარტო ეს მაკმარა, რომ „ბოიკოტი“ გამოუცხადესო. დღევანდელ დღეს ვის არ შემთხვევია ეგ ამბავი და ამით ჭავჭავაძეს ბევრი არა წაუხდებოდა-რა. რომ უფრო გააძლიეროს ამ „ბოიკოტის“ მნიშვნელობა ჩემდა სამარცხვინოდ, ავტორი დიდის რიხით და პათოსით შემოგვძახის: „ასე გასინჯეთ, ი. ჭავჭავაძეს ჰყავდა (ვაი ჩემს შერცხვენას!) ერთი დედაბერი მექათმედ. იმის შვილის სახლს ცეცხლი წაუკიდეს, — რატომ დედაშენი არ ანებებს თავს მებატონესთან სამსახურსაო, და კაცი იძულებული იყო, ძალით გამოეთრია გაჯიუტებული დედაბერიო“.

ჯერ ერთი ის, რომ ეს ცეცხლის წაკიდება ცოცხალ-ცოცხალი ტყუილია და, როგორც მაცნობეს, ამისთანა ამბავი სრულებითაც არ მომხდარა, სახლიც ღმერთის მადლით არავისთვის არ გადაუწვავთ, მაშ, რა ძალა დასდგომია ჩვენს ბედნიერს ავტორს, რომ ამისთანა აშკარა ტყუილი, რომ ამისთანა აშრობა უკადრნია და არ უთაკილნია! ამით ვითომ რა ჰსურვებია, ეთქვა ჩვენს ბედნიერ ავტორს? ის რომ, რაკი ჭავჭავაძეს დედაბერიც არ დაუყენეს, — სჩანს, რაოდენად გაუწბილებია ჭავჭავაძეს გლეხკაცობა, რამოდენად შეუძულებია თავისი თავი, რომ მისდა სავნებელად გლეხკაცებმა თავისი მოძმეც არ დაინდეს. ავტორს ისიც-კი ვერ გაუგია, რომ თუ დედაბერი გაჯიუტებულა და ჭავჭავაძესთან ყოფნა ურჩევნია, ვიდრე შვილთან წასვლა, ეს ამბავი ჭავჭავაძისათვის უფრო ხელსაყრელია, ვიდრე ავტორისათვის. აგრეთვე ის ამბავიც, რომ გლეხკაცებს ვითომც ამ დედაბერის შვილისათვის სახლი გადაუწვავთო, გლეხთა ავკაცობას უფრო მოასწავებს, ვიდრე საბუთს „ბოიკოტის“ ასე თუ ისე გაძლიერებისას, ჩემდა სამარცხვინოდ. **აბა, ამას ჭკუა არ უნდა, რომ კაცი აშკარა ტყუილს იგონებდეს და ამ ტყუილით თითონვე თავისის ხელით ყელს იჭრიდეს. კიდევ ვიტყვი: არა შეჰჯდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისი.**

მე და ჩემი მეუღლე მემამულენი ვართ, არც მე და არც ჩემს მეუღლეს არც ერთი ნაყმევი, არც ერთი ხიზანი არა გვყავს, არამცთუ საგურამოს, არამედ მთელს დედამიწის ზურგზე. მართალია, მე საკუთრივ ცოტა თუ ბევრი ყმები მყავდა კახეთში, მაგრამ ყმათა განთავისუფლების პირველ ხანებშივე მთელი მათ მიერ ხმარებული საკომლო, სახლკარის მიდამო, მათი ხვედრი ვენახები, უსასყიდლოდ დავუთმე და ხელშეუხებელ საკუთრებად დავუმტკიცე და ამით მოვსპე ყოველივე ბატონ-ყმური ნაშთი ჩემსა და ჩემთა ნაყმევთა შორის. ხიზნებიცა მყავდა თიანეთის მაზრაში. ხაზინა შემომევაჭრა მათ მიერ ხმარებულ მამულს და მე მარტო მაშინ მივყიდე, როცა ჩემი ხიზნები სხვა, მათ მიერ არჩეულ და მოწონებულ სახელმწიფო მამულში გადავიყვანე და დავაბინავე თ. ლევან ჯანდიერის შემწეობით, რომელიც მაშინ მაზრის უფროსად იყო. ჩემმა მეუღლემაც გაყოფის დროს ისე გამოიწილადა მონაწილეთაგან მამული, რომ არც ერთი ხიზანი, არც ერთი ნაყმევი არ ირგუნა. ამ სახით, ჩვენ ორს რაც მამულები გვაქვს, სულ თავისუფალი და დამოუკიდებელია სხვისაგან. მაშასადამე, მამულის გამო ჩვენ ვერაკაცი ვერც ნაყმეობით, ვერც ხიზნობით ვერას წაგვედავება, ვერას დაგვემდურება, თუ სადმე განკითხვა და სამართალია.

და თუ გლეხკაცობა დღეს თავისას მაინცდამაინც არ იშლის და კერძო საკუთრებას ხელს ატანს, ეს ცოტად თუ ბევრად შესაწყნარებელია იმით კი არა, რომ სამართალი რამ მიუძღოდეთ, არამედ იმით, რომ დღევანდელი მოძრაობა სოფლისა ცეცხლსავით მოედო მთელს საქართველოს და ყველა ნებით თუ უნებლიეთ თან წაიყოლია.

აქედამ ის არ გამოდის, რომ კაცმა დიდის მწუხარებით არ შეხედოს იმისთანა ამბავს, როცა კაცს სხვა საბუთი არ მიუძღვის იმის გარდა, რომ **მე ცოტა მაქვს და შენ ბევრი და ამიტომ შენ უნდა წაგერთვას და მე მომერთვასო. აბა, უკიდურეს სილატაკიდან უდიდეს სიმდიდრემდე რამდენი საფეხურია, რამდენი კიბეა, რამდენი ერთმანეთზე მეტია, და მოდით და გაარჩიეთ, რომელმა რომელი უნდა სწეწოს და ჰგლიჯოს მთელს ამ დიდს მანძილზე. კერძო საკუთრება, სამართლიანად თუ უსამართლოდ, ჩვენდა საბედნიეროდ, თუ საუბედუროდ, ჯერ კიდევ დიდ ხანს იქნება დიდს პატივში და მის სარბიელზე ძალმომრეობა, ერთმანეთზე მისევა, ვინც გინდ იყოს, იაფად არ დაუჯდება....**

(დასასრული შემდეგ ნომერში)

## როდემდე უნდა გაგრძელდეს დაპირისპირება, აქციები, მუშტი-კრივი?! მავანთა მიერ თავის მართლება ნაკლებ დამაჯერებელი არგუმენტებით?!

ეს უნდა ვიცოდეთ
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

აღვსილნი არიან ყოველგვარი უსამართლობით, ბოროტებით, ანგარებითა და სიავით, სავსენი შურით, მკვლელობით, შუღლით, ვერაგობით, უზნეობითა და მაბეზღარობით. ცილისმწამებელნი, ღვთის მოძულენი, შეურაცხმყოფელნი, ამპარტავანნი, მკვეხარნი, ბოროტგამზრახველნი, მშობლების ურჩნი.

*(მოციქულ პავლეს წერილი რომაელთა მიმართ, 1,29-30)*



## ბრიტანეთის სკოლებში ბავშვებს ნებას დართავენ, ჩაიცვან გენდერულად ნეიტრალური ფორმა

Independent-ი წერს, რომ ეს იდეა წამოაყენეს ლიბერალურმა დემოკრატებმა. პარტიაში განაცხადეს, რომ მოქმედი „წესები დაძველდა" და მოქალაქეებს დაჰპირდნენ, რომ მიიღებენ ისეთ კანონებს, რომლებიც აიძულებს ინგლისის სკოლებს, გადახედონ ფორმების თავიანთ წესებს. გეგმის თანახმად, დირექტორებმა ბავშვებს ნება უნდა დართონ, ჩაიცვან შორტები, შარვლები, კაბები, სქესის მიუხედავად.

„ეს უფლებას მისცემს თითოეულ ბავშვს, აირჩიოს ფორმა, რომელსაც თავად ისურვებს. დირექტივები, რომლებიც აიძულებს ბავშვებს, არ ჩაიცვან მათ სქესთან შეუთავსებელი ფორმა, დაძველდა და მავნეა. თუ მათ დავეხმარებით, იყვნენ ბედნიერები ტანსაცმელში, სწავლების ხარისხსაც ავამაღლებთ", — აღნიშნა პარტიის პრესმდივანმა **ლეილა მორანმა**, რომელმაც შესაბამისი კანონპროექტი პარლამენტის კანცელარიას წარუდგინა.

## მთვრალი იყო და არ ახსოვს

**მთვრალი იყო 32 წლის ქალი, მასწავლებელი, ორი შვილის დედა.**



არ ახსოვს, ჰქონდა თუ არა ინტიმური კავშირი თავის ორ მოსწავლესთან.

Daily Star იუწყება, რომ აშშ-ის ტეხასის შტატში მოხდა ეს სამარცხვინო ამბავი.

„ეს არც პირველი შემთხვევაა და, როგორც ჩანს, არც უკანასკნელი. არაერთხელ გამოქვეყნებულა მასალა მსგავსი შემთხვევების თაობაზე ამერიკულ პრესაში, ჩვენს გაზეთსაც გადმოგვიღია", — წერს გამოცემა.

ქალბატონმა აღიარა ჩადენილი დანაშაული, მაგრამ მაინცდამაინც დარწმუნებული არ ვარ, რომ ასე მოხდაო, თქვა, რადგან მთვრალი იყო და არ ახსოვს. მისმა ადვოკატმა განაცხადა, რომ გამოძიების დაწყებამდე სექსუალური გულუხვობით გამორჩეულმა მასწავლებელმა სმას თავი დაანებაო. ალკოჰოლიკი ყოფილა.

სკოლიდან, რა თქმა უნდა, დაითხოვეს და მთელი ცხოვრების განმავლობაში აუკრძალეს მასწავლებლობა.

## პოლიციელმა იჩივლა და 20 მილიონი აშშ დოლარი მოიგო



**არატრადიციული ორიენტაციის პოლიციელმა ამერიკის მისურის შტატიდან სამსახურში მის წინააღმდეგ განხორციელებული დისკრიმინალიზაციის გამო სასამართლოში იჩივლა, საქმე მოიგო და 20 მილიონამდე დოლარის კომპენსაციაც მიიღო. ამის შესახებ წერს BBC News-ი.**

ეს პოლიციელი გახლავთ ქალაქ სენტლუისში მცხოვრები **ქეით ვილდჰაბერი.** მას, როგორც არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის ადამიანს, აშკარად და დაუფარავად ჩაგრავდნენ, 23-ჯერ უთხრეს უარი სამსახურში დაწინაურებაზე. ვინმე ჯონ სარაცინო, რომელიც სენტლუისის პოლიციელი კომისრების საოლქო საბჭოს წევრი იყო, არაორაზროვნად ურჩევდა, „დაემუხრუჭებინა თავისი ცისფერობით ამაყობა", თუ სურდა დაწინაურება.

სარაცინო ასეთი კომენტარების მიცემის ფაქტს კატეგორიულად უარყოფს.

ასეთსავე რჩევას აძლევდა თითქოს მოსარჩელეს პოლიციის კაპიტანი **გაი მინზიც.**

შედეგად, ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ დაადასტურა, რომ ვილდჰაბერი დისკრიმინაციის მსხვერპლი იყო. მას გადაუხადეს ის უზარმაზარი კომპენსაცია, რომელზეც ზემოთ მივუთითეთ.

# ნეოლიბერალური ზნეობა

## ზღვის მარტორქის ეშვი, როგორც ტერორიზმთან ბრძოლის იარაღი

**ნუ გეცინებათ, რადგან სწორედ ზღვის მარტორქის ეშვის გამოყენებით შეაჩერეს ტერორისტი, რომელმაც ტერაქტი ლონდონის ხიდზე მოაწყო. ის გახლდათ წარმოშობით პაკისტანელი, რომელიც ამჟამად ბრიტანეთის მოქალაქეა, უსმან ჰანი. ის შემთხვევითმა გამვლელებმა მარტორქის ეშვითა და ცეცხლსაქრობით თავისი სისხლიანი ანგარიშსწორების პიკზე შეაჩერეს.**




გამოქვეყნებულ ვიდეოჩანაწერში ჩანს, რომ ორი დანით შეიარაღებული ჰანი უკან იხევს, როცა მას ორი უცნობი ადამიანი უტევს. ერთ-ერთი მათგანი ტერორისტის მიმართულებით აფრქვევს ცეცხლსაქრობის შიგთავს სითხეს, მეორე ზღვის ცხოველის ეშვის მეშვეობით უტევს. როგორც ჩანს, ეს ეშვი მოქალაქემ იქვე ახლოს მდებარე თევზით მოვაჭრეთა გილდიის შენობიდან გამოიტანა და იარაღად გამოიყენა.

მამაკაცებმა უკან დაახევინეს ტერორისტს, მესამემ, რომელიც მათ შეუერთდა, უკნიდან დაუარა თავდამსხმელს და მიწაზე დასცა. ბრძოლამ პარტერში გადაინაცვლა. ტერორისტს ერთი დანა ხელიდან გააგდებინეს. ამასობაში პოლიციელებმაც მოუსწრეს და ჩაერთნენ ბრძოლაში.

— ჩვენ ვხედავდით, რომ მას ცალ ხელში ეკავა დანა, — ყვება შემთხვევის ერთ-ერთი მონაწილე **სტივ ჰერსტი**, — და თავში ჩავარტყი ფეხი. ერთობლივი ძალით გავაგდებინეთ დანა, რომლითაც მშვიდობიანი მოქალაქეების დაჭრა ჯერ კიდევ შეეძლო, რადგან მოწინააღმდეგეთა რიცხობრივი უპირატესობის მიუხედავად ტერორისტი დანებებას არ აპირებდა, გარშემო მყოფთ ტანზე დამაგრებული ასაფეთქებელი მოწყობილობით აშინებდა. პოლიციელებმა ზუსტად შეაფასეს საფრთხე, ყველას უკანდახევა უბრძანეს, არ დაელოდნენ, ტერორისტის მიერ „შაჰიდის ქამრის" ამოქმედებას და დახვრიტეს თავდამსხმელი.

უფლებადამცველებს, თბილისისგან განსხვავებით, ამის გამო არავითარი საპროტესტო მიტინგი და აქცია არ მოუწყვიათ.

## ტრანსგენდერი Victoria's Secter-ის ახალ მოდელად მოგვევლინა

**ცნობილი ტრანსგენდერი მოდელი ვალენტინა სამპაიო თეთრეულის სახელგანთქმული ბრენდის — Victoria's Secter-ის ახალი სახე გახდა. ეს ამბავი გვაუწყა 22 წლის ბრაზილიელმა თავისი მიკრობლოგის საშუალებით.**



მან თავისი ფოტოც გამოაქვეყნა. ცოტა მოგვიანებით კი სოცქსელებში სხვა გოგოებმა, რომლებიც VS-ის პროდუქციის რეკლამირებით არიან დაკავებულები, სიხარულით გვაცნობეს ამ „ისტორიული მოვლენის" შესახებ. მაგალითად, მოდელმა ლაის სიბეირომ „ტვიტერში" დაწერა: „პირველი ტრანსგენდერი VS-ის გადაღებებზე! მე უბედნიერესი ვარ".

ვალენტინა სამპაიოს მიღწევა მართლაც შეიძლება გარღვევად ჩავთვალოთ, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ფირმის მარკეტინგის დირექტორი **ედ რაზეკი** გადაღებებში ტრანსგენდერების მონაწილეობის წინააღმდეგი გამოვიდა. ამის შესახებ მან 2018 წლის ნოემბერში განაცხადა, მაგრამ კრიტიკა დაიმსახურა და ბოდიში მოიხადა: „ჩვენ უეჭველად ავირჩიეთ ჩვენი შოუსთვის ტრანსგენდერი მოდელი". და დასძინა, რომ ქასტინგზე ტრანსგენდერები არაერთხელ მივიდნენ.



ვალენტინა სამპაიო ბიჭად დაიბადა, მაგრამ 8 წლისა უკვე მიხვდა, რომ მისი ნამდვილი სქესი მდედრობითია. 10 წლისა უკვე აცხადებდა, რომ გოგო იყო და ქალის სახელი დაირქვა. მოდელინგის გარდა, სამპაიო უნივერსიტეტში არქიტექტურას სწავლობს. იგი პირველი ტრანსსექსუალი მოდელია, რომლის ფოტოსურათი ჟურნალმა Vogue-მ ყდაზე გამოაქვეყნა.

„აქ უკვე აღარავის სურს ნორვეგიელობა, ნორვეგიელი — ეს სისუსტის სიმბოლოა“, — თქვა კვლევის ერთ-ერთმა მონაწილემ. სკოლებში ნორვეგიელ ბიჭებს ხშირად სცემს რამდენიმე მიგრანტი ერთად, მასწავლებლები კი ნორვეგიელებს ხურდის დაბრუნებას უკრძალავენ. მიგრანტებმა სწრაფად აითვისეს, რომ „მათი წყენინება არ შეიძლება“ და ხშირად იყენებენ ამ დაუმსახურებელ პრივილეგიას.

მსოფლიო
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# როგორ გადააქციეს მიგრანტებმა ევროპელთა ცხოვრება კოშმარად

## ჩვენ, ევროპელებს, ისღა დაგვრჩენია, განვაცხადოთ: მიგრანტები — ეს ძალიან კარგია! მულტიკულტურა — ეს ხომ შესანიშნავია! შეიძლება, ასეც არის, მაგრამ ეს ყველაფერი ბევრი ადამიანისთვის ყოველდღიურ კოშმარად იქცა“

**უნგრელი ექსპერტი მიკლოშ კევეხაზი თავის აზრს გვიზიარებს შექმნილ ვითარებაზე ევროპის იმ ქვეყნებში, რომელთა ხელისუფლებებიც საკამათო მიგრაციულ პოლიტიკას ახორციელებენ.**

მიკლოშ კევეხაზიმ ყურადღება მიაპყრო იმას, რომ სახელგანთქმული მქადაგებლის — **მარტინ-ლუთერ კინგის** მკვლელობის შემდეგ აშშ-ში დაიწყო აფროამერიკელი მოსახლეობის დიდი საპროტესტო გამოსვლები. ისინი მოითხოვდნენ, ქვეყანაში ყოფილიყო თანასწორობა. ამასთანავე, შეიქმნა მოძრაობა სახელწოდებით „შავი — ეს შესანიშნავია“ (Black is beautiful). ამ ტალღაზე გაჩნდნენ ნიჭიერი მუქკანიანი არტისტები და იუმორისტები; ცალკე კასტად ჩამოყალიბდნენ სამხრეთის შტატის მუსიკალური ჯგუფები, რომლებმაც თავიანთი შემოქმედებით გაამდიდრეს აშშ-ის კულტურული ცხოვრება. ეს მოძრაობა შედგებოდა აფროამერიკელი მოსახლეობის დამცირებული ფენების წარმომადგენლებისგან.

**„ჩემი აზრით, დღეს ეს მოვლენა ძლიერ ზემოქმედებს აშშ-ის დანარჩენ ეთნიკურ ჯგუფებზე. ჰოლივუდი იძულებულია, თავის ფილმებში წინ წამოსწიოს „ყველა კონფლიქტში გამარჯვებული მუქკანიანი მაჩოების სახეები“,** — განაცხადა **მიკლოშ კევეხაზიმ.**

ეს არ არის ახალი მოვლენა, ის დამახასიათებელი იყო ძველი რომისთვის, აგრეთვე, შუა საუკუნეების სახელმწიფოებისთვისაც. რაც შეეხება ამჟამინდელ ვითარებას, ჩვენ შეგვიძლია ვუყუროთ, როგორ მიემართება ასიათასობით არალეგალი და ლეგალი მიგრანტი ევროპისა და ამერიკის აყვავებულ (ჯერ კიდევ) ქვეყნებში. აღნიშნული რეგიონების მოსახლეობა ამ მოვლენას არაერთმნიშვნელოვნად აფასებს.

**მსგავსი პროცესების ყველაზე ნათელი მაგალითია ნორვეგია, რომელიც ბოლო ათწლეულში ძალიან შეიცვალა ახალგაზრდა და აგრესიული მიგრანტების ზემოქმედებით. ერთმა ნორვეგიელმა ინტერნეტგამოცემამ ამ თემაზე კვლევა ჩაატარა. გაირკვა, რომ გრორუდალენში, მიგრანტებით დასახლებულ რაიონში, მკვიდრი მოსახლეობა მიხვდა, რომ ნორვეგიელად ყოფნა მოდური აღარ არის. საქმე ის არის, რომ „ცუდი ბიჭები“ (მიგრანტები) უფრო აინტერესებთ გოგონებს, ვიდრე ადგილობრივი ბიჭები.**

„აქ უკვე აღარავის სურს ნორვეგიელობა, ნორვეგიელი — ეს სისუსტის სიმბოლოა“, — თქვა კვლევის ერთ-ერთმა მონაწილემ. სკოლებში ნორვეგიელ ბიჭებს ხშირად სცემს რამდენიმე მიგრანტი ერთად, მასწავლებლები კი ნორვეგიელებს ხურდის დაბრუნებას უკრძალავენ. მიგრანტებმა სწრაფად აითვისეს, რომ „მათი წყენინება არ შეიძლება“ და ხშირად იყენებენ ამ დაუმსახურებელ პრივილეგიას.

მიგრანტები, როგორც წესი, დიდ ოჯახად ცხოვრობენ, ადგილობრივების ბავშვები კი, ძირითადად, იზრდებიან საზოგადოების არასრულ უჯრედებში, უმამოდ, დებისა და ძმების გარეშე. ამასთანავე, ადგილობრივი გოგონები არც ისე იშვიათად უპირატესობას ანიჭებენ მიგრანტებს, რადგან მათ უფრო მამაკაცურებად და თავდაჯერებულებად მიიჩნევენ.

**„ჩემი აზრით, მომხდარში არ შეიძლება ნორვეგიელი ადამიანების დადანაშაულება. ხელისუფლება ხელს უწყობს ისეთი ვითარების შექმნას, როცა მიგრანტები უფრო მიმზიდველი არიან ადგილობრივი გოგონებისთვის. ქალის ფსიქოლოგია ირჩევს უფრო აგრესიულ, ბრუტალურ მამაკაცს. გადარჩენისთვის ბრძოლაში მარტოხელა, ინდივიდუალიზმზე აღზრდილ ახალგაზრდა კაცს ძალიან უჭირს „ნორვეგიის ახალ დამპყრობლებთან დაპირისპირება“,** — აღნიშნავს მიკლოშ კევეხაზი.

ექსპერტთა შეფასებით, ბალკანეთის ნახევარკუნძულზე ამჟამად იმყოფება დაახლოებით ნახევარი მილიონი მიგრანტი. უნგრეთმა, რომელზეც გადის ერთ-ერთი მიგრაციული მარშრუტი, ცოტა ხნის წინათ ღობით გადაკეტა ეს მიმართულება, მაგრამ ასეთი წინაღობაც ვერ აჩერებს ამ ადამიანებს.

„ჩვენ, ევროპელებს, ისღა დაგვრჩენია, რომ განვაცხადოთ: მიგრანტები — ეს ძალიან კარგია! მულტიკულტურა — ეს ხომ შესანიშნავია! შეიძლება, ასეც არის. მაგრამ ეს ყველაფერი ბევრი ადამიანისთვის ყოველდღიურ კოშმარად იქცა“, — დაასკვნა მილოშ კევეხაზიმ.



მიკლოშ კევეხაზი





**ნორვეგია ბოლო ათწლეულში ძალიან შეიცვალა ახალგაზრდა და აგრესიული მიგრანტების ზემოქმედებით. ერთმა ნორვეგიელმა ინტერნეტგამოცემამ ამ თემაზე კვლევა ჩაატარა. გაირკვა, რომ გრორუდალენში, მიგრანტებით დასახლებულ რაიონში, მკვიდრი მოსახლეობა მიხვდა, რომ ნორვეგიელად ყოფნა მოდური აღარ არის. საქმე ის არის, რომ «ცუდი ბიჭები» (მიგრანტები) უფრო აინტერესებთ გოგონებს, ვიდრე ადგილობრივი ბიჭები**

# ბორის ჯონსონის პარტიამ პარლამენტში აბსოლუტური უმრავლესობა მოიპოვა



**დიდ ბრიტანეთში 12 დეკემბერს გამართული რიგგარეშე არჩევნების შედეგების მიხედვით, პრემიერმინისტრ ბორის ჯონსონის პარტიამ თემთა პალატაში მანდატების აბსოლუტური უმრავლესობა მოიპოვა.**

კონსერვატორების დამაჯერებელი გამარჯვება იმას ნიშნავს, რომ ქვეყანაში ჩამოყალიბდება ერთპარტიული მთავრობა და მომავალი წლის 31 დეკემბერს დიდი ბრიტანეთი დატოვებს ევროკავშირს.

ბრექსიტის შემდეგ გაერთიანებულ სამეფოს სამომავლო ურთიერთობების შესახებ მოლაპარაკებების გამართვა ევროკავშირთან მოუწევს. ეს მოლაპარაკებები 2020 წლის 31 დეკემბრამდე უნდა დასრულდეს.

რიგგარეშე არჩევნები — ეს იყო ევროკავშირიდან გასვლით გამოწვეული პოლიტიკური კრიზისის შედეგი. კონსერვატორებს სურთ ბრექსიტის განხორციელება 2020 წლის 31 იანვრამდე. ლიბერალ-დემოკრატები კი ევროკავშირის წევრობის შენარჩუნებას უჭერენ მხარს.

ამერიკის პრეზიდენტმა **დონალდ ტრამპმა** უკვე მიულოცა კონსერვატორების ლიდერს, ბრიტანეთის პრემიერმინისტრ ბორის ჯონსონს „დიდი გამარჯვება“ საპარლამენტო არჩევნებში.

ბრიტანეთი აშშ-თან განსაკუთრებული ურთიერთობებით არის დაკავშირებული, არსებობს მოსაზრება, რომ ჯონსონი გაითვალისწინებს ტრამპის გადაწყვეტილებებს, შედეგად კი ბრიტანეთისა და დანარჩენი მსოფლიოს ურთიერთობა დამოკიდებული იქნება აშშ-ის საგარეო პოლიტიკაზე.

აღსანიშნავია, რომ რუსეთის პრეზიდენტმა **ვლადიმერ პუტინმა** იწინასწარმეტყველა ევროკავშირის დაშლა და დაასახელა ვადა — „2028 წელი“. მისი აზრით, ბრიტანეთის გზას შეიძლება დაადგეს აღმოსავლეთ ევროპის რამდენიმე ქვეყანა. ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ ევროკავშირის დეზინტეგრაცია შეუძლებელი ჩანდა, ახლა კი ეს პროცესი სრულიად აშკარაა.

**გვერდი მოამზადა გიორგი გაჩეჩილაძემ**

ყველაზე ყველაზე...
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**შიმპანზე კონგოს გარდაცვალების შემდეგ მის სტილს ლირიკული აბსტრაქტული იმპრესიონიზმი შეარქვეს. მისი ერთ-ერთი ნახატი პაბლო პიკასომ იყიდა, კიდევ ერთი ხუან მირომ გაცვალა თავის 2 ესკიზში. სამი ნახატი კი BONHAMS-ის პრესტიჟულ აუქციონზე გაიყიდა 28 ათას დოლარად — უფრო ძვირად, ვიდრე ამავე აუქციონზე გატანილი ოგიუსტ რენუარისა და ენდი უორჰოლის ნამუშევრები. სხვათა შორის, გენიალური შიმპანზეს ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა მალე გაიმართება ლონდონში.**

# განსაცვიფრებელი ინტელექტის მქონე ცხოველები

**ზოგიერთი ცხოველი ადამიანებს არათუ ჩამოგვრჩება ინტელექტით, ზოგჯერ უკეთესადაც აზროვნებენ. ცხოველთა შორის ყველაზე ჭკვიანად მეცნიერები შიმპანზეს მიიჩნევენ, აგრეთვე, გორილებსა და ორანგუტანებს, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ცხოველთა სამყაროს სხვა წარმომადგენლები მახვილგონიერებას არ ავლენენ.**



## მტრედი შერ ამი — გადაარჩინა 194 ჯარისკაცი

**ეს მოხდა პირველი მსოფლიო ომის წლებში, კერძოდ, 1918 წლის 3 ოქტომბერს ანტანტის ჯარების შეტევისას გერმანელთა პოზიციებზე.** მაიორი ჩარლზ უიტლსი, და მასთან ერთად 500-ზე მეტი ადამიანი მტრის ალყაში აღმოჩნდა უსაკვებოდ და ცოტაოდენი ტყვია-წამლით. ამას დაემატა ისიც, რომ მოკავშირეებმა მათ შეცდომით საარტილერიო ცეცხლი გაუხსნეს და პირველივე დღეს ბატალიონის წევრების დიდი ნაწილი დაიღუპა. ჯარისკაცები მტრედების მეშვეობით შეეცადნენ, ეცნობებინათ მოკავშირეებისთვის, რომ თავისიანებს უტევდნენ და სროლა შეეწყვიტათ.

პირველი ორი მტრედი გერმანელებმა ისე მოკლეს, რომ ადრესატამდე ცნობა ვერ მიიტანეს, ამიტომ ცაში ააფრინეს მესამე მტრედი სახელად შერ ამი, რომელსაც მარცხენა ფეხზე მიბმული ჰქონდა კაფსული წარწერით: „ჩვენ ვართ გზის გასწვრივ. სიმაღლე 276,4 მ. ჩვენი არტილერია პირდაპირ გვირტყამს. ღვთის გულისთვის, შეწყვიტეთ ცეცხლი". გერმანელები შეეცადნენ ფრინველის ჩამოგდებას, მაგრამ მან შეძლო მოკავშირეების ტერიტორიამდე მიეღწია (იფრინა 40 კმ), 25 წუთში მიეტანა გზავნილი და ამით გადაერჩინა 194 ადამიანის სიცოცხლე. როდესაც მტრედი მებრძოლებს ხელში ჩაუვარდათ, მათ დაინახეს, რომ ფრინველი დაჭრილი იყო მკერდში. ექიმებმა იბრძოლეს მტრედის სიცოცხლის გადასარჩენად და ის გადარჩა. ოღონდ დაკარგული ფეხი ხის ფეხით შეუცვალეს, ამასთანავე, დააჯილდოვეს საფრანგეთის საბრძოლო ჯვრისა და ამერიკის საფოსტო მტრედების საზოგადოების ოქროს მედლით. შერ ამი 1919 წლის 13 ივნისს მოკვდა.








## შიმპანზე კონგო — ყველაზე ცნობილი მხატვარი ცხოველთა შორის

**„მან აიღო ფანქარი, მე კი წინ დავუდე ქაღალდის ფურცელი...** რაღაც უცნაური გამოდიოდა ფანქრით. ეს იყო კონგოს პირველი ხაზი. მან მოკლე მონაკვეთი გაავლო და გაჩერდა. განაგრძობს თუ არა? მოხდება თუ არა ეს კიდევ? მან ეს კიდევ და კიდევ გაიმეორა", — იგონებს მკვლევარი **დესმონდ მორისი**, რომელიც აკვირდებოდა ხვად შიმპანზეს, სახელად კონგოს. მაიმუნი ადრეული წლებიდან ინტერესდებოდა ხატვით, 2 წლის განმავლობაში 400-მდე ნახატი დახატა. თავდაპირველად, ისევე, როგორც სხვა შიმპანზეები, უბრალოდ დღაბნიდა საღებავებით, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს ფუნჯის დაკავების მანერა მკვეთრად შეცვალა, ისევე, როგორც დამოკიდებულება თავის გართობისადმი. კონგო გაცილებით ყურადღებიანი გახდა. გულმოდგინედ უსვამდა ფუნჯს. მორისმა დაინახა, რომ მაიმუნმა დამოუკიდებლად ისწავლა წრის ხატვა, მის ნახატებში გაჩნდა კომპოზიციები.

როცა მორისი რაღაცას ხატავდა ფურცლის ერთ მხარეს, შიმპანზე იღებდა ფუნჯს, უმატებდა კომპოზიციას და ამით სიმეტრიას აძლევდა ნახატს. ამასთანავე, კონგომ იცოდა, როდის შეიძლებოდა, ჩათვლილიყო ნახატი დასრულებულად. ამ დროს ის ფუნჯს, უბრალოდ, გვერდით დებდა. თუ მას ახალ, სუფთა ფურცელს აძლევდნენ, ის დაუყოვნებლივ იწყებდა მუშაობას, მაგრამ, თუ მისცემდნენ ძველ ნამუშევარს, ახლოს აღარ ეკარებოდა.

კონგომ სიკვდილის შემდეგ გაითქვა სახელი. ის ტუბერკულოზით დაავადდა და 1957 წელს წავიდა იმქვეყნად, შემოქმედებითი გაფურჩქვნის ხანაში — ის მხოლოდ 9 წლის იყო. შიმპანზე კონგოს გარდაცვალების შემდეგ მის სტილს ლირიკული აბსტრაქტული იმპრესიონიზმი შეარქვეს. მისი ერთ-ერთი ნახატი **პაბლო პიკასომ** იყიდა, კიდევ ერთი **ხუან მირომ** გაცვალა თავის 2 ესკიზში, სამი ნახატი კი Bonhams-ის პრესტიჟულ აუქციონზე გაიყიდა 28 ათას დოლარად — უფრო ძვირად, ვიდრე ამავე აუქციონზე გატანილი **ოგიუსტ რენუარისა** და **ენდი უორჰოლის** ნამუშევრები.

სხვათა შორის, გენიალური შიმპანზეს ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა მალე გაიმართება ლონდონში.

## ძაღლი სტაბი — გადაარჩინა ადამიანები პირველ მსოფლიო ომში



**ძაღლები ცხოველთა ჭკვიან სახეობას განეკუთვნებიან. მათი მხრიდან უნიკალური ინტელექტის გამოვლენის მაგალითი ბევრია.**

მაგალითად, 1923 წელს ძაღლი ბობი თავის პატრონთან ერთად მოგზაურობდა ორეგონის შტატიდან ინდიანაში, სადაც ის დაიკარგა. ძებნა უშედეგოდ დასრულდა. იმედგაცრუებული პატრონი შინ დაბრუნდა. წარმოიდგინეთ მისი განცვიფრება, როდესაც 6 თვის შემდეგ ძაღლი სახლის კარის ზღურბლზე დაინახა. ბობიმ 4105 კმ გაიარა, შინ რომ დაბრუნებულიყო. ადამიანის ოთხფეხა მეგობრებმა თავი გამოიჩინეს სამხედრო ოპერაციების დროსაც.

ერთ-ერთი ასეთი ძაღლი იყო სტაბი. 1917 წელს იელის უნივერსიტეტის ველზე სამხედრო მომზადების გავლისას რიგითმა **ჯონ რობერტ კონროიმ** ლეკვი იპოვა. ძაღლმა ბევრი რამ ისწავლა: ცნობდა საყვირის ხმას, დადიოდა სამწყობრო ნაბიჯით და სამხედრო სალამით ხვდებოდა პატრონს. სტაბი ისე შეუყვარდათ ჯარისკაცებს, რომ 102-ე პოლკის თილისმად იქცა. ძაღლი ყველგან ახლდა სამხედროებს, ბრძოლებშიც კი, რამდენჯერმე დაიჭრა, მაგრამ ექიმებმა იხსნეს. პირველი საბრძოლო ნათლობა სტაბიმ მიიღო პირველ მსოფლიო ომში, როცა შხამიანი აირით მოიწამლა, და ამიტომ ძალიან მგრძნობიარე იყო ასეთი აირის მცირე დოზის მიმართაც კი. სწორედ ამ უნარის წყალობით გადაარჩინა მთელი პოლკი, რომელსაც სისხამ დილით შეუტიეს მომწამვლელი აირით, როცა ჯარისკაცებს ეძინათ. ძაღლი ხმამაღლა აყეფდა და ჯარისკაცებს კბენდა, სანამ ყველამ არ გაიღვიძა. შეუდარებელი იყო სტაბი ბრძოლის ველზე დაჭრილების მოძებნაშიც — მას დაჭრილის ჩურჩულიც კი ესმოდა. პირველი მსოფლიო ომის ბოლოს ძაღლი 17 ბრძოლაში მონაწილეობდა, დაჯილდოებული იყო უამრავი მედლით აშშ-ისა და საფრანგეთის მთავრობების მიერ. სტაბი ერთადერთი ძაღლია, რომელმაც სერჟანტის წოდება მოიპოვა. მან 1926 წელს დალია სული თავისი პატრონის ხელებში.



## დელფინი მოკო — გადაარჩინა კაშალოტების ოჯახი

**ეს მოხდა 2008 წელს ახალი ზელანდიის ნაპირებთან, ქალაქ გისბორნთან ახლოს.** ზოოდამცველები ცდილობდნენ, მეჩეჩზე გარიყული მდედრი ჯუჯა კაშალოტისა და მისი ნაშიერის გადარჩენას, მაგრამ ოკეანეში მათ გაყვანას ვერ ახერხებდნენ, ამიტომ გადაწყვიტეს, მოეკლათ, რათა ტანჯვა-წვალებისგან ეხსნათ. ამ მომენტში გამოჩნდა ადგილობრივების საყვარელი დელფინი მოკო, რომელსაც ძალიან უყვარდა ბურთით თამაში, თუმცა ზოგჯერ ხულიგნობდა კიდეც — ეჯახებოდა სერფინგისტებს და მათ დაფიდან აგდებდა ან ნავებს აყირავებდა.

მოკო ამჯერად გმირულად მოიქცა — მან როგორღაც დაამყარა კავშირი კაშალოტებთან და შეძლო მათი გაყვანა 200 მ მანძილზე ნაპირის გასწვრივ არხისკენ, რომელიც ღია ზღვაში გადიოდა. სამწუხაროდ, თვითონ მოკო ამ შემთხვევიდან ორი წლის შემდეგ დაიღუპა ნავთან შეჯახების შედეგად. საყვარელი არსების დასაფლავებაზე 4 ათასი ადამიანი შეიკრიბა. მოკოს სხეული ჩაასვენეს ცისფერ კუბოში, რომელიც დადეს კატერზე და ის ყურე შემოატარეს, რომელშიც დელფინს უყვარდა ადამიანებთან თამაში. მოკო დაასაფლავეს კუნძულ მატაკანზე. 2011 წელს ჟურნალმა Time-მა მოკო ისტორიაში ყველაზე მამაცი ცხოველების ათეულში შეიყვანა.



**მოამზადა**
**ნიკა კორინთელმა**

**ოლიმპიადის ბოლო დღე ტრეტიაკისთვის საინტერესო აღმოჩნდა: სარაევოში ჩაიტანეს გამზადებული კონტრაქტი ასტრონომიულ თანხაზე. ტრეტიაკის შეძენა NHL-ის სახელოვან კანადურ კლუბ „მონრეალ კანადიენზს“ სურდა (მსგავსი შეთავაზებები ვლადისლავს ადრეც ჰქონია), მაგრამ იმხანად სხვა დრო იყო — საბჭოთა კავშირის ნაკრების მეკარე სხვა ქვეყანაში ვერ ითამაშებდა.**



www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ვლადისლავ ტრეტიაკი — ლეგენდარული მეკარე

**რუსი ჰოკეისტი ვლადისლავ ტრეტიაკი — სპორტის დამსახურებული ოსტატი, სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი (1972, 1976, 1984 წწ.), მსოფლიოს, ევროპისა და სსრკ-ის მრავალგზის ჩემპიონი (1970-1984 წწ.), კანადის თასის მფლობელი (1981 წ.), არმიის ცენტრალური სპორტული კლუბისა („ცე-ეს-კა“) და სსრკ-ის ნაკრების მეკარე, 1952 წლის 25 აპრილს დაიბადა.**

**ვლადისლავ ტრეტიაკი** ბავშვობიდანვე მისდევდა სპორტს: ზამთარში სრიალებ- და თხილამურებით, ციგურებით, თამაშობდა ფრენბურთს, მაგიდის ჩოგბურთს, ფეხბურთს. ტრეტიაკების ოჯახი საცურაო აუზთან ახლოს ცხოვრობდა და ვლადისლავმა ძმასთან ერთად დაიწყო ცურვაში ვარჯიში, მაგრამ გადაერთო წყალში ხტომაზე — არ ეშინოდა 5-მეტრიანი კოშკიდან გადმოხტომაც კი. მან ბავშვობიდანვე სძლია შიშს, თანაც სურდა, ყოველთვის და ყველაფერში პირველი ყოფილიყო.

11 წლის ვლადისლავ ტრეტიაკი მოსკოვის არმიის ცენტრალური სპორტული კლუბის ჰოკეის სკოლაში მივიდა. უამრავ ბავშვთა შორის სკოლაში ჩარიცხვის ბედნიერება მხოლოდ რამდენიმეს ხვდა წილად, მათ შორის, ვლადისლავს. მწვრთნელებმა ყურადღება, უწინარესად, მიაპყრეს იმას, რომ ვლადისლავი კარგად სრიალებდა ციგურებით, განსაკუთრებით უკან სვლისას, ამას გარდა, ის მაღალი იყო და ფიზიკურად ძლიერი.

ჰოკეის სკოლაში ტრეტიაკი მომავალ თავდამსხმელად აიყვანეს. ის კვირაში სამჯერ ვარჯიშობდა და მოუთმენლად ელოდა, როდის მისცემდნენ ჰოკეისტის ფორმას. ერთხელ ის კარში დადგომაზეც კი დათანხმდა. სწორედ ეს იყო შემთხვევა, რომელმაც ყველაფერს თავისი ადგილი მიუჩინა.

კარში დგომა რთული და სახიფათო იყო, მაგრამ ვლადისლავმა შიში ჯერ კიდევ წყალში ხტომისას დაძლია. ზოგჯერ ძალიან მტკივნეულ დაჟეჟილობებსა და ტრავმებს იღებდა, მაგრამ ამისგან ჰოკეიში დაზღვეული არავინ არის. მოგვიანებით ტრეტიაკი მიხვდა, რომ კარში დგომა უფრო მოსწონდა, ვიდრე შაიბის გატანა.

12 წლის იყო ვლადისლავი, თავისი პირველი მედალი რომ მოიპოვა, მისი გუნდი კი მოსკოვის ჩემპიონი გახდა. 16 წლისა უკვე სსრკ-ის ახალგაზრდული ნაკრების კარს იცავდა — 1967 წელს ის 19 წლამდელთა ევროპის ჩემპიონატზე გაემგზავრა ფინეთში. ნაკრების მწვრთნელი იყო 1956 წლის ოლიმპიური ჩემპიონი, შესანიშნავი მეკარე **ნიკოლაი პუჩკოვი**, რომელმაც ფინეთში გამგზავრებამდე ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა: „მე მყავს ერთი ბიჭი, სახელად ვლადისლავი, ვარჯიშებზე მანცვიფრებს თავისი რეაქციით, სწრაფი მოძრაობებით, სიმამაცით, მჯერა, რომ მისგან შესანიშნავი ჰოკეისტი დადგება“.

1969 წლის 14 სექტემბერს ვლადისლავ ტრეტიაკს პირველად მიანდვეს „ცე-ეს-კა“-ს კარის დაცვა სსრკ-ის ჩემპიონატში და მას შემდეგ 16 წლის განმავლობაში ამ გუნდთან ერთად 13-ჯერ მოიპოვა ჩემპიონის ტიტული.

„ცე-ეს-კა“-ში დებიუტიდან რამდენიმე თვის შემდეგ ტრეტიაკი მსოფლიოს ჩემპიონის პირველ ოქროს მედალს დაეუფლა. სულ კი მის ანგარიშზე მსოფლიო ჩემპიონის 10 ტიტულია, ევროპის ჩემპიონის — 9.

ვლადისლავმა ზამთრის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონის პირველი მედალი კი 1972 წელს მოიპოვა საპოროში, სადაც საბჭოთა კავშირის ნაკრებმა ყველა გუნდი დაამარცხა. იმავე 1972 წელს გაიმართა ცნობილი შეხვედრები სსრკ-ის ნაკრებსა და NHL-ის — ჰოკეის ნაციონალური ლიგის საუკეთესო ჰოკეისტებს შორის. ბევრს ეგონა, რომ საბჭოთა ჰოკეისტები ვერაფერს გააწყობდნენ კანადელ და ამერიკელ საუკეთესო პროფესიონალებთან,







მაგრამ საბჭოელებმა ღირსეულად ჩაატარეს ეს შეხვედრები (4 — კანადაში, 4 — საბჭოთა კავშირში). სწორედ ამ მატჩების შემდეგ მოიპოვა ვლადისლავ ტრეტიაკმა უდიდესი პოპულარობა ჰოკეის, როგორც საბჭოთა, ისე კანადელ მოყვარულებს შორის. მისი ავტოგრაფისთვის უზარმაზარი რიგი იდგა ხოლმე და ისიც დაუზარლად აწერდა ხელს წიგნებზე, ბილეთებზე, პროგრამებზე... მას შემდეგ ტრეტიაკი ბევრჯერ ჩავიდა კანადაში და ყოველ ჩასვლაზე მისი პოპულარობა იმატებდა — კანადელი სახელმწიფო მოღვაწეები, ბიზნესმენები, მწერლები, კინომსახიობები დიდ პატივად თვლიდნენ ტრეტიაკთან ერთად ფოტოს გადაღებას.

1976 წელს ტრეტიაკმა XII ზამთრის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონის ტიტული მოიპოვა, 1980 წელს კი ოქროს მედლები ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრების წევრებს ხვდათ წილად, და მხოლოდ 1984 წელს დაიბრუნა ტრეტიაკმა ოლიმპიური ჩემპიონის ტიტული. ის ოლიმპიური ტურნირი სსრკ-ის ნაკრებმა შესანიშნავად ჩაატარა — წინასწარ ეტაპზე 42 შაიბა გაიტანა და 5 გაუშვა; ფინალურ ეტაპზე კი სხვაობა 16-1-ზე იყო. ფინალში საბჭოთა ნაკრებმა მთავარი მეტოქე — ჩეხოსლოვაკიის ნაკრები დაამარცხა ანგარიშით 2:0.

სხვათა შორის, **ოლიმპიადის ბოლო დღე ტრეტიაკისთვის საინტერესო აღმოჩნდა: სარაევოში ჩაიტანეს გამზადებული კონტრაქტი ასტრონომიულ თანხაზე. ტრეტიაკის შეძენა NHL-ის სახელოვან კანადურ კლუბ „მონრეალ კანადიენზს“ სურდა (მსგავსი შეთავაზებები ვლადისლავს ადრეც ჰქონია), მაგრამ იმხანად სხვა დრო იყო — საბჭოთა კავშირის ნაკრების მეკარე სხვა ქვეყანაში ვერ ითამაშებდა.**

იმავე 1984 წელს ტრეტიაკმა გადაწყვიტა, წასულიყო დიდი სპორტიდან.

2003 წელს ლეგენდარული სპორტსმენი რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატად აირჩიეს.

2006 წელს ის რუსეთის ჰოკეის ფედერაციის პრეზიდენტად აირჩიეს.

შედის ჰოკეის საერთაშორისო ფედერაციის ასწლეულის სიმბოლურ ნაკრებში.

მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**









**ვლადისლავმა ზამთრის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონის პირველი მედალი 1972 წელს მოიპოვა საპოროში, სადაც საბჭოთა კავშირის ნაკრებმა ყველა გუნდი დაამარცხა. იმავე 1972 წელს გაიმართა ცნობილი შეხვედრები სსრკ-ის ნაკრებსა და NHL-ის — ჰოკეის ნაციონალური ლიგის საუკეთესო ჰოკეისტებს შორის. ბევრს ეგონა, რომ საბჭოთა ჰოკეისტები ვერაფერს გააწყობდნენ კანადელ და ამერიკელ საუკეთესო პროფესიონალებთან, მაგრამ საბჭოელებმა ღირსეულად ჩაატარეს ეს შეხვედრები (4 — კანადაში, 4 — საბჭოთა კავშირში). სწორედ ამ მატჩების შემდეგ მოიპოვა ვლადისლავ ტრეტიაკმა უდიდესი პოპულარობა ჰოკეის, როგორც საბჭოთა, ისე კანადელ მოყვარულებს შორის**

# რუსეთისადმი მტრული რიტორიკის შედეგად ლატვიაში ეკონომიკის მთელი დარგი კვდება



**„რიგის რიტორიკის გამო რუსეთის მიმართ რუსეთი მნიშვნელოვნად ამცირებს ტრანზიტს ლატვიის ნავსადგურების გავლით“, — განაცხადა ლატვიის კავშირგაბმულობის ყოფილმა მინისტრმა ანდრიის მატისმა Baltnews.lv-ის მიერ ჩამორთმეულ ინტერვიუში.**

პოლიტიკოსის განმარტებით, რუსეთის ტვირთების დაბრუნება შესაძლებელია, მაგრამ უახლოესი წლების პროგნოზი უარყოფითია.

**„ვფიქრობ, რომ დღევანდელ ვითარებაში, რიტორიკასა და ქმედებაში, რომელსაც განვახორციელებთ, ტრანზიტის მხოლოდ შემცირების პერსპექტივა იკვეთება. თეორიულად ყველაფერია შესაძლებელი, მაგრამ პრაქტიკულად უახლოეს წლებში მე მხოლოდ სიტუაციის გაუარესებას ვხედავ“,** — აღნიშნა მატისმა.

ექსმინისტრმა ხაზი გაუსვა, რომ ასეთ ვითარებაში ლატვია დაკარგავს ტრანსიტს, როგორც ეკონომიკის მნიშვნელოვან სექტორს.

**„როგორც საბანკო სექტორი დავხურეთ, ასევე დავხურავთ ტრანზიტს. შეიძლება სხვა რამე ჩავანაცვლოთ, მაგრამ ვერ ვხედავ, მთავრობა რამის გაკეთებას ცდილობდეს. ამის ნაცვლად ჩვენ მთელ ქალაქებს გამოვთიშავთ ხოლმე, ისეთებს, მაგალითად, როგორიც ვენტსპილსია. მიმაჩნია, რომ ეს ძალიან მცდარი ქმედებაა“,** — დასძინა მან.

პოლიტიკოსის ვარაუდით, ბელარუსი შეიძლება ალტერნატივა გახდეს რუსეთისა ამ საკითხში, მაგრამ რიგის შესაძლებლობანი ამ მხრივაც შეზღუდულია.

**„ლატვია არ ესაზღვრება ჩინეთს, არ აქვს საზღვარი ყაზახეთთან ან უზბეკეთთან, სადაც აქვთ ტვირთი. ვერ ვხედავ, რით შეიძლება ჩავანაცვლოთ ტრანზიტი, რომელიც ხელიდან გამოგვეცალა. თუ ამ საქმეს დავხურავთ, ამით მთელ დარგს დავხურავთ ჩვენს ქვეყანაში, ანუ ტრანზიტს. ყველაფერი დამთავრდება“,** — დაასკვნა მატისმა.

ყოფილი მინისტრი ამას წინათაც ლაპარაკობდა რუსეთის მიმართ რიგის აგრესიული რიტორიკით გამოწვეულ უარყოფით ეკონომიკურ შედეგებზე.

მატისის აზრით, რიგამ უნდა ითანამშრომლოს მოსკოვთან, თანაც არა მხოლოდ ეკონომიკის კუთხით, არამედ პოლიტიკური თვალსაზრისითაც.



# გორში სტალინის სახლ-მუზეუმს რეკორდული რაოდენობის ადამიანი ეწვია

**2019 წელს თითქმის 170 ათასი ადამიანი ეწვია გორში სტალინის სახლ-მუზეუმს, მათგან 160 ათასი უცხო ქვეყნების მოქალაქეები იყვნენ, რაც სარეკორდო მაჩვენებელია. 2017 წელს სტუმართა საერთო რაოდენობა 132 ათასი იყო, 2018 წელს — 157.** მონაცემები გამოქვეყნდა სტალინის დაბადებიდან 140-ე წლისთავის აღსანიშნავი ღონისძიებების ფონზე. სტალინი 1889 წლის 21 დეკემბერს დაიბადა, გარდაიცვალა 1953 წლის 5 მარტს.

# ანგელა მერკელი ამბობს, რომ ქვეყნიდან ბიზნესის გადინების აღსაკვეთად გერმანიამ კვალიფიციური კადრები ევროკავშირის გარედან უნდა მიიზიდოს



**გერმანია იმედოვნებს, რომ კვალიფიციურ მუშახელს ევროკავშირის გარედან მიიზიდავს, რათა კომპანიების მიერ ბიზნესის სხვა ქვეყნებში გადატანა შეაფერხოს. ბერლინი დანაკლისის შევსებას ისეთი ქვეყნებიდან აპირებს, როგორებიც არის მექსიკა, ვიეტნამი და ინდოეთი. გერმანიაში უკვე 2.5 მილიონი ადამიანი მუშაობს ევროკავშირის ქვეყნებიდან.**

„ვიცით, რომ ბევრი სექტორი და ბიზნესი ეძებს გამოცდილ თანამშრომლებს. საკმარისად გამოცდილი მუშახელის გარეშე ბიზნესი ვერ იქნება წარმატებული. ამიტომაც არის ჩვენთვის საჭირო, ყველა ღონე ვიხმაროთ საკმარისი რაოდენობის სპეციალისტების მოსაზიდად. სხვაგვარად კომპანიებს მოუწევთ, სხვაგან წავიდნენ და, ცხადია, ჩვენ ეს არ გვინდა“, — განაცხადა მერკელმა.

გერმანიას ყველაზე მეტად ესაჭიროება ელექტროინჟინრები, ფოლადის გადამამუშავებლები, მზარეულები, ექთნები, მოხუცების მომვლელები, პროგრამისტები და კომპიუტერის დარგის სპეციალისტები.

# მოლდოვის ახალი მთავრობა ქვეყნისა და საკუთარი ხალხის ინტერესების სადარაჯოზე

**პირობები, რომლებსაც საერთაშორისო სავალუტო ფონდის წარმომადგენლები კიშინიოვს სთავაზობენ, არ შეესაბამება რესპუბლიკისეროვნულ ინტერესებს. თუ კრედიტორები განაგრძობენ ზემოქმედებას, ქვეყნის ხელისუფლება მზად იქნება, თავი შეიკავოს შემდგომი ურთიერთობისგან.**



ასეთი განცხადება გააკეთა რესპუბლიკის პრემიერმინისტრმა **იონ კიკუმ** ტელეარხ „Moldova-1“-ის ეთერში.

მინისტრთა კაბინეტი მზად არის, ითანამშრომლოს ნებისმიერთან, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაცული იქნება რესპუბლიკის ინტერესები. იქ, სადაც ჩვენ ამ ინტერესს დავინახავთ, თანამშრომლობა გაგრძელდება, მაგრამ ჩვენ არ ვაპირებთ, მივიღოთ ისეთი პირობები, რომლებიც აზარალებს ან ძირს უთხრის ჩვენს ეკონომიკას, ზემოქმედებს სოციალურ სფეროზე ტარიფებისა და გადასახადების გაძვირებით. ეს ორი თემა განხილვის სტადიაშია, მაგრამ ტაბუ ადევს“, — განაცხადა პრემიერმა.

მან, კერძოდ, ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ წინა, პროდასავლური მთავრობა, რომელსაც **მაია სანდუ** ედგა სათავეში, არც კი ცდილობდა, განეხილა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ წამოყენებული პირობები, ამიტომაც ივალდებულა გაზის ტარიფის გაზრდა ქვეყნის შიგნით ჯერ კიდევ 31 ოქტომბრამდე.

# წულუკიანი: ყველა ევროპელი ვალდებულია, საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილებას პატივი სცეს

## მთავრობის ყველა წევრმა წულუკიანს უნდა მიბაძოს

**„საქართველოს პარლამენტმა აირჩია ეს ადამიანები და ყველა ევროპელი ვალდებულია, რომ საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს პარლამენტის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას პატივი სცეს“, — ასე უპასუხა უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების დამტკიცებაზე ევროპული ინსტიტუტების კრიტიკულ განცხადებებს იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა.**



წულუკიანმა ევროპელებს შეახსენა, რომ ზოგიერთ დასავლურ ქვეყანაშიც კი არ არსებობს ამგვარი გამჭვირვალე წესები უმაღლესი ინსტანციის მოსამართლეების ასარჩევად და ურჩევს მათ, ჩვენი კანონები გაიზიარონ და თავიანთი მოსამართლეები სწორედ ღია, „ლაივში“ ჩატარებული ინტერვიუების შედეგად შეარჩიონ.

**„სხვადასხვა განცხადება გაკეთდა იმაზე, რომ კონკრეტული გვარები და სახელები არ არის მოსაწონი მათი მხრიდან, თუმცა მინდა, მათ შევახსენო, რომ ჩვენ ვართ დამოუკიდებელი სახელმწიფო და ჩვენ მივიღეთ კანონი — ზოგიერთ დასავლურ ქვეყანაშიც კი არ არსებობს ამგვარი გამჭვირვალე წესები უმაღლესი ინსტანციის მოსამართლეების ასარჩევად. ამიტომ, პირიქით — რჩევას მივცემდი, ჩვენი კანონები გაიზიარონ და თავიანთი მოსამართლეები სწორედ ღია, „ლაივში“ ჩატარებული ინტერვიუების შედეგად შეარჩიონ. რაც შეეხება კონკრეტულ გვარებსა და სახელებს, საქართველოს პარლამენტმა აირჩია ეს ადამიანები და ყველა ევროპელი ვალდებულია, რომ საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს პარლამენტის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას პატივი სცეს“,** — განაცხადა წულუკიანმა.

ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში საქართველოს მონიტორინგის ჯგუფის თანამომხსენებლები **ტიტუს კორლატეანი** (რუმინეთი) და **კლოდ კერნი** (საფრანგეთი) პარლამენტის მიერ 14 მოსამართლის დამტკიცების თაობაზე მწუხარებასა და იმედგაცრუებას გამოხატავენ. განცხადება საპარლამენტო ასამბლეის ვებგვერდზე 13 დეკემბერს გამოქვეყნდა. განცხადება გაავრცელეს ევროკავშირმა და ამერიკის საელჩომაც. პარლამენტმა უზენაესის მოსამართლედ 14 კანდიდატი 12 დეკემბერს დაამტკიცა.

**თეა წულუკიანის ზემოაღნიშნული განცხადება „საქართველოში დემოკრატიის დამკვიდრებისთვის დამაშვრალი“ ევროპარლამენტარებისა და საქართველოს „მეგობრებისა“ თუ „სტრატეგიული პარტნიორების“ მისამართით მართლაც დროულია თუ დაგვიანებული არ არის — საქართველოს ამ მეგობრებმა უნდა იცოდნენ, რომ საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფოა, საქართველოს პარლამენტმა აირჩია მოსამართლეები და ყველა ევროპელი ვალდებულია, რომ დამოუკიდებელი სახელმწიფოს პარლამენტის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას პატივი სცეს. ისე, კარგი იქნება, თუ საქართველოს მთავრობის სხვა წევრებიც მიბაძავენ ქალბატონ იუსტიციის მინისტრს.**

საქართველო და მსოფლიო

თუ გსურთ, გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ მიიღოთ სახლიდან გაუსვლელად და ისარგებლოთ უფასო საკურიერო მომსახურებით, შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შემდეგ კომპანიებს:
„ელვა.ჯი“ — ტელ: 2 38 26 73; 2 38 26 74
„მაცნე“ — ტელ: 599 982 773; 2 14 74 22

ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

ზრდის სწრაფი და ეფექტიანი პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

ტელ: 599-722-138; 247-58-83
მის.: წერეთლის №142, I სართ.
კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი

www.geworld.ge
საქართველო და მსოფლიო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია

სარედაქციო კოლეგია
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. რედაქციის პოზიცია შეიძლება არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: geworld@inbox.ru

ISSN 2233-3894